პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და ნის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8-81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 30 იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 23 (2369)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— სამხრეთ-სლავიაში დაშალეს სავაჭრო . სამრეწველო მოსამსახურეთა პროფკავშირი.
— 4 თებერვალს ბუქარესტში გაიხსნება მცირე ანტანტის ქვეყნების ეკონომიური კონფერენცია.
— საკლატვალას შეკითხვა თემთა პალატაში.
— ბესარაბიაში აღდგენილია საალყო წესები.
— გაიხსნა პოლონეთის მემაღაროეთა ყრილობა.
— პოლიტპატიმართა დემონსტრაცია ლვოვის სატუსაღოში.
— ალექსანდრე დობროჯეანუ—გერეას დაპატიმრება.

1929 წლის 8 თებერვალს, დილის სრულ 10 საათ. სახალხო წითელ დარბაზში

გაიხსნება

საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის მე-4 მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ.
2) მოხსენება ც. ს. კ. და მ/გ. ინსპექციის 1928-29 წ. სამუშაო გეგმის შესახებ.
3) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგების შესახებ.
4) ს. კ. პ. (ბ) სოფლის უჯრედების გაწმენდის შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის თავმჯდომარე — **ივანოვ-კავკასიელი.**

წყალთა მეურნეობის განვითარების საკითხები

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მუშაობის გაცხოველება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამას გვიკარნახებს სწორედ გაგებული ინდუსტრიალიზაციისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის სოციალისტური გზით უმტკივნეულოდ ზრდის ინტერესები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარსული წლის სექტემბრის პლენუმმა გარკვეული დირექტივა მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გაძლიერებულ იქნას სოფლის მეურნეობის ახალ საფუძვლებზე გარდაქმნისაკენ მიმართული მუშაობა. სხვა მრავალ დაბრკოლებათა შორის, რომელნიც წინ გველობება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიწის სივიწროვეს. მართალია ერთი მხრივ ის იძლევა ძლიერ იმპულსს იმისათვის, რომ გამოძებნილ იქნას სოფლის მეურნეობის ახალი ფორმები მოსავლიანობის გასადიდებლად, მაგრამ ამავე დროს იგივე მიწის სივიწროვე მრავალ დაბრკოლებებს ქმნის სოფლის მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის საქმეში.

აქედან მთელი თავისი სიმწვავით ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას მიწის მოედნის ყველა ის რესურსები, რომელნიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყალთა მეურნეობის განვითარებას. უდაბური მინდორ-ველების მორწყვა, ჭაობიან ადგილების ამოშრობა, არსებულ სათეს მოედნების უზრუნველყოფა სარწყავი წყალის მარაგით, მდინარეების ნაპირების გამაგრება, აი, ის ღონისძიებები, რომელიც მეურნეობისათვის სასარგებლო მრავალ ახალ ათასეულ დესეტინა მიწას შემატებს სოფელს.

თუ შევამოწმებთ სათანადო ორგანოების მუშაობას ამ მიმართულებით, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ის შედარებით უმნიშვნელო მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს წყალთა მეურნეობის მოწესრიგების დარგში, ვერ ამართლებს სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანოების მიერ გაღებულ ხარჯებს. მთავარი ნაკლი, რომელიც დღემდე ახასიათებდა წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაობას ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მდგომარეობს იმაში, რომ არ იყო გარკვეული გეგმიანი მუშაობა, საქმეს აკლდა თაოსნობა. იყო შემთხვევები, როცა წყალთა მეურნეობის დარგში ხელს ვკიდებდით კაპიტალურ წამოწყებებს, მაშინ, როდესაც არ იყო სავსებით გათვალისწინებული ის ფინანსიური და ტექნიკური შესაძლებლობანი, რომელსაც მოითხოვდა დასახული გეგმის განხორციელება. წყალთა მეურნეობის ორგანოები უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ დიდ და ზოგჯერ განუხორციელებელ საირიგაციო წამოწყებებს, ამავე დროს წვრილი საირიგაციო მუშაობა, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის თითქმის უყურადღებოდ რჩებოდა. ასეთ მავნე გადახრას წყალთა მეურნეობის დარგში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. მტკიცე გეგმიანი მუშაობა, მეტი ყურადღება წვრილ საირიგაციო და მელიორატიულ მუშაობას,—ასეთია ის პრაქტიკული დასკვნა, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს არსებულ მდგომარეობიდან.

ხელისუფლების საკავშირო სამეურნეო ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ წყალთა მეურნეობის განვითარებას ამიერ-კავკასიაში. ამას ერთხელ კიდევ ცხადყოფს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული გეგმა ამიერ-კავკასიის წყალთა სამუშაოების წარმოებისათვის 1928-29 სამეურნეო წელში. ეს გეგმა ითვალისწინებს არა მარტო სამეცნიერო-გამოკვლევითი ხასიათის მუშაობის ჩატარებას, არამედ მთელ რიგ პრაქტიკულ ხასიათის საჭირბოროტო ამოცანებს სახავს ადგილობრივ წყალთა მეურნეობის ორგანოების წინაშე. მთავარი, რისკენაც მოუწოდებს შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგილობრივ ორგანოებს, ეს არის გეგმიანობა და კიდევ გეგმიანობა. ეს აზრი რამდენჯერმე ხაზგასმით არის გატარებული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებაში, რომელშიაც ლაპარაკია ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის პერსპექტივების შესახებ.

მელიორაციისა და ირიგაციის დარგში წარმოებული მუშაობა უნდა დაყენებულ იქნას პრაქტიკულ ნიადაგზე, მთელი ეს მუშაობა მჭიდროდ უნდა იქნეს დაკავშირებული სოფლის მეურნეობის მორიგ ამოცანებთან. ამ მხრივ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თესვის კამპანიის საკითხი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებულ ზემოხსენებულ გეგმაში გათვალისწინებულია ეს მომენტი. აღნიშნულ გეგმის თანახმად ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ევალება დაამუშაოს და განახორციელოს ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც აუცილებელია მიწის მოედნების მოსარწყავად 1929 წლის თესვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობამ ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს იმ საერთო ღონისძიებათა შორის, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ღებულობს საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

ირიგაციისა და მელიორაციის საკითხებს, მიუხედავად მათი უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობისა, დღემდე ჩვენი საზოგადოებრიობის მხრივ არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. წყალთა მეურნეობის ორგანოთა მუშაობის შეფასება-შემოწმებაში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობდნენ ფართო მშრომელი მასები. ასეთ არანორმალობას ბოლო უნდა მოეღოს. წყალთა მეურნეობის საკითხებით უნდა დავაინტერესოთ საბჭოთა საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით სოფლად მომუშავე ორგანიზაციები. მხოლოდ მათი ენერგიული მონაწილეობისა და ზემოხსენებულ მთავარ დეფექტების აღმოფხვრის გზით, ირიგაციისა და მელიორაციის საქმეს ჩვენ განვავითარებთ იმ დონემდე, როგორც აუცილებელია სოფლის მეურნეობის ახალ, გაძლიერებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

საბოტაჟი გრძელდება

დღეს შესრულდა ერთი თვე იმ მომენტიდან, რაც ლიტვინოვის ნოტით საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთს, რომ ორივე სახელმწიფოს ურთიერთობაში დაუყოვნებლივ ძალაში შესულიყვნენ ის ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ ეგრედ წოდებულ კელოგის პაქტიდან.

როგორც მთელმა ქვეყანამ იცის, საბჭოთა კავშირის წინადადება უაღრესად ნათელი და მარტივი იყო. პოლონეთს არ მისცემია წინადადება—დადოს რაიმე ახალი ხელშეკრულება, რომლის შინაარსსა და დედა-აზრს ესაჭიროებოდა მოფიქრება ან ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა. საბჭოთა წინადადება გულისხმობდა სწორედ იმ ვალდებულების ძალაში შესვლას, რომელიც პოლონეთმა რამდენიმე თვის წინად იკისრა პარიზში ხელმოწერილი პაქტით. ჩვენი წინადადება მხოლოდ [illegible] პოლონეთს—დაუყოვნებლივ ძალაში მოეყვანა ეს ვალდებულებანი რომელნიც პოლონეთმა უკვე იკისრა, და არ დაგვეცადნა იმისათვის, სანამ 14 სახელმწიფოს ხანგრძლივი საპარლამენტო პროცედურა შესაძლებელს გახდიდა კელოგის პაქტის ძალაში შესვლას.

საბჭოთა წინადადების ძალა და მისი პოლიტიკური აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ამით შესაძლებელი იქნებოდა ორ სახელმწიფოს მიერ მშვიდობიანობის დემონსტრაციის მოხდენა. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი დემონსტრაციის ტიპს ჰქონდა და აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. რამდენადაც ჩვენს წინადადებას ომის უარყოფის ვალდებულების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის შესახებ ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მშვიდობიანობის საქმისათვის, იმდენად დადებითი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მას დაუყოვნებლივ და დადებითად გაცემული პასუხით მხოლოდ ასეთი პასუხი გამოაშკარავებდა იმას თუ რამდენად იყო მეორე მხარე მზად გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი იმაში, რომ პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობა მშვიდობიანი ხასიათისაა.

პოლონეთის მთავრობამ აირჩია საბჭოთა წინადადებისათვის საბოტაჟის გაწევის გზა. იმ მეთოდს პოლონეთის დიპლომატია უკვე ერთი თვის განმავლობაში მიმართავს და, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ მიკიბულ-მოკიბული პასუხით, განზრახ დაბურთული ფორმულებით და საბჭოთა წინადადების ამა თუ იმ მუხლის დაჟინებითი „ვერ გაგებით" შეიძლება დაფარულ იქნას მთელი ქვეყნის ფართო მასების წინაშე პოლონეთის მთავრობის პოზიციის ნამდვილი დედა-აზრი. პოლონეთის მთავრობამ საბჭოთა პირველ 29 დეკემბრის ნოტაზე მიკიბულ-მოკიბული პასუხი გასცა მხოლოდ 13 დღის შემდეგ, ამით პოლონეთის დიპლომატიამ თავიდანვე გამოააშკარავა თავისი ჭეშმარიტი ზრახვები. ამ პასუხმა 90 პროცენტით დაუკარგა ფასი პოლონეთის ყოველ მომავალ დადებით პასუხს და მის ყოველ მომავალ თანხმობას ოქმის ხელმოწერაზე. პოლონეთმა თავის პირველ პასუხში გადაჭრით არა სთქვა „ჰო" საბჭოთა წინადადებაზე და თითქმის ორი კვირით გააჭიანურა პასუხი. ამით მან გამოაშკარავა არა მისწრაფება მშვიდობის მოყვარეობისაკენ, არამედ თავისი პოლიტიკის უცვლელი აგრესიულობა. ის მიწერ-მოწერა, რომელიც შემდეგ პოლონეთმა გამართა, როგორც ჩვენ მაშინვე ვამტკიცებდით, სრულებით ზედმეტი აღმოჩნდა, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის პირველივე ნოტა, აგრეთვე ოქმის პროექტი, შეიცავდა პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც წამოაყენა პოლონეთმა.

თავის მეორე ნოტაში პოლონეთის დიპლომატიამ პასუხის დაგვიანება ახსნა იმით, რომ საბჭოთა წინადადების შესახებ საჭირო იყო მოლაპარაკება პაქტის პირველ მონაწილეებთან. ეს არგუმენტი საკმაოდ საყურადღებო იქნებოდა (თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პაქტის პირველი მონაწილე 14 იყო), რომ ის სინამდვილეს შეეფერებოდეს. სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ პოლონეთს არავითარი ვალდებულება არ ჰქონდა—შეეთანხმებინა თავისი პოზიცია პაქტის პირველ მონაწილეებთან, რომ იგი თავის შეხედულებისამებრ მოქმედებდა და იმასაც თავის შეხედულებისამებრ არკვევდა, თუ ვისთვის ეთხოვა რჩევა. ეხლა უკვე სავსებით უეჭველია, რომ პოლონეთი პაქტის ყველა პირველ მონაწილეს კი არ სთხოვდა რჩევას, არამედ, თავის თავად ცხადია მხოლოდ იმ სახელმწიფოებს პაქტის მონაწილეთა რიცხვიდან, რომელთა უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა ოქმისადმი წინდაწინვე აშკარა იყო. თავის მხრივ ჩვენმა პრესამ დაწვრილებით და დეტალურად გააშუქა პოლონეთის დიპლომატიის ეგრედ წოდებული „რუმინეთის არგუმენტი". პოლონეთის დიპლომატია დაჟინებით იკატუნებდა თავს, თითქოს მას ვერ გაეგო ჩვენი პოზიცია რუმინეთისა და მისი ოქმში მონაწილეობის შესაძლებლობის მიმართ.

რაც შეეხება ოქმში ბალტიის სახელმწიფოების მონაწილეობის საკითხს, პოლონეთის დიპლომატიის ტაქტიკამ აქ ბევრად უფრო მოქნილი ფორმები მიიღო. საბჭოთა მთავრობასთან მიწერ-მოწერის დროს პოლონეთი განაგრძობდა იმის მტკიცებას, რომ ბალტიის სახელმწიფოები შეუერთდნენ კელოგის პაქტს, ხოლო ბალტიის სახელმწიფოებს ამავე დროს ურჩევდა, სრული დუმილი დაეცვათ და არ გამოეაშკარავებიათ თავიანთი დამოკიდებულება კელოგის პაქტისადმი. მაგრამ მათი დამოკიდებულება პარიზის ხელშეკრულებისადმი სხვა გზით გამოირკვა. პოლონეთის მეორე ნოტის განცხადება, თითქოს ბალტიის სახელმწიფოები თანასწორ ფორმალურ დამოკიდებულებაში არიან კელოგის პაქტისადმი, სრულებით არ არის სწორი და სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც აბსოლუტურად სწორი ცნობებიდან ჩანს, ლიტვის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი პაქტს შეუერთდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ფორმალურად მიიღო ცნობად და დაუყოვნებლივ გაუგზავნა ლიტვას პაქტით გათვალისწინებული და დამოწმებული ასლები, ხოლო სხვა სახელმწიფოების მიმართ არავითარ ამის მსგავს ადგილი არ ჰქონია. პოლონეთის მთავრობამ ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, იგი არ მოერიდა იმას, რომ დაეცვა თეზისი ბალტიის სახელმწიფოების თანაბარი მდგომარეობის შესახებ კელოგის პაქტის მიმართ. როგორც ეტყობა, საბოტაჟის გასამართლებლად ყოველი თეზისი და ყოველი არგუმენტი გამოსადეგია. ეს ცოტაა. ცნობილია ისიც, რომ ბალტიის ზოგიერთ სახელმწიფოს არაფერი აქვს საწინააღმდეგო შეუერთდეს ოქმს პოლონეთის მიერ ხელმოწერის შემდეგ, როგორც გულისხმობს ამას ლიტვინოვის წინადადება.

ეს, თავის თავად ცხადია, იცის პოლონეთის დიპლომატიამ. მან აგრეთვე იცის, რომ მაგალითად, ფინეთი საერთოდ არ შეიძლება ჩათვლილ იქნას იმ სახელმწიფოების რიცხვში, რომლებმაც, როგორც პოლონეთის პრესა ამტკიცებდა, გამოარკვიეს თავიანთი დამოკიდებულება კელოგის პაქტისადმი, ვინაიდან მისი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი გარკვევით აცხადებენ, რომ სეიმის გარეშე არ შეუძლიათ რაიმე პოზიცია დაიჭირონ პაქტის, ან საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული ოქმის მიმართ, როდესაც პოლონეთის მთავრობა ასეთ პირობებში ფინეთზე მიგვითითებს, იგი, აშკარაა, უცდის ჯერ იმას, როდის განიხილავს კელოგის პაქტს ფინეთის სეიმი, რომელიც თებერვალში შეიკრიბება, შემდეგ იმას, თუ როდის განიხილავს ფინეთის სეიმი ოქმის საკითხს. შემდეგ პოლონეთი „ურჩევს" ბალტიის სახელმწიფოებს, რომლებზედაც მზრუნველობა მან უზურპატორულად იკისრა, მოითხოვონ, რომ ოქმზე ხელის მოწერა მოხდეს ერთდროულად, „მრავალ მაგიდაზე". ამით პოლონეთს იმედი აქვს ჩაშალოს ან, ყოველ შემთხვევაში, გააჭიანუროს მოლაპარაკება. ამრიგად, იქმნება ახალი საბაბი გაჭიანურებისათვის, ხოლო ამ ხნის განმავლობაში შეიძლება მოხდეს კელოგის პაქტის საერთო რატიფიკაცია და საბჭოთა ოქმი ან ზედმეტი აღმოჩნდეს, ან მან კიდევ უფრო დაკარგოს ფასი.

ასეთი ტაქტიკით პოლონეთის დიპლომატიას იმედი აქვს მიაფუჩეჩოს ფართო მასების წინაშე თავისი არსებითად უარყოფითი პასუხი საბჭოთა სამშვიდობო წინადადებაზე. მას იმედი აქვს, დაუმალოს მასებს თავისი რეპრესიების ტაქტიკა და დაარწმუნოს ისინი, რომ დადებითი პოზიცია უჭირავს ლიტვინოვის წინადადების მიმართ.

სავსებით გადაჭრით ვაცხადებთ, რომ დადებითი პასუხი შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფორმით—დაუყოვნებლივ, გაუჭიანურებლად ოქმზე ხელისმოწერით, ყოველგვარი კონტრწინადადება, ყოველგვარი არსებითი შესწორება შემდეგში მიჩნეულ უნდა იქნას ჩვენი წინადადების უარყოფად, უარყოფად არა პირდაპირი უარით, არამედ მიუღებელი კონტრწინადადებების წამოყენებით. პოლონეთის დიპლომატია ცდილობს მიმართოს იმავე ტაქტიკას, რომელიც მან გამოიყენა ამ ორი წლის წინად ჩვენი წინადადების მიმართ თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ. მაშინაც პოლონეთმა როდი განაცხადა პირდაპირი „არა", მან შენიშვნების, მიკიბულ-მოკიბული პასუხის და კონტრწინადადებების საშუალებით ფაქტიურად ჩაშალა ჩვენი სამშვიდობო გამოსვლა. უეჭველია, რომ პოლონეთის „მაღალი" მფარველნი ურჩევენ მას ეხლაც გამოიყენოს ეს ნაცადი მეთოდები. პოლონეთის დიპლომატია იძულებული იქნება გამოამჟღავნოს თავისი ზრახვები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდებმა, რომლებსაც ამ ერთი თვის განმავლობაში მიმართავდნენ პოლონეთის პოლიტიკანები, საკმაოდ გამოამჟღავნეს ეს ზრახვები, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი დიპლომატია იზრუნებს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი გამოსვლის საქმეში შეტანილ იქნას სრული გარკვეულობა.

გარკვეულობის მოთხოვნა ჩვენს მოვალეობას შეადგენს, მას გვკარნახებს მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ამავე გარკვეულობას მოითხოვენ მთელი ქვეყნის ფართო მშრომელი მასების ინტერესები.

ჩვენ ნებას ვერ მივცემთ პოლონეთის დიპლომატიას—განაგრძოს პოლონეთის ხელმძღვანელთა აგრეთვე მის მფარველთა ნამდვილი ზრახვების მიფუჩეჩებისა და დამალვის პოლიტიკა.

„პრავდა", 29 იანვარი.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

გერმანიის კომპარტიის ცეკა შემთანხმებლების წინააღმდეგ

ამანულა-ხანმა კვლავ გამოაცხადა თავისი თავი ფადიშაჰად

სამხრეთ-სლავიამ დაამტკიცა კელოგის პაქტი

გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

შემარიგებლობის დამარცხება

ბერლინი, 28 იანვარი. შესდგა გერმანიის კომპარტიის ცეკას პლენუმი, პოლიტიკური მდგომარეობისა და კომპარტიის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა **გეკერტმა.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად სტაბილიზაციისა იზრდება კაპიტალიზმის კრიზისის მოვლენები. გეკერტი განსაკუთრებით შეჩერდა იმ მოვლენებზე, რომელთაც ადგილი აქვთ გერმანიაში, და აღნიშნა, რომ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის მომზადებასთან ერთად, დამქირავებლები აძლიერებენ შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ. პარტიის მთავარ ამოცანას ეხლანდელ პერიოდში შეადგენს ეკონომიური ბრძოლებისათვის რევოლუციონური ხელმძღვანელობის გაწევა და საბჭოთა კავშირის დაცვა.

ერნსტ მეიერმა, რომელიც შემარიგებელთა პოზიციას იცავდა, შემარიგებელთა ჯგუფის სახელით შეიტანა კონტრ-პლატფორმა ცეკას უმრავლესობის თეზისების წინააღმდეგ. შემარიგებელთა პლატფორმა კაპიტალიზმის სტაბილიზაციას აფასებს, როგორც აბსოლუტურს; მისი აზრით, გერმანიის პოლიტიკის ცენტრალურ პუნქტს რეპარაციების საკითხი შეადგენს. რაც შეეხება ომის საფრთხეს, შემარიგებელთა აზრით, ომი მოსალოდნელია, მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. პლატფორმაში შემარიგებლები ილაშქრებენ გერმანიის კომპარტიის ახალი ტაქტიკის წინააღმდეგ პროფკავშირების საკითხში, კერძოდ, მათ მიუღებლად მიაჩნიათ ორგანიზაციულად შეუკავშირებელი მუშების ჩაბმა ეკონომიურ ბრძოლებში. მათ წამოაყენეს მოთხოვნა ნაციონალიზაციის შესახებ, როგორც მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი ეხლანდელი საგაფიცვო ბრძოლის პირობებში. შემარიგებლების წინააღმდეგ გამოვიდნენ ტელმანი, ნეიმანი, დალი, ლენგელი და ფროლიხი.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წარმომადგენელმა, რომელმაც მოიწონა გერმანიის კომპარტიის ბრძოლა მემარჯვენეების და შემარიგებლების წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ მეიერის აზრი ომის საფრთხის შესახებ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის შესაძლებლობის არა საკმაოდ შეფასების გამო ლოღიკურად ნიშნავს საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგზე უარის თქმას.

პლენუმმა უარჰყო შემარიგებელთა პლატფორმა და ყველა ხმით ხუთის წინააღმდეგ მიიღო პოლიტბიუროს მიერ წარდგენილი თეზისები.

ქალთა შორის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ოვერლახმა,** რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ქალების მნიშვნელობა ეკონომიურ ბრძოლებში.

შემდეგ **რემელემ** გააკეთა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის ღია წერილისა და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. რემელემ აღნიშნა, რომ ბოლო დროს გამწვავდა ბრძოლა შემარიგებლებთან, რომელნიც, ლიკვიდატორული ჯგუფის დამარცხების შემდეგ, მემარჯვენე მიმდინარეობების შემკრებნი გახდნენ.

კენჭის ყრის დროს შემარიგებლებმა ხმა მისცეს იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგინა პოლიტბიურომ კომინტერნის აღმასკომის წერილის შესახებ.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ყველა ხმით ხუთის წინააღმდეგ. ერთმა თავი შეიკავა. პლენუმმა დაადგინა, პარტიის მორიგი ყრილობა მოიწვიოს მაისის დამლევს.

პროფკავშირებში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **მერკერმა,** რომლის თეზისები მიღებულ იქნა ყველა ხმით ოთხის წინააღმდეგ. (ადს).

გერმანიის კომპარტიის პროფმუშაკთა კონფერენცია

ბერლინი, 28 იანვარი. გერმანიის კომპარტიის პროფმუშაკთა კონფერენციის მეორე სხდომამ მოისმინა **მერკერის** მოხსენება შემდეგ თემაზე: რევოლუციონური უმცირესობის პლატფორმა და ტაქტიკა და ფაბქარკომების არჩევნების კამპანია.

შემდეგ **ბერცმა** გააკეთა მოხსენება კომფრაქციების და უჯრედების ყოველდღიური მუშაობის შესახებ. კამათის დროს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა **ტელმანმა.** ტელმანმა ანალიზი გაუკეთა პარტიის ახალ ტაქტიკას პროფმოძრაობის დარგში და ხაზი გაუსვა ეკონომიური ბრძოლების მჭიდრო კავშირს ომის საფრთხესთან.

ტელმანი შეეხო რეფორმიზმის როლის შეცვლას და შეჩერდა მემარჯვენეთა და შემარიგებელთა მოქმედებაზე. მან აღნიშნა, რომ შემარიგებლები ობიექტიურად მემარჯვენეთა როლს ასრულებენო, ტელმანმა ხაზი გაუსვა, რომ რურის და ჰამბურგის ბრძოლის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა პარტ. ახალი ტაქტიკის სისწორე. მან აღნიშნა რომ ახალი ტაქტიკა ერთგვარ წინააღმდეგობას ხვდება პარტ. რიგებში. დიდ წინააღმდეგობას უნდა ველოდეთ პროფკავშირთა რეფორმისტული ბიუროკრატიის მხრივ. მაგრამ ყოველივე ეს არ შეუშლის ხელს პარტიას განაგრძოს თავის გზა.

შემარიგებლებმა თავიანთ წინადადებაში გაილაშქრეს ქრისტიანულ-სოციალისტურ და გირშდუნკერის პროფკავშირებში შეკავშირებული მუშების წინააღმდეგ და მოითხოვეს მხარი დაეჭირონ რევოლუციონურ პროფკავშირთა უმცირესობის ხიებს. შემარიგებელთა წინადადება უარყოფილ იქნა ყველა ხმით 9 ხმის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა). მომხსენებელთა თეზისებს კენჭის ყრის დროს შემარიგებელთა ნაწილმა თეზისებს მისცა ხმა.

თეზისები მიღებულ იქნა ყველა ხმის უმრავლესობით 2 ხმის წინააღმდეგ (ოთხმა თავი შეიკავა). (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 29 იანვარი. პროფინტერნის აღმასბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება ლიუქსემბურგიდან იტალიელი მუშების გაძევების წინააღმდეგ. მოწოდებაში ნათქვამია:

„საერთაშორისო რეაქციის თარიღს ბარბაროსობის კიდევ ერთი ახალი აქტი მიემატა, ლიუქსემბურგის „დემოკრატიულმა" მთავრობამ, რომელიც სისტემატიურად სდევნის იტალიელ ემიგრანტებს, თავის საზღვრებიდან გააძევა 60 იტალიელი მუშა. მეზობელი ქვეყნების—საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა უარი განუცხადეს გაძევებულთა მიღებაზე. გადასახლებულები თავიანთ ოჯახებით,—ასამდე სული—რამდენიმე დღე საზღვარზე იმყოფებოდნენ უბინაოთ და მშიერები. მხოლოდ ამის შემდეგ ლიუქსემბურგის მთავრობამ პატარ-პატარა ჯგუფებად გაგზავნა ისინი სხვა ქვეყნებში. ამ იტალიელი მუშების მთელ დანაშაულს შეადგენს ის, რომ ისინი იტალიიდან გადასახლების შემდეგ საზღვარზედ არ მალავდნენ თავიანთ ანტიფაშისტურ შეხედულებებს. რაც შეეხება საერთაშორისო რეფორმიზმს, იგი ერთგულად ასრულებს კაპიტალის მსახურის როლს და იტალიელი პროლეტარების ამ საზიზღარ დევნას ან დუმილით ხვდება, ან აფუჩეჩებს მის მიზეზებს და ნამდვილ ხასიათს".

პროფინტერნი მოუწოდებს მშრომელებს—ერთსულოვანი და ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ გაძევებას, რომლის მსხვერპლნი არიან იტალიელი ემიგრანტები.

„განუცხადეთ პროტესტი ფაშიზმის მსხვერპლთათვის თავშესაფარების უფლების წართმევის წინააღმდეგ,—ნათქვამია მოწოდებაში,—გამოამჟღავნეთ ფაშიზმის აგენტების პროვოკაციული მოქმედება, დაჰგმეთ რეფორმისტების საქციელი, რომელნიც თავიანთ თვალთმაქცობით და პასიობით ხელს უწყობენ იტალიის მუშების საუკეთესო ელემენტების დევნას, მხარი დაუჭირეთ მორალურად და მატერიალურად იტალიელ ემიგრანტებს მათ ბრძოლაში საკუთარი ინტერესებისა და უფლებებისათვის" (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ამანულა დაუბრუნდა ხელისუფლებას

ბერლინი, 28 იანვარი. ავღანისტანის მისია ბერლინში ადასტურებს, რომ ამანულამ კვლავ გამოაცხადა თავისი თავი ფადიშაჰად; მისი რეზიდენცია ამჟამად არის კანდაგარში. ამავე დროს მისიამ გამოაქვეყნა ამანულა ხანის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მრავალმა გავლენიანმა ტომმა შეფიცა ამანულას ერთგულება. (ადს).

საკლატვალას შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 28 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში დეპუტატი საკლატვალა ჩემბერლენს შეეკითხა: მართალია თუ არა რომ ხაბიბულა, რომელიც თავს ავღანისტანის ემირს უწოდებს, ნამდვილად მეამბოხეა, მონაწილეობას იღებს ავღანისტანის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში და აქვს თუ არ მას ოფიციალური ურთიერთობა ინგლისის მთავრობასთან. ჩემბერლენმა უპასუხა: ინგლისის მთავრობა ძალიან ერიდება ავღანისტანის შინაურ საქმეებში ჩარევას, მაგრამ რადგან ორივე მხარემ სთხოვა ინგლისის მთავრობას —გაეადვილებინა მეფე ინაიატულასათვის ავღანისტანიდან წასვლა, ინგლისის მთავრობამ შესაძლებლად ჩასთვალა ამ თხოვნის ასრულება" (ადს).

ინგლისელების „მზრუნველობა"

ლონდონი, 28 იანვარი. ინგლის-ინდოეთის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა დენის ბრეიმ ხელიფატის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს უარი განუცხადა პასპორტის მიცემაზე ავღანისტანში გასამგზავრებლად. მინისტრმა თავისი უარი დაასაბუთა იმით, რომ ავღანისტანში სამოქალაქო ომია, იქ ყოფნა საშიშია, ამიტომ ინგლის-ინდოეთის მთავრობა იძულებულია შეაჩეროს პასპორტების გაცემა ავღანისტანში გასამგზავრებლად. (ადს).

გამწვავებული მდგომარეობა ქაბულში

ლონდონი, 29 იანვარი. ინგლისური პრესა აქვეყნებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ქაბულში მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. ბაჩა-საკაო უაღრესად მძიმე ფინანსიურ გაჭირვებას განიცდის. ამ გაჭირვებიდან გამოსვლის მიზნით მან ძალდატანებით შეაგროვა ფული ქაბულელ ვაჭრებიდან. ბაჩა-საკაოს მომხრეთა შორის დისციპლინა თანდათან ეცემა, ამასთან დაკავშირებით [illegible] აშკარა ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობების პერიოდის დადგომას (ადს).

უცხოელთა ევაკუაცია ქაბულიდან

ლონდონი, 29 იანვარი. ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან: „ქაბულის ეხლანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ავღანისტანის ხელისუფლების [illegible] ქაბულიდან გაყვანილ იქნან ის უცხოელები, რომლებიც სამსახურში არ ითვლებიან. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, ინგლისის სამხედრო აეროპლანები დღეს გაფრინდებიან ქაბულში ამ მიზნით (ადს).

ამხ. ბიტნერი ფარდას ხდის იმპერიალისტთა ზრახვებს

პოლონეთის სეიმის მღელვარე სხდომა

ვარშავა, 28 იანვარი. დიდი ხანია სეიმის სხდომა ისე მღელვარე აღარ ყოფილა, როგორც გუშინ, როდესაც დღის წესრიგში დაისვა კელოგის პაქტის რატიფიკაციის საკითხი. ერთად-ერთი ორატორის კომფრაქციის დეპუტატ ბიტნერს მთავრობის ბლოკის წარმომადგენელი, ყოველ ნაბიჯზე აწყვეტინებდნენ სიტყვას. „მშვიდობიანობაზე ლაყბობით—განაცხადა ბიტნერმა—კაპიტალისტები ახალ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ. ამ 10 წლის წინად, იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ, ბურჟუაზია ვილსონის 14 მუხლის საშუალებით შეეცადა მოეტყუებია მასები ილიუზიით, თითქოს ომს სამუდამოდ მოეღო ბოლო. შემდეგ მასების მოტყუების იარაღად გადაიქცა ეგრედ წოდებული ერთა ლიგა. სინამდვილეში ვერსალის ხელშეკრულებას არ გადაუჭრია საერთაშორისო პოლიტიკისა და მეურნეობის არც ერთი პრობლემა, ხოლო ის ილიუზიები, რომელიც მან შექმნა, ნიადაგს უმზადებს ახალ იმპერიალისტურ ომს ახლო მომავალში". ამ ადგილას მთავრობის ბლოკის თავმჯდომარემ სლავეკმა სიტყვა გააწყვეტინა ბიტნერს, მან დაიძახა: „წადით ბოლშევიკურ სამოთხეში, იქ თქვენ არ იქნებით ისეთი აგენტი, როგორიც აქ ხართო". ბიტნერმა მკვახედ უპასუხა: „ბატონო პოლკოვნიკო, თქვენ სწორედ იმ ხალხის რიცხვს ეკუთვნით, ვინც სცდილობს ომში და საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტაში ჩაითრიოს პოლონეთი. როდესაც მშვიდობიანობაზეა ლაპარაკი, ეგ პოლკოვნიკები სეიმში დახუმდნენ". ამან უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთავრობის ბლოკის სკამებზე. მთავრობის ბლოკის ერთ-ერთი დეპუტატი ტრიბუნაზე მიუვარდა ბიტნერს და სცდილობდა ხელიდან გამოეგლიჯა მისთვის შენიშვნები, მთავრობის მომხრეთა საშინელი ყვირილის მიუხედავად ბიტნერმა განაგრძო: „თქვენ სტყუით, რადგან გეშინიათ, რომ მე გამოვააშკარავებ იმ დანაშაულებრივ იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც თქვენ აწარმოებთ. თქვენ იცით, რომ საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ მიმართა პოლონეთის მთავრობას და სხვა სახელმწიფოების მთავრობებს სამშვიდობო წინადადებებით, რომ საბჭ. კავშირმა არაერთხელ წამოაყენა საყოველთაო განიარაღების საკითხი. პოლონეთსა და ბალტიის სახელმწიფოებს საბჭ. კავშირმა წინადადება მისცა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა დადების შესახებ. პოლონეთის მთავრობამ და ბალტიის სახელმწიფოების მთავრობებმა ყური არ ათხოვეს ამ წინადადებებს. თქვენ აქ მშვიდობიანობაზე მსჯელობთ, უბეში კი დანა გაქვთ დამალული. თქვენ ილიუზიებს ავრცელებთ მასებში, რათა მათ ხელი ვერ შეუშალონ თქვენს დანაშაულებრივ იმპერიალისტურ თამაშს. მუშათა მასები ამაზე ასეთ პასუხს გაგცემენ: „როდესაც თქვენ შეეცდებით ომის გამოწვევას, ამის პასუხი იქნება ბრძოლა თქვენი ხელისუფლების დამხობისათვის". კომფრაქციის სახელით ბიტნერმა განაცხადა, რომ ფრაქცია ხმას მისცემს კელოგის პაქტის რატიფიკაციის წინააღმდეგ, ვინაიდან კომფრაქცია ვერ დაუშვებს, რომ მასები აყვენ იმ ილუზიას, თითქოს კელოგის პაქტს შეუძლია უზრუნველყოს მშვიდობიანობა მუშათა კლასისათვის (ადს).

პოლიტპატიმართა დემონსტრაცია ლვოვის სატუსაღოში

ვარშავა, 28 იანვარი. ლვოვის ერთ-ერთ საპატიმროში პოლიტპატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის მოხდა შეტაკება. 80 პოლიტპატიმარმა საპატიმროს ეზოში გასეირნების დროს მოაწყო დემონსტრაცია რევოლუციონური სიმღერებით. დემონსტრაცია გამართა პროტესტის ნიშნად პოლიტპატიმართათვის ბორკილების დადების წინააღმდეგ. დემონსტრაციის დროს საპატიმროს კარიბჭთან თავი მოიყარა ათასამდე მუშამ. მუშები თანაგრძნობას უცხადებდნენ პოლიტპატიმრებს. პოლიციის ძლიერმა რაზმმა გარეკა მუშები, ხოლო მეორე რაზმი საპატიმროში შეიჭრა და პოლიტპატიმართა კამერების ჩხრეკას შეუდგა. ბევრ პატიმარს სცემეს ბევრიც კარცერში ჩასვეს. პოლიციამ გაჩხრიკა ლვოვის მუშათა რაიონები და მუშათა ორგანიზაციები.

პოლონეთის მემაღაროეთა ყრილობა

ვარშავა, 28 იანვარი. კატოვიცაში გაიხსნა მემაღაროების ყრილობა, რომელმაც დაადგინა, 11 თებერვალს გამოცხადდეს ზემო სილეზიის მემაღაროეთა გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ მაღაროების პატრონებმა არ დააკმაყოფილეს ეკონომიური მოთხოვნები (ადს).

პროფმუშაკების დაპატიმრება ხარბინში

ხაბაროვსკი, 28 იანვარი. ხარბინში პროფკავშირების ჩხრეკის დროს დაპატიმრებული და შემდეგ განთავისუფლებული რკინისგზელთა კავშირის თავმჯდომარე **სტეპანენკო,** საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე **კრუგლიკი** და მედსანშრომის კავშირის თავმჯდომარე **ჩეხოვიჩი** 26 იანვარს **ხელახლა დააპატიმრეს. დაპატიმრებულებთან ჩინელები არავის უშვებენ, მშობლებსაც კი, და საჭმლის გადაცემის ნებას არ აძლევენ.**

28 იანვარს ხაბაროვსკში, საპროტესტო მიტინგების შემდეგ, გამართა ადგილობრივი პროფკავშირების დიდი საპროტესტო დემონსტრაცია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მუშაკთა ჩხრეკისა და დაპატიმრების წინააღმდეგ. (ადს).

უთანხმოება მუკდენსა და ნანკინს შორის

ხარბინი, 28 იანვარი. იაპონური გაზეთი „შენცზინ-ში-ბაო" იუწყება, რომ მუკდენსა და ნანკინს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პროვინციებში გომინდანის ორგანიზაციების მოწყობის საკითხის ირგვლივ. მუკდენის ხელისუფლება თითქოს დაჟინებით მოითხოვს, რომ გომინდანის განყოფილებები იხსნებოდნენ მხოლოდ ხელისუფლების ნებართვით. ნანკინი ეურდობა გომინდანის წესდებას და მოითხოვს, რომ მოსახლეობას მიეცეს უფლება დამოუკიდებლად შექმნას პარტიული უჯრედები. (ადს).

ახალი ჭორები საბჭოთა კავშირის შესახებ

ვენა, 28 იანვარი. რუმინეთის ლიბერალური პრესა განაგრძობს მძაფრ კამპანიას იმის წინააღმდეგ, რომ რუმინეთი შეუერთდეს საბჭოთა კავშირის ოქმს კელოგის პაქტის ძალაში შესვლის შესახებ.

ლიბერალური გაზეთები კვლავ ათავსებენ ლონდონიდან და ვარშავიდან მიღებულ ყალბ ცნობებს იმის შესახებ, ვითომც საბჭოთა კავშირი „მიმდინარე წლის თებერვალში აჯანყებას ამზადებს ბესარაბიაში". ამ ცნობებში ნათქვამია, ვითომ ოდესაში გაიმართა კომინტერნის აღმასკომის წევრების—ბესარაბიელი კომუნისტების თათბირი, ხოლო მოლდავის ს. ს. რესპუბლიკიდან ბესარაბიაში კონტრაბანდით შეაქვთ იარაღი და კომუნისტური ლიტერატურა.

გაზეთი „ვიიტორულ"-ი, ემყარება რა ამ ცნობებს მოითხოვს საალყო წესების აღდგენას ბესარაბიასა და ბუკოვინაში ახალი რეპრესიების მიღებას კომუნისტების მიმართ. გაზეთი წინააღმდეგია ყოველგვარი ამნისტიისა კომუნისტების საქმეების გამო. (ადს).

ბრანდლერის და ტალგეიმერის გამორიცხვა ს. კ. პ. (ბ) რიგებიდან

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილება

მოსკოვი, 28 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიამ დაადგინა ბრანდლერი და ტალგეიმერი გამორიცხოს საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან. მათი გამორიცხვა პარტიიდან მოხდა შემდეგი მიზეზების გამო:

ბრანდლერი და ტალგეიმერი აშკარად გამოდიოდნენ კომინტერნის მეხუთე და მეექვსე კონგრესებისა და პროფინტერნის მე-4 კონგრესის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მათ უარი განაცხადეს შეეწყვიტათ პრაქტიკული მუშაობა; თუმცა ისინი საკავშირო კომპარტიის წევრები იყვნენ, მაგრამ ფრაქციულ მუშაობას აწარმოებდნენ გერმანიის კომპარტიაში. საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისიის შეკითხვაზე: დაემორჩილებიან თუ არა ისინი იმ მოთხოვნებს, რომლებიც კომინტერნის აღმასკომმა წაუყენა მემარჯვენეებს, გერმანიის კომპარტიაში, თავიანთ წერილში 1929 წლის 18 იანვრის თარიღით მათ განაცხადეს, რომ ისინი ფრაქციულ მუშაობას არ შესწყვეტენ. ცენტრ. საკონტრ. კომისიამ სცნო, რომ ამგვარი დამოკიდებულება კომინტერნის და პროფინტერნის გადაწყვეტილებათა მიმართ, აგრეთვე ფრაქციული ანტიპარტიული მუშაობა არ შეეფერება პარტიის წევრობას, რის გამოც ისინი გამორიცხა საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან

უკანასკნელი ცნობები

ჭორები იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ

ტოკიო, 28 იანვარი. დღეს ცუხინის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ეს ცნობა თითქოს ბერლინიდან არის მოსული. ცნობა მხოლოდ „ჯაპან ადვერტაიზერ"-მა დაბეჭდა და თან დაურთო მან იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება. საგარეო საქმეთა წარმომადგენელი აბათილებს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ იგი, როგორც ჩანს, გამომდინარეობს თეთრგვარდიელთა წყაროებიდან და მოკლებულია ყოველ საფუძველს. (ადს).

სავაჭრო - სამრეწველო მოსამსახურეთა პროფკავშირის დაშლა სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 28 იანვარი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დაშალა სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო საწარმოთა მოსამსახურეების კავშირი. დაბეჭდეს რეფორმისტული პროფკავშირების შენობები ბელგრადში. მთავრობის წრეების ცნობით, პრემიერ ჟივკოვიჩს განზრახვა აქვს, შექმნას ფაშისტური კორპორაციების მაგვარი ახალი პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელთა სათავეშიც მთავრობის რწმუნებულები ჩადგებიან. (ადს).

სამხრეთ-სლავიამ დაამტკიცა კელოგის პაქტი

ვენა, 28 იანვარი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ-სლავიის მეფემ ხელი მოაწერა აქტს კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ (ადს).

ვენა, 28 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის მთავრობამ 26 იანვარს პარლამენტში შეიტანა სასწრაფო კანონპროექტი კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ (ადს).

საალყო წესები ბესარაბიაში

ვენა, 28 იანვარი. გაზეთ „დიმინეაცა"-ს ცნობით, ბესარაბიისა და ბუკოვინის სასაზღვრო ზონებში საზღვარიდან 20 კილომეტრის მანძილზე აღდგენილია საალყო წესები.

ანტიფაშისტური კონგრესი

ბერლინი, 28 იანვარი. როგორც პარიზიდან იუწყებიან, აქ მოაწყვეს კომიტეტი საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესის მოსაწვევად. კომიტეტს მეთაურია ანრი ბარბიუსი (ადს).

მცირე ანტანტის ქვეყნების ეკონომიური კონფერენცია

ვენა, 28 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, 4 თებერვალს ბუქარესტში გაიმართება მცირე ანტანტის ქვეყნების მოსამზადებელი ეკონომ. კონფერენცია. კონფერენციამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა მცირე ეკონომიური ანტანტის შესაქმნელად. (ადს).

ს. კ. პ. (ბ) ცეკა წითელ პროფესურის ინსტიტუტის შესახებ

მოსკოვი, 29 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებით წითელი პროფესურის ინსტიტუტის მსმენელ-სტიპენდიანტების კონტინგენტი 1929—30 წლისათვის განსაზღვრულია 325 კაცით. ცეკამ საჭიროდ სცნო, რომ მოსამზადებელ განყოფილებაში მიღებულ იქნან მხოლოდ მუშები და გლეხები (მუშები არა ნაკლებ 80 პროცენტისა). აღმოსავლეთის ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს მიეცა წინადადება მოსამზადებელ განყოფილებაში გაგზავნონ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები, ხოლო საერთოდ კომუნისტების რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ 75 პროცენტისა. (ადს).

—:—

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგება

ლენინგრადი, 29 იანვარი. 28 იანვარს საღამოთი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ტირაჟზე გათამაშებულ იქნა 7 მოგება, თითო 5.000 მანეთიანი. მოგება ხვდა უპროცენტო. მომგებიანი სესხის ყველა 7 თანრიგში სერიას 61750, ობლიგაციას № 15.

საბჭოთა კავშირის მონაწილეობა პარიზის კონფერენციაზე

კონფერენცია განიხილავს იმ ნივთიერებათა ანალიზების შედეგების უნიფიკაციის შესახებ დადებულ კონვენციის გაფართოების საკითხს, რომელიც ადამიანთა საზრდოობისა და ცხოველთა კვებისათვისაა დანიშნული

მოსკოვი, 29 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის, რომ საბჭოთა კავშირი შეუერთდეს წარსული წლის 16 ოქტომბერს პარიზში ხელმოწერილ საერთაშორისო კონვენციას და ნივთიერებათა ანალიზების შედეგების უნიფიკაციის შესახებ, რომლებიც დანიშნულია ადამიანთა საზრდოობისათვის და ცხოველთა კვებისათვის. კონვენციას მიზნად აქვს აგრეთვე მთლიანობა დაამყაროს სხვადასხვა სახელმწიფოში მიღებულ ზომასა, წონასა და ტემპერატურის ნიშნებს შორის ამ საკითხში.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ადამიანის და ცხოველთა საკვები პროდუქტების ანალიტიური ქიმიის მუდმივს საერთაშორისო ბიუროში. ამის გამო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის მონაწილეობა პარიზის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც 1929 წელს პარიზში უნდა გაიმართოს ზემოაღნიშნული კონვენციის გადასათვალიერებლად და ხელმოსაწერად. (ადს).

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამუშაოების გეგმა 1928--29 წლისათვის

მოსკოვი, 29 იანვარი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა 1928-29 წლის წყალთა მეურნეობის მუშაობის გეგმა ამიერ-კავკასიისათვის. გეგმით გათვალისწინებულია გამოკვლევით სამუშაოთა თვალსაჩინო რაოდენობა. საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნ. სამმართველოს დაევალა 1929 წ. 1 მარტამდე შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინოს მოხსენება საცდელ-საგამოკვლევო საქმის ცენტრალიზაციისა (მთელი ეს საქმე უნდა გადაეცეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობას) და ჰიდრომეტრიული მუშაობის რაციონალიზაციის შესახებ. ა.-კავკ. წყალთა სამმართველოს წინადადება მიეცა აგრეთვე, რომ სათანადოდ მოაწყოს ლაბორატორია და [illegible] სადგური. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის გეგმა 1928-29 წლისათვის 11.060.000 მანეთის რაოდენობით. აქედან საბჭოთა კავშირის ბიუჯეტით გადაიდება 9.385.000 მან., ამიერ-კავკასიის ბიუჯეტით—1.675.000 მანეთი.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს ევალება—დაამუშაოს და განახორციელოს ის ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ 1929 წლის თესვისათვის მომზადდეს სარწყავი ადგილები 41.500 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის 10.000 ჰექტარი საბამბე ადგილი.

წყალდიდობასთან საბრძოლველად ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას ევალება—დაამუშაოს ნაპირების გამაგრების და წვრილი მშენებლობის გეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომ-სიას დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 1929 წლის 1 მარტისა. ამ.-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ევალება თვალყური ადევნოს რომ მშენებლობა არ ხორციელდებოდეს პროექტების დამტკიცებამდე. ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობას დაევალა, თვალყური ადევნოს რომ ამ.-კავკ. რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოები სისწორით ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიის დირექტივებს. ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დაევალა—მისცეს წინადადება რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს—თავის დროზე წარადგინონ 1927-28 წლის ანგარიშები. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა საანგარიშო კამპანია მოსკოვში.

მოსკოვი, 29 იანვარი. გუშინ, 28 იანვარს, კინო „ლიუქს"-ის დიდ დარბაზში შესდგა მოსკოვის საბჭოს პირველი საანგარიშო კრება, რომელზედაც დაესწრო ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა. დამსწრენი იშვიათ აქტივობას იჩენდნენ. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კამათში.

კრებაზე სხვათა შორის წამოიჭრა ისეთი საკითხი, როგორიცაა მოსკოვში მეტროპოლიტენის აგება. ზოგიერთ ამომრჩეველს დღეს-დღეობით მიზანშეუწონლად მიაჩნია, რომ დაწყებულ იქნეს მეტროპოლიტენის აგება, რაიც უდიდეს ხარჯებს ითხოვს და უახლოეს ხანებში ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს.

იმისათვის, რომ საანგარიშო კამპანია ფართოდ ჩატარდეს, მოსკოვის საბჭოს საარჩევნო კომისიამ დაავალა დეპუტატებს, რომ დიდ საწარმოებში მოხსენებები გაკეთებულ იქნეს ცეხებში და მუშების თვითეულ ცვლისათვის ცალ-ცალკე.

მთავარ საბამბო კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 29 იანვარი. ხუთ თებერვალს მოსკოვში გაიხსნება მთავარ საბამბო კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც გამოწვეული არიან ამ.-კავკასიის საბამბო კომიტეტის წარმომადგენლები. პლენუმი განიხილავს მომავალ თესვის კამპანიისა და ბამბის მოსავლიანობის გადიდების პრაქტიკულ საკითხებს.

ბრძოლა „კუდების" წინააღმდეგ

მოსკოვი, 29 იანვარი. სავაჭრო პუნქტების სიმცირემ და მოსკოვის მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ უკანასკნელ წლების განმავლობაში გამოიწვია გრძელი რიგები ისეთ პროდუქტებზედაც კი, რომელნიც საკმაოზე მეტად მოიპოვება ბაზარზე. საკავშირო პროფსაბჭომ ამ გარემოებას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. ამ დღეებში პროფსაბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა კოოპერატივთა ცენტრის მოხსენება „კუდებთან" ბრძოლის შესახებ. მოხსენების ირგვლივ მიღებულ დადგენილებაში საკავშირო პროფსაბჭო საჭიროდ სცნობს, რომ „კუდების" მოსასპობად ჩატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები: სავაჭრო პუნქტების გამრავლება, განსაკუთრებით მუშათა რაიონებში, ვაჭრობის საათების გადიდება, კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის წარმოება, მასიურად მოსახმარ საქონლის წინასწარ აწონვა-შეხვევა და სხვა.

„იზვესტია" თბილისელ ვიოლონჩელისტ მინიარის შესახებ

მოსკოვი, 29 იანვარი. „იზვესტია" დღევანდელ ნომერში ეხება თბილისელ ვიოლონჩელისტ მინიარის კონცერტებს და აღნიშნავს, რომ „მოსკოვს არ ახსოვს მუსიკალურ ნომრების ასეთი სისწორით შესრულება, როგორსაც ადგილი ჰქონდა ვიოლონჩელისტ მინიარის მოწაფეების მხრივ. მინიარის სახით ჩვენ გვყავს ცნობილი მეთოდისტი—მუსიკოსი, რომლის მოღვაწეობაც უკვალოდ არ დარჩება მუსიკალურ ხელოვნებაში".

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. მ. კახიანის სიტყვა სომხეთის კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობაზე

ამხ. მ. კახიანს ყრილობა მქუხარე ტაშით ეგებება.

ამხანაგებო, დაიწყო ამხ. კახიანმა, ნება მომეცით, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის სახელით ძმური სალამი უძღვნა სომხეთის კომუნისტურ პარტიას და მის უზენაეს ორგანოს—პარტიის მე-6 ყრილობას (ტაში).

მე-5 ყრილობიდან მე-6 ყრილობამდე

ამხანაგებო, ყოველი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში კონფერენციებსა და ყრილობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ უდავოა, რომ მე-6 ყრილობა განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს სომხეთის კომუნისტური პარტიის განვითარების ისტორიაში, ვინაიდან პერიოდი მე-5 ყრილობიდან მე-6 ყრილობამდე იმით აღინიშნა, რომ პარტიის ხელმძღვანელობის სათავეში ჩაუდგნენ ახალი ძალები, რომლებმაც შესძლეს სომხეთის კომუნისტური პარტიის წაყვანა ნამდვილი ლენინური გზით (მქუხარე ტაში).

მე მგონია, ამხანაგებო, რომ ეს ყრილობა იწყებს ახალ ფურცელს, ახალ ეპოქას სომხეთის კომუნისტური პარტიის განვითარებაში. თუ ამ ყრილობის ყველა გადაწყვეტილება და რეზოლუცია გამსჭვალულია ლენინიზმის სულით, ეს უეჭველად უნდა მივაწეროთ ამ ახალ ხელმძღვანელობას, რომელმაც სომხეთის ფრიად ძნელსა და რთულ პირობებში მაინც მოახერხა მკაფიო ბოლშევიკური ხაზის აღება და გატარება (მქუხარე ტაში).

მორიგი ამოცანების წინაშე

აქ ვრცლად ვერ ვილაპარაკებ იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ამჟამად დასახულია სომხეთის კომპარტიის წინაშე. ამაზე აქ, უეჭველია, ბევრი ითქვა ც. კ.-ის ანგარიშშიც და შემდეგომ მოხსენებებშიც, კერძოდ მოხსენებაში სამეურნეო მშენებლობის შესახებ. მე აღვნიშნავ მხოლოდ სამ მომენტს:

1. ეროვნულ მომენტს;
2. სამეურნეო მშენებლობის საკითხებს და საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების ამოცანებს;
3. შინაპარტიული ხასიათის მუშაობას, ოპორტუნიზმთან ბრძოლის საკითხს.

ეროვნული საკითხი

ჩვენს პირობებში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პირობებში, ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხს. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ამ საკითხს ჩვენც, კომუნისტებიც, დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ვანხორციელებთ ნამდვილ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მტრებიც, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები. ამიერ-კავკასიის პირობებში ჩვენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ნამდვილი ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება.

ჩვენმა ბელადმა, რომელიც ხუთი წლის წინად მოგვშორდა, ამიერ-კავკასიის კომუნისტებს გვიანდერძა—შეგვექმნა ამიერ-კავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში, რომელიც ბურჟუაზიის ბატონობის დროს უნახავი მოვლენაა და შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში. ეს მთავარი ანდერძი შევასრულეთ. მაგრამ, ამხანაგებო, ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დეფექტები, სხვადასხვა შეცდომები არა გვქონდეს ამ ხაზის პრაქტიკულად გატარებაში. ჩვენ, კომუნისტები, თამამად ვლაპარაკობთ ჩვენს ყრილობებზე, კონფერენციებზე, პლენუმებზე იმ დეფექტების შესახებ, რომლებიც ჩვენ გვაქვს ეროვნულ ურთიერთობათა დარგში, ამას ებღაუჭებიან ჩვენი მტრები, მათ სურთ ეს გაბერონ და ისე მოაჩვენონ ყველას, ვითომ კავკასიაში ისევ იყოს ეროვნული მტრობა, შუღლი, ვითომ ერთმანეთს წავკიდებულვართ და არ გვქონდეს მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა.

დაშნაკური პროვოკაცია

დაშნაკცუტუნის პარტიის ცენტრალური ორგანოს ნოემბრის ნომერში მოთავსებულია წერილი, სადაც ლაპარაკია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მდივნების გამოსვლის შესახებ. მე ყრილობას უნდა გავაცნო ეს წერილი, ვინაიდან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ უყურებს კლასობრივი მტერი ჩვენ ურთიერთობას განვითარების არსებულ საფეხურზე. გაზ. „დროშაკ" სწერს:

„ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობდით ამაზე, რაც დღეს შენიშნეს მიაზნიკიანებმა და კახიანებმა. ჩვენ, ფაქტებით შეიარაღებული, ხმამაღლა ვამბობთ, რომ ეროვნული ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში დღითი-დღე მწვავდება, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანში ეროვნული უმცირესობანი, პირველ ყოვლისა, სომხები, მეტად არიან დაჩაგრულნი ეკონომიურადაც და უფლებრივადაც".

ძალიან დამახასიათებელია, თუ როგორ უყურებენ დაშნაკები ამ საკითხს.

ისინი ამბობენ, რომ ეროვნული უმცირესობანი, და პირველყოვლისა, სომხები, დაჩაგრულნი არიანო. რატომ? უნდა შევეკითხოთ დაშნაკებს. თურმე იმიტომ, რომ სომხებს დამცველები არა ჰყოლიათ. სომხებმა კომუნისტებმა უღალატეს სომეხ ხალხს და არ იცავენ სომხეთის მშრომელებს, და ის პირები, რომლებიც პარიზში და კაპიტალისტური ცივილიზაციის სხვა ცენტრებში სხედან, ის პირები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების ერთგული ლაქიები და ფინიები არიან, აი ეს პირები „დამცველთა" მისიას კისრულობენ და შემდეგს ამბობენ:

„არ გამოჩნდა არც ერთი სომეხი კომუნისტი, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანში არსებული ეროვნული უთანასწორობისა და ანტისომხური განწყობილებათა წინააღმდეგ გამოსულიყო".

მენშევიკური კაპიტულაცია დაშნაკურ ჰანგზე

თურმე, საქართველოსა და აზერბეიჯანში ანტისომხური განწყობილება არსებობს, რომელიც პარიზიდან და ცივილიზაციის სხვა ბურჟუაზიული ცენტრებიდან დაინახეს დაშნაკებმა. ისინი განაგრძობენ:

„ყოველ მოვლენას ძირი უნდა გაუსინჯოთ; ასეთი მტრების დანახვა სომეხ კომუნისტებში იმას ნიშნავს, რომ ვერ გაეგოთ მათი თავისებური ხასიათი. ქართველ და თურქ კომუნისტებს სომეხთა საკითხის გარდა, კიდევ ერთი უდავო სიკეთე აქვთ: ისინი, პირველ ყოვლისა, ქართველები და თურქები არიან და შემდეგ კომუნისტები. სომეხი კომუნისტი—მხოლოდ კომუნისტია, ხალასი, ორთოდოქსალური და ფანატიური. მისთვის სრულებით და ღალატი იქნება, რომ სომხურ საკითხებს მიჰყვეს"

ეს, ამხანაგებო, ფრიად დამახასიათებელია. სომეხი დაშნაკები ლანძღავენ სომეხ კომუნისტებს, მაგრამ ამავე დროს ძალიან კარგ, საქებ ქათინაურს უგზავნიან სხვის კომუნისტებს. ისინი ამბობენ, რომ სომეხი კომუნისტი, პირველ ყოვლისა, კომუნისტია, ორთოდოქსალური, ხალასი და ფანატიური, ჩვენ ეს არავითარ სამარცხვინო საქმედ არ მიგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი კომუნისტი—ქართველიც, თურქიც, სომეხიც, რუსიც—პირველ ყოვლისა კომუნისტი უნდა იყოს და შემდეგ ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ქვეყანას, ამა თუ იმ ეროვნებას.

ესეც, ამხანაგებო, არაფერი სამარცხვინო არ არის, მაგრამ აქ დამახასიათებელია შრომის განაწილება. გასაგებია, რომ სომეხი დაშნაკები სომეხ კომუნისტებს ლანძღავენ, ხოლო ქართველი დაშნაკები—მენშევიკები—ქართველ კომუნისტებს. ქართველი მენშევიკები ამბობენ, რომ სომეხი კომუნისტები უკეთესად იცავენ სომეხი ხალხის ინტერესებს, რომ ქართველმა კომუნისტებმა ამ მხრით მაგალითი უნდა აიღონ სომეხ კომუნისტებისაგანაო.

ამასვე ამბობენ მუსავატელები და ლანძღავენ თურქ კომუნისტებს.

ეს, ამხანაგებო, ჩვეულებრივი მოვლენაა და არავის უნდა გაუკვირდეს.

ინდუსტრიალიზაცია ემიგრაციის გაგებით

მაგრამ დაშნაკები ამ ჩვეულებრივსა და თავმოსაბეზრებელ ლანძღვას არ სჯერდებიან. მათი თავხედობა უფრო შორს მიდის. ისინი ამბობენ:

„ქართველი კომუნისტი თავის მენშევიკურ მოწინააღმდეგეს ზაჰესებისა და რიონჰესების საშუალებით ებრძვის, სცდილობს საქართველოსათვის შეძლებისამებრ მეტი ფული გამოჰგლიჯოს მოსკოვს, განახორციელოს საქართველოში მშენებლობა, დაიმსახუროს ქართველი ხალხის პატივისცემა და ამით გაამაგროს თავისი ხელისუფლება.. ქართველი კომუნისტი ცდილობს ქართული ეროვნული ორგანიზმის განუყოფელ ნაწილად გადაიქცეს. სომეხი კომუნისტი უცხო, ზედმეტი ხორცია სომეხი ხალხის სხეულზე".

თუ ჩვენ ამიერ-კავკასიაში ვაგებთ რიონჰესს, ზაჰესს, ძორაჰესს და სხვა სადგურებს, თუ ჩვენ ვახორციელებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, დაშნაკებს გონების ჭვრეტაში ამას სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა. მათის აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამ სადგურებს იმისათვის ვაშენებთ, რომ მეტი ფული გამოვგლიჯოთ ცენტრს. „რაც შეიძლება მეტი გამოვგლიჯოთ და შორს გავიქცეთ"—ეს ხაზი, რასაკვირველია, ჩვენი არ არის. ეს ძირგამომპალი ფილოსოფიაა, ეს ჩვენი კლასობრივი მტრის ხაზია. აი, რატომ უნდა მოვუსმინოთ ზიზღით ის, რომ თუ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით ვივლით, ახალი სადგურების მშენებლობის გზით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ჩვენ ვცდილობთ მეტი ფული გამოვგლიჯოთ ცენტრს, ლობე შემოვივლოთ გარშემო და შევქმნათ საკუთარი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. არა, ამ გზით კავკასიის კომუნისტებს არასოდეს არ უვლიათ და არც ივლიან.

ჩვენს მტრებს არ ასვენებს ამ.-კავკ. მშვიდობიანი ცხოვრება

დამახასიათებელია მეორე განცხადება იმის შესახებ, რომ სომეხი კომუნისტები ხორცმეტია სომხეთის ხალხის სხეულზე. მაგრამ უცნაური ამბავია. რატომ მოხდა, რომ სომხეთის ხალხის ეს ჯანსაღი სხეული იმყოფება აქ, საბჭოთა სომხეთში, ხოლო ისინი, ვისაც სურს ამ სხეულის ექიმობა და განკურნება, იმყოფებიან სომხეთის ფარგლების გარეთ? ეს მოხდა იმიტომ, რომ სომხეთის ხალხი სავსებით სწორად მოიქცა, როცა ხელში აიღო ქირურგიული დანა, ზოგნი თავის ჯანსაღ სხეულს სამუდამოდ მოსწყვიტა ეს ხორცმეტი—დაშნაკელები და გადაისროლა სანაგვე-გარეთ (ტაში).

მე ვფიქრობ, რომ ეს იყო საკითხის სწორი გადაწყვეტა. მაგრამ ამხანაგებო, როცა ამბობენ, რომ ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა დამარცხდა ამიერ-კავკასიაში, რომ აქ ვითარდება ეროვნული შუღლი და მტრობაო, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს არის ცილისწამება კომპარტიის პოლიტიკის მიმართ.

რაში არიან დამნაშავენი სომეხი კომუნისტები?

სომეხი კომუნისტები დამნაშავენი არიან მხოლოდ იმაში, რომ მათ შესძლეს ნანგრევებიდან, ფერფლიდან აღედგინათ ქვეყანა.

სომეხი კომუნისტები დამნაშავენი არიან მხოლოდ იმაში, რომ იქ, სადაც წინად იყო სიღატაკე, ცრემლი და ტანჯვა, ეხლა არის სილამაზე, სიხარული და ენერგიული მშენებლობა, სწარმოებს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა სოციალისტური წყობილების შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

ასეთი სიყვარულით, არა შოვინისტურ ზოოლოგიური სიყვარულით, რომელსაც სძულს სხვა ეროვნებანი, არამედ პროლეტარიატის ნამდვილი სიყვარულით გვიყვარს ჩვენი სოციალისტური სამშობლო და ვსცდილობთ ჩვენი ხალხები, ჩვენი მშრომელი მასები ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთელ კავშირში სწარმოებს.

მე ვფიქრობ, რომ დაშნაკელების ამ გოდების პასუხი იქნება იმ გზის გაგრძელება, რომელსაც სომხეთის კომპარტია დაადგა: ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცება, გამაგრება ყველა იმ კავშირისა, რომლებიც გვაქვს. დაშნაკელებს, მენშევიკებს და მუსავატელებს სურთ ერთმანეთს წააჩხუბონ, ერთმანეთს ჩამოაშორონ ამ.-კავკასიის ფედერაციაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების მშრომელი მასები. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ გავაერთიანოთ მშრომელი მასები, რადგან მარქსიზმი შეურიგებელია ნაციონალიზმის მიმართ, როგორი დახვეწილი („განათლებული") ხასიათიც არ უნდა მიიღოს ამ ნაციონალიზმმა. ამჟამად, როცა არსებობს ნაციონალისტური სულისკვეთების ერთგვარი რეციდივი, რომელიც თავს იჩენს კომუნისტურ რიგებშიც კი, ჩვენ განსაკუთრებით ძლიერ უნდა გავლესოთ ჩვენი ლენინური, ბოლშევიკური იარაღი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ყოველგვარი ხასიათის ნაციონალიზმის წინააღმდეგ და ეს ხაზი უნდა გავატაროთ როგორც პარტიაში, ისე კომკავშირში. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა.

სამეურნეო მშენებლობა

მეორე ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას, შეეხება სამეურნეო მშენებლობის საკითხებს, რადგან რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ეროვნულ მშვიდობიანობას, როგორც ამბობდა ლენინი, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას, ამ ხელისუფლების, როგორც სოციალიზმში გარდამავალი საფეხურის, განმტკიცებას, ხოლო ამისათვის კი საჭიროა სამეურნეო მშენებლობის გაძლიერება.

ეხლა, ამ პერიოდში, როცა დავადექით რეკონსტრუქციის გზას, როცა საჭიროა მთელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ნიადაგზე, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო მშენებლობის საკითხებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ამოცანები ძნელია, ხანგრძლივია და მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მკვეთრად უნდა გავატაროთ ეს ხაზი და არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ხოლო სოფლად—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ეს არის გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ჩვენში აქვს ადგილი აგრარულ გლეხურ მეურნეობათა და საქონლის წვრილ მწარმოებელთა არსებობის გამო. ეს არის ერთად-ერთი სწორი გზა, რომელიც მიგვიყვანს სოციალიზმის გამარჯვებამდე.

კულაკების წინააღმდეგ

ამავე დროს ჩვენს წინაშე სდგას მომენტის პოლიტიკური ამოცანები და ჩვენ გაშლილი დროშებით უნდა წავიდეთ საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს, როცა ამ ყრილობას დავამთავრებთ, ჩვენ ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ კულაკის, ნეპმანის და სამღვდელოების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ გაძვრენ საბჭოებში, გლეხკომებში და კოოპერატივებში. კულაკი მთელი თავისი „აგიტპროპით" და იარაღით, ცეცხლის წაკიდების და მკვლელობის საშუალებით, სხვადასხვა ხრიკებით სურს გავიდეს ამ ორგანოებში. ჩვენ ვეტყვით ამ კულაკებს, რომ ისინი არა მარტო ცოტა მოშორებით უნდა იყვნენ საბჭოებისაგან, არამედ ახლოსაც არ უნდა გაეკარონ მას.

ჩვენს საბჭოთა ორგანიზაციებში ადგილი არ უნდა იქნეს კულაკების და მათ დამქაშების. ჩვენ უნდა გავატაროთ მკაფიო კლასობრივი, ბოლშევიკური ხაზი. ამიტომ ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია, როგორიც არის საარჩევნო კამპანია, უნდა ჩატარდეს პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. პარტიამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საბჭოთა აპარატს და გასწმინდოს ის ყოველგვარ გაბიუროკრატებულ მიტმასნილ ელემენტებისაგან, რომლებიც ძირს უთხრიან სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

პარტიული მშენებლობის საკითხები

მესამე საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ეს არის ჩვენი პარტიის მდგომარეობის საკითხი. თქვენ, ამხანაგებო, იცით, რომ ჩვენი პარტია იზრდება და მას ხელმძღვანელობის გაწევა უხდება მეტად რთულ პირობებში.

როცა ჩვენ უნდა გავატაროთ ჩვენი ხაზი, პირველ ყოვლისა სდგება საკითხი ჩვენი პარტიის შემადგენლობის შესახებ. მართალი იყო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმი, რომელმაც დროულად დასვა საკითხი ჩვენი პარტიის რიგების გაწმენდის შესახებ და ამავე დროს წამოაყენა საკითხი მუშების და მოჯამაგირეების პარტიაში მიზიდვის შესახებ.

ეს ჩვენთვის საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენს პარტიაში უკვე ირიცხება მილიონ ნახევარი კაცი. ეს უდიდესი კომუნისტური არმიაა, ძლევამოსილი არმია, რომელიც მიდის წინ და არ არის გასაკვირალი, რომ ამ ძლევამოსილ არმიას ხანდახან ეტმასნებიან ზოგიერთი არამზადები, გაიძვერები და ჯიბის მოჭრელები, რომელთაც უნდათ როგორმე გამოიყენონ კომუნისტის სახელწოდება.

ჩვენი მიზანია ამჟამად თავი დავაღწიოთ ამ ელემენტებს, ამ არამზადებს, მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს, რომელნიც გარეგნულად იცვლიან ფერს, ხოლო გულით ისევ მენშევიკი, დაშნაკი და მუსავატელი რჩებიან.

ჩვენ უნდა გავსწმინდოთ ჩვენი პარტიის რიგები იმისათვის, რომ გავხადოთ ის მონოლიტურ, ნამდვილ ბოლშევიკურ პარტიად, რომელიც უნდა მიდიოდეს წინ ერთი მთლიანი და მთლიანი ლენინური პროგრამით (ტაში).

როცა პარტიას გავსწმენდთ ასეთ ელემენტებისაგან, ჩვენ ფართოდ უნდა გავუღოთ კარები მუშებს და მოჯამაგირეებს, პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ელემენტებს, რომლებიც უნდა გაზრდიან ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციის შემადგენლობას. მაშინ გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ უზრუნველვყავით იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენი პარტია.

ბრძოლა ანტილენინურ გადახრებთან

ამხანაგებო, ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ორ ფრონტზე ბრძოლის საკითხი. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მემარჯვენე საფრთხეს, რომელიც ამჟამად მთავარ საშიშროებას წარმოადგენს. უნდა ვებრძოლოთ ამ მემარჯვენე საფრთხეს და მისდამი შემარიგებელ განწყობილებას. უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ამ ბოლო დროს ტროცკისტებმა გააცხოველეს მუშაობა, ამას ვხედავთ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზედ. მე არ ვიცი როგორი მდგომარეობაა სომხეთში, მაგრამ საქართველოში ტროცკისტ-უკლონისტების ნაშთებმა განაახლეს მუშაობა, ისინი ავრცელებენ ყოველგვარ პროკლამაციებს, ცდილობენ ჩაშალონ კოლხელშეკრულების დადების კამპანია, პროპაგანდას ეწევიან საიდუმლო კრების ყრის სასარგებლოდ პარტიაში, პროვოკაციებში და სხვ. თქვენ ხედავთ, რომ ისინი თანდათან დაიწყეს მენშევიზმისაკენ.

ამჟამად ტროცკისტებსა და მენშევიკებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. აი, რატომ უნდა ვებრძოლოთ ჩვენ მათ, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტებს. ჩვენმა სახელმწიფო აპარატმა უნდა მოიმარჯვოს მთელი თავისი ძალ-ღონე და ყველა საშუალებები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამავე დროს ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული, რომ ეხლანდელი სოციალ-ეკონომიური პირობები შეიცავს ჩვენს პარტიაში მემარჯვენე განწყობილებების და მემარჯვენე ტროცკისტური ზრდის საშიშროებას. აი, რატომ წარმოადგენს ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას ამჟამად მემარჯვენე გადახრა და მისდამი შემარიგებელი განწყობილება.

ამხანაგებო, არის ისეთი ხალხი, რომელსაც არ უნდათ დაიჯერონ, რომ მემარჯვენე საფრთხე წარმოადგენს რაიმე რეალურ საშიშროებას ჩვენს პარტიაში. მათ სურთ „დაითხზონ" ეს ფაქტიც და მოერიდონ. ეს არის ნამდვილი მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელსაც ეწოდება შემარიგებლობა. ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალს ძლიერ მემარჯვენე საფრთხის. თუ არ ვაწარმოებთ ბრძოლას შემარიგებლობის წინააღმდეგ, აი, რატომ უნდა ვაწარმოოთ ჩვენ ბრძოლა ორ ფრონტზე. ამ ბრძოლას უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება.

ახალი გამარჯვებებისაკენ

ამჟამად, როგორც ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა, ჩვენი ამოცანაა ის, რომ მუშათა კლასი გლეხობის ძირითად მასებთან ერთად დაუფლებულიყო და ენერგიულად შეუტიოს კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრას. ეს ამოცანა მოითხოვს მკაფიო და გარკვეულ გზას და ყველა იმ სიძნელის გათვალისწინებას, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე.

მე ვფიქრობ, რომ სომხეთის კომპარტიის ყრილობა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და დაავალებს ცეკას ახალ შემადგენლობას განაგრძოს ის პოლიტიკა, რომელსაც ამ ყრილობამდე წარმატებით ატარებდა ახალი ხელმძღვანელობა.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხელმძღვანელობის შესახებ როგორც ახალზე, ვინაიდან ის უკვე არის ძველი, ნაცადი და საიმედო ხელმძღვანელობა.

გაუმარჯოს სომხეთის კომპარტიას, რომელიც გადაუხრელად მიდის წინ ლენინიზმის დროშით.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას, დიადი ლენინის დიდ პარტიას (მქუხარე ტაში), (ყრილობა ფეხზე ამდგარი ესალმება ამხ. კახიანს).

ხანჯიანი—გაუმარჯოს საქართველოს მოძმე კომპარტიას (მქუხარე ტაში).

ბაქოს პარტიული კონფერენცია

ამხ. შკირიატოვის სიტყვა

ბაქო, 28 იანვარი. თავისი სიტყვის დასაწყისში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მდივანი ამხ. შკირიატოვი დაწვრილებით შეჩერდა დაწინაურების, აქტივის ზრდისა და თვითკრიტიკის საკითხებზე ბაქოს ორგანიზაციაში. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ბალიოვის რაიონულ ორგანიზაციაში შექმნილ მდგომარეობას. მან განაცხადა:

„შევჩერდები კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთ თქვენთაგანს აღელვებდა მემარჯვენე საფრთხის საკითხთან დაკავშირებით და რომელმაც ამდენი ლაპარაკი და დავა გამოიწვია.

მე, ამხანაგებო, გადავათვალიერე ოქმები, რათა დავრწმუნებულიყავი—ებრძვის თუ არა ბაქოს ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი შემადგენლობა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, ხედავს თუ არა იგი ამ საფრთხეს. მე მინდა ვსთქვა, რომ დიახ, ებრძვის ამ საფრთხეს და ხედავს მას. როცა მოვდიოდი მოსკოვიდან, ვესაუბრე ჩვენი პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელებს. მართალი გითხრათ, სიცილიც კი მოგვივიდა, როცა წავიკითხე თქვენი დავა. რატომ? იმიტომ, რომ ამჟამად, ასეთი ხელმძღვანელობის დროს, არავის არ შეუძლია იფიქროს, რომ ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობა და თვით ბაქოს ორგანიზაცია ხელს აფარებენ მემარჯვენე საფრთხეს, აფუჩეჩებენ საკითხს შემარიგებლობის შესახებ. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება საკითხი მემარჯვენე საფრთხის შესახებ ერთ ორგანიზაციაში გაირჩა ხუთჯერ (ვთქვათ ბაქოს და რომელსამე სხვა ორგანიზაციას სხვა რომელიმე ოლქში). მეორეში გაირჩა არა ხუთჯერ, არამედ ოთხჯერ. განა შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ორგანიზაცია, რომელმაც საკითხი განიხილა ოთხჯერ, არ იბრძვის მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ? არა, ამხანაგებო, ამისი თქმა არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ ეს საკითხი ცეკას პლენუმის შემდეგ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დადგა ჩვენს წინაშე. შეიძლება რომელიმე უჯრედში ცოტათი დააგვიანეს ამ საკითხის დასმა. მერე რა? შეიძლება დაისვას შემდეგ სხდომაზე. მაგრამ თქვენ ხომ არ გქონდათ განზრახული რომ საერთოდ არ დაგესვათ ეს საკითხი, რასაც, მაგალითად, ადგილი ჰქონდა მოსკოვის ორგანიზაციაში? იქ ხელმძღვანელ ორგანოებს არა სურდათ ამ საკითხის დასმა, ხოლო მოსკოვის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ცეკას პლენუმზე განაცხადა: „ვებრძოდი ცეკას წინააღმდეგ".

ბაქოს ორგანიზაციაში კი, ამ მასალებისა და ოქმების მიხედვით, რომლებიც გადავათვალიერე და იმ კამათის მიხედვით, რომელიც აქ მოვისმინე მე ვხედავ—როგორ ებრძვით თქვენ. შესაძლებელია, რომ ცოტათი დააგვიანეთ (თქვენ თათბირზე დასვით ეს საკითხი და იქ ამბობდით, რომ შეიძლება ცოტათი დავაგვიანეთ). ეს არაფერია,—რა არის აქ გასაკვირველი? ამაში არ შეგვიძლია ბრალი დავსდოთ ბაქოს კომიტეტს. სერიოზული საქმე არის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, რომელიც [illegible] ორგანიზაციას არ შეუძლია ერთი ან [illegible] დღის განმავლობაში [illegible] ჩემის აზრით ბაქოს კომიტეტი მისი ეხლანდელი შემადგენლობით შემდეგში შესძლებს გაიცნოს პარტიულ მასას მემარჯვენე საფრთხის [illegible] და [illegible] აწარმოოს იდეური ბრძოლა ამ საფრთხის წინააღმდეგ. ეს რის თქმა მინდოდა მე წინასწარ.

ეხლა ამხ. არტაკის შესახებ. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ბევრს არ ვილაპარაკებ და გამოვსთქვამ მხოლოდ ჩემს პირად აზრს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ან ცეკას აზრი. ამას მე ვამბობ იმისთვის, რომ არ მივცე საბაბი ამხანაგებს დაეყრდნონ ჩემს სიტყვებს და სთქვან, რომ ამ საკითხს ასე უყურებს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია.

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა შევჩერდები ამხ. არტაკის წერილზე. ამხ. არტაკი სწერს: „ეხლა, როცა სავსებით მკაფიოდ ჩაისახა მემარჯვენე გადახრა, საჭირო იყო პირველ რიგში დასმულიყო პარტიის სწორი პოლიტიკური ხაზისათვის ბრძოლის საკითხი". სხვა ადგილებს ამ წერილიდან არ მოვიყვან.

ამხ. არტაკის ადგილზე (ის ხომ ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია და ბაქოს ორგანიზაციის ერთ-ერთი მდივანი) მე ამას არ დავსწერდი. იქნება ამხ. არტაკს ეგონა, რომ ეს ფრაზა უმნიშვნელო დარჩება. შეიძლება სხვაგან, სხვა ვითარებაში ამას არ გამოეწვია ასეთი წინააღმდეგობა როგორც აქ. რატომ? იმიტომ, რომ აქ იყო ქსენოფონტოვი. მან გაუარ-გამოუარა ორგანიზაციებს—და უეცრად გაჩნდა წერილიც. ქსენოფონტოვმა თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა „პრავდა"-ში, აღნიშნა, რომ ბაქოს კომიტეტი საკმაოდ ენერგიულად არ ებრძვის მემარჯვენე საფრთხეს, ხოლო ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც წინად მუშაობდნენ ბაქოს ორგანიზაციაში და უკმაყოფილონი იყვნენ რითიმე, ცდილობდნენ როგორმე ევნოთ ბაქოს კომიტეტისათვის და აცხადებდნენ რომ ის საკმაოდ ვერ ატარებს თვითკრიტიკასო. და, ბოლოს, ბაქოს კომიტეტის ბიუროს წევრი, ერთ-ერთი რაიონის მდივანი სწერს, რომ უჯრედთა ბიუროების არჩევნების დროს არ ტარდებოდა სწორი პოლიტიკური ხაზი მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლაში. მე აქ ვესაუბრე ამხ. არტაკს. ის კარგი ბიჭია. ამხ. არტაკი ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ მის წერილში არაფერი არ არის ნათქვამი პოლიტიკური ხაზისა და, საერთოდ, ბაქოს კომიტეტის ხაზის შესახებ. ჩემის აზრით, ამხ. არტაკის შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მან ვერ გაითვალისწინა თუ რა მოხდა ამ ცოტა ხნის წინად მოსკოვის ორგანიზაციაში როცა ხელმძღვანელთა ნაწილი ხელს აფარებდა მემარჯვენე საფრთხეს, არ იძლეოდა სწორ პოლიტიკურ გზას ამ საფრთხესთან ბრძოლაში.

ამხ. არტაკი თავის წერილში თითქმის ისევე აყენებს ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობას, როგორც თავის დროზე შეფასებული იყო მოსკოვის ორგანიზაციის ძველი ხელმძღვანელობა. ეს კი არსებითად შეუძლებელია და ამიტომ წერილს არ შეეძლო არ გამოეწვია სასტიკი წინააღმდეგობა, როგორც ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელების, ისე მთელი ორგანიზაციის მხრივ.

ამხ. არტაკის ადგილზე მე, სანამ დავბეჭდავდი წერილს მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის ნაკლის შესახებ, ამ წერილს ვუჩვენებდი ბაქოს კომიტეტის წევრებს და მოველაპარაკებოდი მათ. იქნებოდა თუ არა მაშინ ეს თვითკრიტიკა? უნდა ვსთქვა, რომ იქნებოდა, და მაშინ წერილი ასახავდა ბაქოს ორგანიზაციის ნამდვილ მდგომარეობას.

ამხ. არტაკის მეორე შეცდომად მე ვსთვლი იმას, რომ როცა დაიბეჭდა ყველაფერი ეს, მან არავითარი ზომები არ მიიღო თავისი შეცდომის გამოსასწორებლად. როგორ უნდა გამოესწორებინა მას ეს შეცდომა? როცა აღელდნენ და სთქვეს, რომ არ ესმით ისე, როგორც შენ გესმის, მაშინ დასწერე მეორე წერილი. თუ გეძნელდება ასეთი გრძელი წერილის დაწერა, როგორიც წინად დასწერე (მართლაც შეიძლება, რომ ეს ძნელი იყოს—მე თვითონ ძალიან ცოტა, თითქმის არაფერი დამიწერია; არის შემთხვევები, როცა თქმით იტყვი, მაგრამ დაწერა არ გეხერხება) (სიცილი), თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ დასწერე მოკლედ. იმისათვის, რომ მოესპო მთელი ეს ყოველგვარი დავიდარაბა ამ საკითხის გარშემო და დამშვიდებოდა ორგანიზაცია, ამხ. არტაკს უნდა დაეწერა მეორე მოკლე წერილი, რომელშიაც ის აღნიშნავდა, რომ მისი წერილი ვერ გაიგეს სწორად, გაიგეს არა ისე, როგორც ავტორი ფიქრობდა და ამიტომ იგი სწერს მეორე წერილს და განმარტავს თავის აზრს. მაშინ შეიძლება ყველაფერი მოწესრიგებულიყო. დამშვიდდებოდნენ აგრეთვე ისინი, ვინც ასე აღელვა ამხ. არტაკის წერილმა. მაგრამ ამხ. არტაკმა ასეთი განმარტება არ დასწერა. იყო შესაძლებლობა, მაგრამ მან არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. როცა ამხ. არტაკს და რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმს საუბარი ჰქონდათ ბაქოს კომიტეტის ცალკე ხელმძღვანელებთან, ამ უკანასკნელებმა წინადადება მისცეს ბალიოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს—გაეთავებინათ ეს საკითხი იმით, რომ ბაქოს კომიტეტი მიუთითებდა სხვა რაიონებისა და „ბაკინსკი რაბოჩი"-ს შეცდომებზე ამხ. არტაკის წერილის ირგვლივ, ხოლო ბალიოვის რაიკომის პრეზიდიუმი აღნიშნავდა ცალკე არასწორ ადგილებს ამხ. არტაკის წერილში.

ბაქოს კომიტეტმა გამოასწორა რაიონების და გაზეთის შეცდომები, ხოლო ამხ. არტაკი ასე არ მოიქცა და საკითხი განსახილველად გადაიტანა ბალიოვის რაიონში. სწორედ ამან გაართულა შემდეგში საკითხი.

და, ბოლოს, მე შეცდომად მიმაჩნია ის, რომ ამხ. არტაკმა ამ საქმეში ჩააბა მთელი რაიონი (ხმები: „მართალია"). ამხანაგებო, რატომ და რისთვის იყო საჭირო მთელი რაიონის ჩაბმა ამ წერილის საქმეში? ეს არ იყო საჭირო და არც უნდა ექნა ამხ. არტაკს.

ამხანაგებო, მე არ შევჩერდები წვრილმან საკითხებზე. ვლაპარაკობ უმთავრესზე და არ მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ყოველ წვრილმანზე. დეტალების შესახებ ვილაპარაკებ მოსკოვში, როცა მოხსენებას გავუკეთებ ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

ამით დავამთავრებ საკითხს ამხ. არტაკის შეცდომების შესახებ. ეხლა გადავალ ბაქოს კომიტეტზე.

რაში გამოიხატება ბაქოს კომიტეტის შეცდომა? ამხ. არტაკმა დასწერა წერილი. საჭირო იყო მოლაპარაკება, თათბირი ამხ. არტაკსა და ბაქოს კომიტეტს შორის (თუ ისინი თანხმობით ცხოვრობდნენ და არაფერს ერთი მეორის საწინააღმდეგოს არ აკეთებდნენ, ხოლო ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, რომ არც ბაქოს კომიტეტს და არც არტაკს არაფერი ჰქონიათ ერთი-მეორის საწინააღმდეგო). ამხ. არტაკი არ წავიდა ბაქოს კომიტეტში და ისე დაბეჭდა წერილი უჯრედთა ბიუროების არჩევნების შესახებ. ბაქოს კომიტეტს ან „ბაკინსკი რაბოჩი"-ს რედაქტორს, რომელზედაც ბაქოს კომიტეტმა მიუთითა თავის რეზოლუციაში, უნდა გამოეწვია ამხ. არტაკი და ეთქვა მისთვის: „არა, ძვირფასო მეგობარო, შენ სწორად არ სწერ და ჩვენთან ერთად პასუხისმგებელი ხარ ამ მუშაობისათვის"-ო. მართალია, ამხ. არტაკს შეეძლო ეთქვა: „არ უშვებენ წერილს, სდევნიან თვითკრიტიკას"-ო. შეიძლება ასეც მომხდარიყო, მაგრამ თქვენ მაშინ გექნებოდათ გასამართლებელი საბუთი, რომ თვით ამხ. არტაკი არ დაგეთანხმათ. მაშინ, რას იზამ, დასწერე, მაგრამ იცოდე, რომ ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ თავიდან აგვეცილებინა შენი შეცდომა. ხოლო ბაქოს კომიტეტი ასე არ მოიქცა. ბაქოს კომიტეტი რომ ასე მოქცეულიყო, შეიძლება ჩვენ არც კი ვყოფილიყავით ამ ამბის მოწმენი. აქ რომ დაიწყოთ იმის გამორკვევა, თუ ვის მიუძღვის პირველად დანაშაული, ეს საქმეს არ უშველის. რჩევის მიცემა ადვილია. მართალია, ჩემთვის აქ ადვილია რჩევა-დარიგების მიცემა და შეიძლება მე რომ აქ ვყოფილიყავი, ასეთსავე შეცდომას დავუშვებდი.

მოხდა შეცდომა, მერე რა? აქ ისეთი არაფერია. საჭიროა მხოლოდ ამ შეცდომის აღიარება.

ეხლა სხვა რაიონების შესახებ. მე არ მინდა იმის თქმა, რომ სხვა რაიონებს არ ჰქონდათ უფლება გამოეტანათ რეზოლუცია ბაქოს კომიტეტის მუშაობის შესახებ, გამოეტანათ საუკეთესო რეზოლუციები, რასაკვირველია, ჰქონდათ უფლება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე სპეციალური რეზოლუციის გამოტანა არ იყო საჭირო. აქ ლაპარაკობდნენ ბაქოს კომიტეტის ავტორიტეტისათვის მხარის დაჭერაზე. განა ბაქოს ორგანიზაციის ავტორიტეტი იმდენად სუსტია, რომ მას სჭირდება მხარის დაჭერა? (სიცილი). მე ველაპარაკე სურახანის რაიკომის მდივანს ამხ. სურიგინს—მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სწორედ ამ სურიგინმა თავის რეზოლუციაში ასეთი რამ დასწერა. მე წავიკითხავ ადგილს ამ რეზოლუციიდან: „იღებს რა ამას მხედველობაში, რაიკომის პლენუმი სთვლის, რომ ამხ. არტაკის წერილი არ შეეფერება სინამდვილეს და სავსებით იმიჯნება მისგან". მერე ვინ გატანდათ ძალას შეგეხებინათ მას? (სიცილი). თურმე ბაქოს კომიტეტს ზომები მიუღია ამხ. არტაკის წერილის ასეთი განხილვის წინააღმდეგ (მე ეს არ ვიცოდი მოსკოვში, არ იცოდა ალბად ამხ. იაროსლავსკიმაც). ბაქოს კომიტეტი ცდილობდა საკითხის განხილვას არ მისცემოდა ასეთი მიმართულება რაიონებში, მაგრამ ერთხელ რომ დაიწყო—წავიდა, შეჩერება უკვე ძნელი იყო. ვიმეორებ, ყველაფერი ეს არ იყო საჭირო. მესმის, როცა სწარმოებს იდეური ბრძოლა, მაშინ შეიძლება რეზოლუციების გამოტანა ყველა რაიონში, რათა ეს იცოდეს არა მარტო ბაქოს პროლეტარიატმა, არამედ მთელმა პარტიამ. აი როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა სწარმოებს იდეური ბრძოლა. აქ კი რა გამოვიდა? ტყუილად მოიქეცით ასე, ტყუილად ესროდით ზარბაზნებს ბეღურებს (სიცილი), ესეც შეცდომა იყო. უნდა მიგეღოთ ზომები, რომ შეგეჩერებინათ ტალღა.

ზოგიერთებმა გადმომცეს, რომ ბალიოვის კონფერენციაზე ბაქოს კომიტეტი ცდილობდა მიეწვია დელეგატები და სათანადო მუშაობას აწარმოებდა მათ შორის; სხვები ამბობენ, რომ ასეთსავე მუშაობას ეწეოდნენ ამხ. არტაკი და სხვები. მერე რა გიკვირთ აქ? როცა სწარმოებს ბრძოლა თავისთავად ცხადია ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მომხრე იშოვონ. მაშ თქვენ როგორ გეგონათ ეს ხომ ბრძოლის ლოღიკაა. ამაში ვერ დავსდებთ ბრალს ბაქოს კომიტეტს. მე გადავიკითხე ბალიოვის რაიონული კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში, თქვენ როგორ გგონიათ—ბაქოს კომიტეტს გულზე ხელი უნდა დაეკრიფა? რასაკვირველია, ბაქოს კომიტეტი წავიდა კონფერენციაზე. მაშ სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?

ამ საკითხში მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რამდენად სწორი ან შემცდარი იყო ბრძოლის მეთოდები ცალკე რაიონებში. ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა, რომელიც არ იყო საჭირო, რასაკვირველია ბრძოლამ გამოიწვია მთელი რიგი არასწორი მომენტები, მე ამხ. ორჯონიკიძეს მივსწერე, რომ ეს ბრძოლა არ იყო საჭირო, რომ მას არავითარი საფუძველი არა აქვს, რომ ის საზიანოა ბაქოს ორგანიზაციისათვის. რატომ? იმიტომ, რომ როცა ჩვენ ვიბრძვით, მაშინ აღარ ვმუშაობთ. ეს სავსებით გასაგებია, თუ არ ვცდები უკვე ორი-სამი კვირაა განაგრძობთ ამ ისტორიას. დამნაშავეა ამაში ამხ. არტაკიც, რომელსაც, როგორც ბაქოს კომიტეტის წევრს, უნდა მიეღო სათანადო ზომები, დამნაშავე არიან ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელნიც, რომელთაც თავის დროზე არ მიიღეს ზომები ბალიოვის ორგანიზაციაში შექმნილ მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის.

მე მომხრე ვარ თვითკრიტიკის, მე მთელი ასი პროცენტით მხარს ვუჭერ იმ დებულებას, რომ საჭიროა ზედა ფენების გაკრიტიკებაც, მაგრამ როგორი უნდა იქნეს ეს კრიტიკა? ისეთი, რომ სარგებლობა მოგვიტანოს. რად გვინდა ისეთი კრიტიკა, რომელსაც არ მოაქვს სარგებლობა, რომელიც, პირიქით, საქმეთა არასასურველ შედეგებს იძლევა? ერთი ამხანაგი გამოვიდა კრიტიკით არა ისე, როგორც საჭიროა და ის ამაში დამნაშავეა, ხოლო მეორე არ არის დამნაშავე და მაინც იცავს თავს, თითქოს, მას ვინმე თავს ესხმის, სწორედ ამაშია დამნაშავე ბაქოს კომიტეტი.

ამხანაგებო, მე მინდა აღვნიშნო, რომ ხშირად არასაჭირო ბრძოლა იწვევს არასაჭირო მოქმედებას (ეს უკვე იყო ბაქოს კომიტეტის მხრივ), ბალიოვის საკითხთან დაკავშირებით მაგალითად, თვით უჯრედებმა, ორი სამი მდივანი გადაირჩიეს, მართალია უჯრედებს ყოველთვის აქვთ ამის უფლება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მდივნების გამოცვლა ამ დროს, ამ საკითხთან დაკავშირებით არ იყო საჭირო. ამ მხრივ ხელმძღვანელ ორგანოს დაეკუთხნა ზოგიერთი ამხანაგი, როგორც სჩანს, ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა.

აქ ილაპარაკეს ამხ. იაროსლავსკიზე. მე, რასაკვირველია, არ შემიძლია არ ვსთქვა რაიმე ამის შესახებ, როცა მოსკოვში ჩავალ მე ამხ. იაროსლავსკის დაწვრილებით გავაცნობ საქმის მდგომარეობას—შეიძლება მაშინ მან კიდევ დასწეროს წერილი მთელი ამ საკითხის გამარტებით. მოსკოვიდან წამოსვლის წინ მე ამის შესახებ ველაპარაკე ორჯონიკიძეს და იაროსლავსკის. ამხ. იაროსლავსკის არაფერი აქვს ბაქოს კომიტეტის და საერთოდ ბაქოს ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ამხანაგებო, შეიძლება უკეთესი იქნეს, როცა თვით ამხ. იაროსლავსკი მოილაპარაკებს ამის შესახებ ბაქოს კომუნისტებს თავის ახალ წერილში, რომელსაც ის, დარწმუნებული ვარ, დასწერს. როცა მე წამოსვლის წინ ლაპარაკი მქონდა ამხანაგებთან, ჩვენი შეხედულება ისეთი იყო, რომ თქვენ აქ სრულიად უსაფუძვლოდ ასტეხეთ ჩხუბი. ასეთი უკეთურება საკითხს ამხ. იაროსლავსკი, მე ვფიქრობ, რომ ამხ. იაროსლავსკი თვითონ მისცემს განმარტებას ბაქოელებს თავისი წერილის შესახებ და საერთოდ ეს განმარტება იქნება (ხმები: „სწორია").

ამხანაგებო, მე თქვენ მოკლედ გაგაცანით ჩემი აზრი. ყველაფერი რომ ქრონოლოგიურად დავალაგოთ ჩვენ დიდი დრო მოგვინდება. ყველაფერი ეს უმჯობესია გადავცეთ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

დასასრულ მე მინდა აღვნიშნო, რომ ბაქოს ორგანიზაცია ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაციაა, მისი ხელმძღვანელი შემადგენლობა გამოსულია ბაქოს პროლეტარიატის რიგებიდან. მდგომარეობა ასეთია: კარგ ხელმძღვანელს, კარგ პროლეტარიატს მეტი მოეთხოვება, ორი კვირის განმავლობაში ორგანიზაცია ნერვულობას განიცდიდა, დაკარგული ჰქონდა წონასწორობა. მე იმედი მაქვს, რომ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით აქ ყველაფერს ამას აღმოფხვრით და იმ ამხანაგებთან ერთად, რომლებიც გაუფრთხილებელ ნიადაგზე დაყენებული ბრძოლის დროს თქვენ არ გეთანხმებოდნენ, შექმნით საუკეთესო პირობებს შეთანხმებული მუშაობისათვის. იმედი მაქვს, რომ ბაქოს ორგანიზაცია, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზაცია, შემდეგშიაც ჩვენი კომუნისტური პარტიის პირველ რიგებში დარჩება. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

მიწადმოწყობისა და მიწადმოქმედების მუშაკთა თათბირი

მეორე დღე

28 იანვრის დილის სხდომაზე თათბირმა მოისმინა საქ. მიწადმოქმედების სახკომისარიატის სამიწადმოწყობო განყოფილების გამგის ამხ. გოგილაძისა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილის ამხ. შ. ქურდაძის თანამოხსენებები მიწადსარგებლობისა და მიწადმოწყობის შესახებ.

მიწადსარგებლობისა და მიწადმოწყობის საკითხები

ამხ. გოგილაძის თანამოხსენება

კომპლეტური მიწადმოწყობა

მიწადმოწყობის ისტორია საქართველოში უნდა გაიყოს ორ პერიოდად. პირველ პერიოდს, რომელიც გრძელდება 1921 წლიდან 1928 წლამდე, შეიძლება დაერქვას ინდივიდუალურ მიწადმოწყობის პერიოდი, ხოლო მეორე პერიოდს, რომელიც იწყება 1928 წლიდან, შეიძლება უწოდოთ მიწადმოწყობა კოლმეურნეობისათვის პირობების მოსამზადებლად.

მიწადმოწყობის პირველი პერიოდი დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 დღეს გამოცემულ დეკრეტით. ამ დეკრეტით მიწადმოქმედების ორგანოებს ევალებოდათ გამოემუშავებინათ სათანადო ნორმები და ამ ნორმების მიხედვით ჩაეტარებიათ მიწის ზედმეტი ნაკვეთების ჩამორთმევა. ამისათვის შედგენილ იქნა სპეციალური კომისიები, რომლებიც სამუშაოდ დაიგზავნა სოფლებში. ყველა ის მიწისმზომელნი (200 კაცამდე), რომლებიც ამ ხანებში მიწადმოქმედების კომისარიატს ყავდა, მუშაობდენ ამ სპეციალურ კომისიებთან ერთად. კომისიები აწარმოებდენ თვითეული კომლის მიწის რაოდენობის გამოკვლევას და მიღებულ მასალების მიხედვით ადგენდენ საშუალო მიწადმოსარგებლის ტიპს ყოველი სოფლისათვის. ამ საშუალებით ყოველ ცალკე სოფლისათვის გამომუშავებულ იქნა მიწადსარგებლობის ნორმა. მაგრამ ცალკე სპეციალურმა კომისიამ ყოველი ცალკე სოფლისათვის ნორმის დატოვება შეუძლებლად სცნო და გამოიმუშავა საერთო საზომი. მთლიანად საქართველოსთვის გამომუშავებულ იქნა ნორმების 4 კატეგორია, მთელი რესპუბლიკა კი დაიყო 5 სამეურნეო რაიონად, მაგრამ საქართველოს ნიადაგის სხვადასხვაობა ისეთი მრავალფეროვანია, რომ შემდეგში მიწების დაყოფა 4 კატეგორიად საკმარისი არ აღმოჩნდა.

მიწის რეფორმა

1922 წლიდან მიწსახკომი შეუდგა სოფელთა შორის მიწადმოწყობას, რადგან სოფლებს შორის დავამ მიწის თაობაზე მწვავე ხასიათი მიიღო. სოფელთაშორისი მიწადმოწყობამ რამოდენიმედ დააგვიანა მიწების ჩამორთმევა, ამას კი მოჰყვა გლეხობის უკმაყოფილება. 1923 წლიდან მთავრობის განკარგულებით დაიწყო მიწის რეფორმის დაჩქარებით გატარება. ამ რეფორმის გატარება უნდა დამთავრებულიყო ორ კვირაში, მაგრამ გაგრძელდა წელიწადნახევარი. რეფორმა ჩატარდა სულ 1.176 სოფელში, ჩამორთმეულ იქნა 75 ათასი ჰექტარი მიწა. სულ ზედმეტი მიწა ჩამოერთვა 38 ათას კომლს, აქედან 14 ათასი იყო ყოფილი თავადაზნაურობა და სხვა არამშრომელი ელემენტი, ხოლო 5 ათასი გლეხობის ის ნაწილი, რომელსაც მიწა ნორმაზე მეტი აღმოაჩნდა. დანარჩენი 8 ათასი კომლის სოციალური მდგომარეობა, გამოურკვეველი დარჩა.

სოფელთაშორისი მიწადმოწყობა

1923 წლიდან გრძელდებოდა აგრეთვე მიწადმოწყობა სოფლებს შორის. ამ მუშაობას შედეგად მოჰყვა საზღვრების მოწესრიგება 889 სოფელს შორის, ზოგიერთ სოფლისაგან მიწის ჩამორთმევა და მეორესათვის გადაცემა. დღემდე მთლიანად სოფელთაშორისი მიწადმოწყობა ჩატარებულია მხოლოდ ახალციხის მაზრაში. დანარჩენ მაზრებში ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. სოფელთაშორისი მიწადმოწყობაც დაჩქარებით წესით სწარმოებდა. ამა თუ იმ სოფლის მიწის რაოდენობის გამორკვევა სწარმოებდა არა გაზომვით, არამედ დაკითხვით. ასეთი დაკითხვით სწარმოებდა ინდივიდუალური მეკომურის მიწის ზომის გამორკვევა, რამაც გლეხობაში უკმაყოფილება გამოიწვია. უტყუარ ცნობებს არავინ იძლეოდა, გამოდიოდა თითქოს ჩამოსართმევი მიწა არავის არ ქონდა.

უგეგმო მუშაობა

ამის შემდეგ დაიწყო ინსტრუმენტებით მუშაობა, რომელიც 1928 წლამდე გაგრძელდა. ინდივიდუალური მიწადმოწყობას შედეგად მოჰყვა წვრილი მიწით მოსარგებლეთა პროცენტის შემცირება 44-დან 4-მდე. ამჟამად რიცხვი იმ მიწადმოსარგებლეების, რომელთაც აქვთ მიწა 1/4-დან ნახევარ დესეტინამდე, აღწევს 4 პროცენტს. ამ მიწადმოსარგებლეებს უმთავრესად აქვთ ვენახები და ბაღები.

უნდა ითქვას, რომ მთელი მიწადმოწყობა ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა უგეგმოთ. თუმცა 1925 წლის გეგმაში შეტანილი იყო სოფლები, სადაც უნდა ჩატარებულიყო მიწადმოწყობა, მაგრამ ეს გეგმა ხშირად არ სრულდებოდა. მეტწილად მიწის მზომლები იგზავნებოდენ იქ, სადაც მიწის საკითხი მწვავე ხასიათს იღებდა.

სას. მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე

1928 წლიდან ხდება გარდატეხა მიწადმოწყობის საქმეში. ამ გარდატეხას საფუძვლად დაედვა საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივა, სადაც ნათქვამი იყო, რომ მუშაობა მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის დარგში შეფარდებოდა ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. მიწადმოქმედების კომისარიატმა მობილიზაცია გაუკეთა უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკებს, რომელთაც დაამუშავეს მიწადმოწყობის ინსტრუქცია იმ საფუძველზე, რომელსაც ზემოხსენებული დირექტივა იძლეოდა. ამ ინსტრუქციაში დაცულია კლასობრივი მიდგომა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თვალსაზრისი. ინსტრუქცია დაედვა საფუძვლად 1928 წლის წარმოებულ მუშაობას, რომელიც შეეხო კოლექტივების მიწადმოწყობას და ჯგუფურ მიწადმოწყობას. 1928 წლის განმავლობაში მოწყობილ იქნა სულ 268 კოლმეურნეობა, რომელიც აერთიანებს 5116 ოჯახს. მიწის მოწყობამდე ამ მეურნეობათ ქონდათ 13.014 ნაკვეთი, რომელიც მიწადმოწყობით 1.198 ნაკვეთამდე იქნა დაყვანილი, ე. ი. მრავალნაკვეთიანობა შემცირდა 16-ჯერ საერთოდ, ხოლო არის მაზრა, სადაც ნაკვეთების რაოდენობა 40-ჯერ იქნა შემცირებული. მიწის რაოდენობა კოლექტივებს გაუდიდდათ 12 ათასი ჰექტარიდან 17 ათას ჰექტარამდე, რაც შედეგად მოჰყვა ნაკვეთების გადაცვლა-გადმოცვლას და კოლექტივებისათვის საჭიროდ მიწების გადაცემას.

საშუალოდ თითო მიწების მზომელს მოუწყვია კოლექტივში თვეში 24 კომლი, ამგვარად გამოდის, რომ კოლექტივები ადვილებენ მიწადმოწყობის მუშაობას.

ჯგუფური მიწადმოწყობა

შემდეგ მომხსენებელი ეხება ჯგუფურ მიწადმოწყობას, რომელიც 28 წლის განმავლობაში სწარმოებდა ბორჩალოს, თბილისის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის, თელავის და სიღნაღის მაზრებში. ჯგუფური მიწადმოწყობა ამ ხნის განმავლობაში შეეხება 8.700 კომლს, აქედან 42 პროცენტს შეადგენს ღარიბი, 44 პროც. საშუალო, 4 პროც. შეძლებული, 10 პროცენტის სოციალური მდგომარეობა გამოურკვეველია. ჯგუფური მიწადმოწყობის დროს დაცული იყო კლასიური თვალსაზრისი, საუკეთესო მიწები ეძლეოდა ღარიბ გლეხობას სოფელთან ახლო მდებარე მიდამოებში. იყო შემთხვევები, როცა, თვით ღარიბი გლეხობის მოთხოვნით, მათ ეძლეოდათ საუკეთესო მიწები, მაგრამ სოფლიდან მოშორებით. ჩვენ მიერ გამომუშავებული გეგმა ჯგუფური მიწადმოწყობის საქმეში ჯერ კიდევ მთლად არ არის შესრულებული. მისი გატარება მომავალი წლების საქმეა.

ზოგიერთი დეფექტები

შემდეგ მომხსენებელი ეხება ამხ. გენძეხაძის მიერ მიწადმოწყობის საქმეში აღნიშნულ დეფექტებს.

— მართალია,—ამბობს იგი,—ამხ. გენძეხაძე, რომელიც აღნიშნავს მიწადმოწყობის გამოუკვლეველ ხასიათს. ეს ნაკლი ახასიათებს ყველა რესპუბლიკების მიწადმოწყობის პირველ პერიოდს და გამოწვეულია საერთო მდგომარეობით. ამხ. გენძეხაძისგან აღნიშნული მეორე ნაკლი არის აგრონომების სუსტი მონაწილეობა მიწადმოწყობაში, მაგრამ აგრონომები დამნაშავენი არ არიან იმდენად, რამდენადაც დღემდე გამორკვეული არ იყო, თუ რა უნდა გაეკეთებიათ მათ ამ დარგში. აგრონომები მხოლოდ მიწის დახარისხებას აწარმოებდენ, სხვა მოთხოვნას მათ არც უყენებდენ. დღეს, როცა უკვე გამორკვეულია სოფლის მეურნეობის განვითარების ხასიათი, მისი რეკონსტრუქცია, აგრონომებს შეიძლება წაუყენონ გარკვეული მოთხოვნანი და მათ მუშაობას მიეცეს რაციონალური ხასიათი მიწადმოწყობის დარგში.

მესამე ნაკლი, რომელსაც აღნიშნავს გენძეხაძე, არის დიფერენციაციის გატარება მიწადსარგებლობაში.

საადგილ-მამულო საზოგადოებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ მიწები სამართლიანად იქნეს განაწილებული მოსარგებლეთა შორის, ამხ. გენძეხაძის აზრით, საჭიროა მოეწყოს საადგილმამულო საზოგადოებანი, რომლებსაც უნდა დაეკისროს მიწის თანაბრად განაწილება. ეს ღონისძიება საქართველოს პირობებში მიუღებელია.

როგორ უნდა მოხდეს მიწების გათანაბრება—კომლობრივ თუ სულობრივ? თუ მიწებს სულობრივათ გავათანაბრებთ, აუცილებელი გახდება დროგამოშვებით მიწების გადაყოფა, რადგან სულთა შემადგენლობა და რაოდენობა ოჯახში ყოველწლიურად თუ არა, ყოველ 3-5 წელში იცვლება.

მიუღებელია აგრეთვე საადგილმამულო საზოგადოებათა მოწყობა იმ მიზნით, რომ მათ დაეკისროს მიწების გათანაბრება. ასეთი საზოგადოების მოწყობა იქნება იმ „ობშჩინა"-ს აღდგენა, რომელიც უარყო მარქსისტულმა მეცნიერებამ და თვით ცხოვრებამ. რუსეთში თავის დროზე „ობშჩინა" კულაკების ცხოვრების ბუდედ გადაიქცა. ეხლაც კი რუსეთში ზოგიერთ ასეთ საზოგადოებებში გაბატონდენ კულაკები, ამიტომ დაისვეს მათზე საბჭოს კონტროლი. ამავე დროს ეს საზოგადოება არ იძლევა იმ სარგებლობას, რომელსაც მისგან მოელოდნენ. პირიქით, საადგ.-მამ. საზოგადოებათა არსებობის შემდეგ რუსეთში მოსახლეობის მოსავლიანობამ დაიკლო. მხოლოდ სხვადასხვა აგრონომიული ღონისძიებების გასატარებლად საადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობა არ ღირს, რადგან ამ ფუნქციებს წარმატებით შეასრულებენ სათემო საბჭოები. საქართველოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბჭოები ჩინებულად უძღვებიან სოფლის მეურნეობას.

გათანაბრების პრინციპი

შემდეგ მომხსენებელი არ ეთანხმება ამხ. გენძეხაძეს იმაში, თითქოს საქართველოში არსებობდეს იმდენი მიწის ფონდი, რომელიც დააკმაყოფილებდეს მთელ მშრომელ მოსახლეობას იმ შემთხვევაში, თუ ის თანაბრად განაწილდება. იმ ფონდში, რომელსაც ამხ. გენძეხაძე ყოფს სოფლის მცხოვრებთა რაოდენობაზე, შედის 780.000 ჰექტარი საბალახო და უვარგისი მიწები. საბალახოების დაყოფა კი მიზანშეუწონელია. ეს გამოიწვევს საქონლის სიმშილით ამოხოცვას. საერთოდ მიწის დაყოფით გავაპარტახებთ ერთი გლეხის მეურნეობას, ხოლო მეორეს კი არაფერს არ შევძენთ. ჩვენი მეურნეობის აღორძინების გზა უნდა ვეძიოთ არა მიწების გათანაბრებაში, არამედ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში. მთელი ჩვენი ღონისძიება მიწადმოწყობის დარგში უნდა მიეძღვნოს ნიადაგის მომზადებას კოლექტივიზაციისათვის, კოლექტივების მიწების გაფართოებას საჭირო მიწებით და აგრეთვე ამ მიწების მათზე გადაცემას, რომლებიც მიწადმოწყობის პროცესში აღმოჩნდებიან არა მშრომელ ელემენტებთან.

ამხ. ქურდაძის თანამოხსენება

მიწადმოწყობის ნაკლოვანებანი

მომხსენებელმა ამხ. გენძეხაძემ,—ამბობს ამხ. ქურდაძე,—წამოაყენა საკითხი, რომელიც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. იგი ეხება მიწადმოწყობის არა მარტო ორგანიზაციულ მხარეს, არამედ ჩვენი მიწის რეფორმის ძირეულ შესწორებას. გზადაგზა მან გააკრიტიკა ჩვენ მიერ ჩადენილი შეცდომები მიწადმოწყობის დარგში. ჩვენი მიწადმოწყობა მოითხოვდა უფრო დაუნდობელ გაკრიტიკებას, რადგან ყველაფერი, რაც ამ დარგში არის გაკეთებული, ჯერ გადასასინჯია. მიწადმოწყობა, რომელსაც მეურნეობის წარმოების საფუძველი წარმოადგენს, ჩვენში ქონდა შემთხვევითი ხასიათი. მიწადმოწყობა უნდა დამყარებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად შესწავლას, ამა თუ იმ რაიონის მეურნეობის ხასიათის და მოსავლიანობის გამორკვევას. მიწადმოწყობა ჩვენში უნდა წარმოებულიყო ისე, რომ ამა თუ იმ რაიონში მის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გამხდარიყო თესლთა ბრუნვის შემოღება და სხვა უმაღლეს კულტურათა წარმოება, მეორე მხრივ მიწადმოწყობას ხელი უნდა შეეწყო იმ მუშა ხელის ექსპლოატაციის მოსპობისთვის, რომელსაც დღემდე აქვს ადგილი საქართველოში.

თუ ამ ორ თვალსაზრისით—ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების და სოფლად ექსპლოატაციის მოსპობის თვალსაზრისით შევაფასებთ ჩატარებულ მიწადმოწყობას, მივალთ დასკვნამდე, რომ მიწადმოწყობას ჩვენში არავითარი დადებითი შედეგი არ მოუცია. საქართველოში 414.500 მეურნეობაა. ამავე დროს აღრიცხულია 27.400 დაქირავებული მუდმივი მოჯამაგირე. ეს მოწმობს იმას, რომ სოფლად კიდევ მრავალია ისეთი მეურნეობა, რომელსაც მიწა მეტი აქვს, ვიდრე მას მისი დამუშავების ძალა შესწევს, და ამიტომ მიმართავს დაქირავებულ მუშა-ხელს. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლად კიდევ არის ჩამოსართმევი მიწები. ეს უნდა გამოირკვეს იმ ორგანოს, რომელსაც მიწადმოწყობა ევალება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში სათანადოდ არ არის მოწესრიგებული აგრეთვე მიწის ნორმის საკითხი. ამ თათბირის მიზანია, რომ გამოიმუშავოს ღონისძიებები, რომელნიც ამ ძირითად ნაკლს გამოასწორებენ. მაგრამ ის რჩევა, რომელსაც გვაძლევს ამხ. გენძეხაძე, ჩვენთვის მიუღებელია. მიწის გათანაბრება ვერ მოგვცემს მოსავლიანობის გადიდებას და ვერც სამუშაოს გაუჩენს იმ მუშა-ხელს, რომელიც დღეს განიცდის ექსპლოატაციას სოფლის მეურნეობაში. მიწის გათანაბრება გამოიწვევს მიწების დაქუცმაცებას, ჩვენ კი დირექტივა გვაქვს ვებრძოლოთ ამ მოვლენას, არ მივსცეთ ოჯახს გაყოფის საშუალებაც კი იმ მიზნით, რომ მიწები არ დაქუცმაცდეს.

მიწადსარგებლობის ნორმების გადასინჯვა

ჩვენ სულ სხვა ზომების მიღება გვჭირდება სოფლად. ერთი ასეთი ზომათაგანია მიწადსარგებლობის ნორმების გამომუშავება სამეურნეო რაიონებთან შეფარდებით. ჩვენ უნდა დავახარისხოთ მიწა იმის მიხედვით, თუ რა კულტურის გაშენება შეიძლება მასზე, იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ მიწაზე გაშენებულ კულტურის შრომის ტევადობა. არ შეიძლება მიწადსარგებლობის ერთი და იგივე ნორმები იქნეს იმ რაიონისათვის, სადაც მისდევენ მევენახეობას, ჩაის მეურნეობას, თამბაქოს მეურნეობას და სხვა კულტურებს, და იგივე ნორმები იქნეს იმ რაიონისათვის, სადაც სთესენ ან სხვა ხორბლეულის თესვას მისდევენ, რადგან დიდი განსხვავებაა როგორც ამ კულტურების მოსავლიანობის, ისე ამ კულტურების შრომის ტევადობის შორის. საშუალოდ, თვითეულ ოჯახზე ჩვენში მოდის ორი მუშა-ხელი. მუშა-ხელის მოთხოვნასა და ამა თუ იმ რაიონში გავრცელებული კულტურის ხასიათს უნდა შევუფარდოთ ნორმის გამომუშავება. მაგ., ერთ ჰექტარ ვენახის დამუშავებას სჭირია 258 მუშა-დღე. თუ ჩვენ მევენახე რაიონში იმ ოჯახს, რომელსაც ორი მუშა-ხელი მეტი არ გააჩნია, მივსცემთ არა ერთ, არამედ რამოდენიმე ჰექტარ ვენახს, იგი ვერ შესძლებს საკუთარი ძალებით ამ კულტურის დამუშავებას და იძულებული გახდება მიმართოს დაქირავებულ შრომას. ხორბლეულის მოყვანაც განსაზღვრულ რაოდენობის მუშა-ხელს მოითხოვს, თუ აქედან ჩვენ ოჯახს იმაზე მეტს მიწის ფართობს დავუტოვებთ, ვიდრე მას მისი დამუშავების ძალა შესწევს, აქაც განმეორდება მუშა-ხელის დაქირავება. ჩვენს სინამდვილეში ამას აქვს ადგილი. როგორც განვაცხადე,—საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობს 87.000-მდე დაქირავებული მუშა-ხელი. ვინ იცის კიდევ, რამდენი აღრიცხული არ არის.

მცხოვრებთა რაოდენობა, ე. ი. [illegible] წლიდან წლამდე იზრდება. [illegible] ჩვენს მრეწველობას არ შეუძლია სამუშაო მისცეს სოფლიდან ჩამოსულ მუშა-ხელის უმრავლესობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს გარემოებაც გვკარნახებს, რომ რაციონალურად გამოვიყენოთ ის მიწები, რომელთა დამუშავება ამჟამად დაქირავებული მუშა-ხელით სწარმოებს. ჩვენ აუცილებლად უნდა ჩამოვართვათ, შევუმციროთ ნორმები იმ ოჯახებს, რომელთაც საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ დაამუშაონ ადგილები. საერთოდ კი ჩვენ უნდა გადავსინჯოთ არსებული ნორმები. ამას, რასაკვირველია, წინასწარ უნდა უძღოდეს რაიონების ეკონომიური გამოკვლევა.

ნორმები უნდა შევამციროთ განსაკუთრებით პირველ კატეგორიის მიწებზე. მიწადმოწყობის განყოფილების ცნობებით საქართველოში სრული ნორმა აქვს 182.800 კომლს, ე. ი. 51,8 პროც. მათ შორის ბევრია ისეთი მეურნეობა, რომელიც საკუთარი შრომით მიწას ვერ ერევა. თუ სრული ნორმით დაკმაყოფილებულ თვითეულ კომლს ჩამოვართმევთ თუნდაც ნახევარ ჰექტარს, მთელს საქართველოში მივიღებთ 91.150 ჰექტარ თავისუფალ მიწის ფართობს. ამ ფონდით შესაძლებელია 26.000 უმიწოწყლო კომლის დაკმაყოფილება. ამ მიწებზე ჩვენ უნდა მოვაწყოთ ის მოჯამაგირეები, რომლებიც კულაკურ მეურნეობებშია დასაქმებული.

გადასახლება ჩვენში არ ხერხდება. ჩვენს გლეხობას მეტწილად ვერ ეგუება იმ რაიონების კლიმატურ პირობებს, სადაც მათ ვასახლებთ. მათ მიწა უნდა გამოუძებნოთ იმ რაიონებში, სადაც თავიდანვე ცხოვრობენ.

სამოსახლოების შესახებ

მეორე ღონისძიება, რომლის გატარებით ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ მიწის ფონდი,—არის სამოსახლო ნორმის შეკვეცა. რევოლუციამ მოსპო ფეოდალური ნაშთები საქართველოს მიწათ-მფლობელობაში, მაგრამ ეს ნაშთები ხელუხლებელია სამოსახლო მიწათმფლობელობაში. 1200 საჟენიანი ნორმა ეზო-კარმიდამოსათვის დიდი ნორმაა. ჩვენი მიწის სივიწროვის პირობებში დაუშვებელია ეზოს ასეთი სივრცე. გორის, კახეთის და აგრეთვე სხვა მაზრებში ბევრია ისეთი მოსახლეები, რომლებსაც სამოსახლოდ მიცემული აქვთ 600—1200 მიწა; ასეთი ოჯახების რიცხვი საქართველოში 149.000 უდრის. თუ მათ 600 საჟენზე დავუტოვებთ სამოსახლოს, მივიღებთ 6165 ჰექტარ თავისუფალ მიწას, რომლითაც შეგვეძლება დავაკმაყოფილოთ 1761 უმიწოწყლო გლეხი. თავისუფალი მიწის ფონდის შესაძლებლად არის კიდევ სხვა ღონისძიებაც. ჩვენს დაწესებულებებში ბევრი ისეთი პირი მსახურობს, რომლებიც სარგებლობს მიწით. ისინი უმთავრესად ყოფილი თავად-აზნაურები არიან. მათ ხელი უნდა ავაღებინოთ ამ მიწებით სარგებლობაზე. ესეც ჩვენს თავისუფალ მიწის ფონდს საკმაო მიწას შემატებს.

ამ ღონისძიებებით განთავისუფლებულ მიწიდან ჩვენ შეგვეძლია შევქმნათ სარეზერვო ფონდი, რომელსაც გამოვიყენებთ ამ უმიწოწყლო გლეხობის მოწყობისთვის, ან აგრონომიული, სამეურნეო საცდელ მეურნეობებისათვის და კოლექტივებისათვის.

მიწადმოქმედების განყოფილებები სათემო საბჭოებთან

შემდეგ მომხსენებელი ეხება სოფლად საადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობის საკითხს და ამბობს, რომ ამხ. გენძეხაძის აზრი ასეთი საზოგადოებების მოწყობის შესახებ საქართველოში მიუღებელია. ის ფუნქციები, რომლებიც უნდა შეასრულონ ასეთმა საზოგადოებებმა, შეიძლება დაეკისროს სათემო საბჭოებს. საჭიროა მხოლოდ სათემო საბჭოებთან მოეწყოს მიწადმოქმედების განყოფილებები. საჭიროა ავამოძრავოთ ყველა სოფლად მომქმედი ძალები: აგრონომი, მიწის მზომელი, კომუჯრედი, კომკავშირი და მასწავლებელი უნდა ჩავაბათ იმ განყოფილების მუშაობაში, რომელიც სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას უნდა მოეწყოს სათემო საბჭოსთან. ასეთი განყოფილების მოწყობა იქნება საადგილ-მამულო აპარატის დეცენტრალიზაცია, რომელიც გაადვილებს ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მტკივნეული საკითხების მოწესრიგებას. სოფლად ბევრია დაუმუშავებელი ადგილები, რომლებიც გამოსაყენებელი გახდება, თუ სამისო მუშაობა იწარმოება. მაგალითად, ჭაობები, რომლებიც მთელს რაიონებს გამოუდეგარს ხდის და რომლებიც ცენტრისათვის შეუმჩნეველია, ამოშრობილ იქნეს ადგილობრივი ძალებით, სათემო საბჭოსთან უნდა მოეწყოს საადგილ-მამულო განყოფილება, რომელიც სხვათა შორის, იკისრებს მელიორატიული და სხვა აგრიკულტურული ამხანაგობათა მოწყობას სოფლად.

კამათი მოხსენებათა გარშემო

მიწადმოწყობის და მიწადსარგებლობის საკითხების შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო დაიწყო გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათის ყურადღების ცენტრად გახდა მომხსენებელ გენძეხაძის მიერ წამოყენებული დებულება მიწების სოფლობრივ გათანაბრებისა და სოფლად საადგილ-მამულო ამხანაგობათა მოწყობის შესახებ. პირველ ორ დღის კამათში მონაწილეობა მიიღო 28 ორატორმა.

ამხ. გოგოლაძე

მიწის გადაყოფა, მისი გათანაბრება მიზნით, ჩვენში მიუღებელია. კიდეც რომ დაწესდეს ვადები მიწათსარგებლობისათვის, მიწის პერიოდული გათანაბრება მაინც შეაფერხებს ჩვენში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, უმაღლესი კულტურების გაშენებას. გლეხი გადაყოფის მოლოდინში არ დახარჯავს ფულსა და შრომას ვენახის, ბაღის და სხვა ძვირფასი მცენარეების გასაშენებლად. არც საადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობა არის ჩვენთვის მისაღები. მთავრობა მილიონებს ხარჯავს იმისათვის, რომ სოფელმა შექმნას საბჭო. თუ საბჭო არ იკისრებს ისეთ საკითხების მოწესრიგებას, როგორიც სოფლის მეურნეობის მოწესრიგებაა, სხვა რა უნდა აკეთოს. ასეთი საზოგადოების მოწყობა შექმნის მავნე პარალელიზმს სოფლის საბჭოსა და ამ საზოგადოების საქმიანობის შორის. ორატორი ეთანხმება ამხ. ქურდაძეს იმაში, რომ შემცირდეს სამოსახლო მიწის ნორმები.

ამხ. მარუაშვილი

საქართველოში არსებული მიწის სივიწროვე გვკარნახებს გავატაროთ ამხ. გენძეხაძის მიერ დასახელებული ღონისძიება. მრავალნაკვეთიანობა წარმოადგენს ერთ მთავარ დაბრკოლებას რომელიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას. მიწის დაქუცმაცებულ ნაჭრებზე შეუძლებელი ხდება თესლბრუნვის შემოღება. გენძეხაძის მიერ დასახელებული ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს შევიტანოთ ერთგვარი გეგმიანობა ჩვენი სოფლის მეურნეობაში, გავუჩინოთ ჩვენ დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობას პატრონი საადგილ-მამულო საზოგადოების სახით, რომელიც შეიტანს წესრიგს მიწის დამუშავებაში. შეუძლებელია ჩვენი მეურნეობის სპეციალიზაცია, მისი საქონლიანობის გადიდება, თუ შემოღებული არ იქნა მეურნეობის რომელიმე დარგი ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო ხასიათთან შეფარდებით. ეს განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ მოეწყობა სწორედ ასეთი საზოგადოებანი, რომელთა საშუალებითაც ადვილად გატარდება მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებები. მიკრორაიონებად (წვრილ ეკონომიურ რაიონებად) დაყოფას ხანგრძლივი დრო უნდა. ასეთი საზოგადოება კი უფრო ადვილად შესძლებს გლეხობის გადაყვანას იმნაირ მეურნეობაზე, რომელიც რაიონს შეეფერება.

ამხ. ნადარეიშვილი

მიწების სოფლობრივი გათანაბრება სავსებით მისაღებია, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება მოვსპოთ ერთის ხელის დაქირავება და მრავალნაკვეთიანობა და მოვამზადოთ ნიადაგი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. მიწის გათანაბრება საშუალებას მოგვცემს სავსებით დავიცვათ კლასიური პრინციპი მით, რომ მიწების გადაყოფის დროს ღარიბ გლეხობას მივუზომოთ საუკეთესო ხარისხის მიწები დასახლებულ პუნქტების მახლობლად და ამ სახით, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ნაკვეთების კოლექტიური დამუშავება. მიწად-მოწყობა ჯერ-ჯერობით უნდა ვაწარმოოთ იმ რაიონებში, სადაც დღეს შესაძლებელია [illegible] გათანაბრება.

ამხ. კრავცოვი

ახალციხის მაზრაში სავსებით შესაძლებელია მიწების სოფლობრივი გათანაბრება. ჩვენ უკვე ვცადეთ ამ ღონისძიების გატარება და მან ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. გლეხობაში მიწების ასეთი წესით მოწყობამ ისეთი აღფრთოვანება გამოიწვია, რომ გლეხები მოითხოვდნენ მათ ხარჯზე ჩაგვეტარებინა ამ წესით მოწყობა. ცხადია, საქართველოს კულტურულ რაიონებში მიწის გათანაბრება უფრო მეტ

ამხ. ძამანაშვილი

შემცდარია ის აზრი, თითქოს საქართველოში გამოსადეგი მიწის რაოდენობა იმდენი იყოს, რომ შეიძლებოდეს საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობის დაკმაყოფილება. თვით იმ ფონდში, რომელიც გამოსაყენებლად ითვლება, ბევრი უვარგისი და გამოუსადეგარი ადგილები შედის. მიწის ახალ ფონდებს ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ. საჭიროა სხვა ღონისძიებები. მთელი საქართველო უნდა დავყოთ მიკრო-რაიონებად და ამის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ მიწადსარგებლობის ნორმები. ამჟამად არსებული ნორმები შედგენილი იყო მაშინ, როცა ჩვენში არავინ ფიქრობდა ისეთი მაღალი კულტურის განვითარებაზე, როგორიც არის ჩაი. ასეთი მაღალი კულტურების რაიონებისათვის დღევანდელი ნორმები მიუღებელია და ისინი უნდა შეიცვალონ. ვეთანხმები ამხ. გენძეხაძეს იმაში, რომ უნდა მოხდეს მიწების გადაყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში მიწადმოწყობა მეტად დაიგვიანებს და „კულტურულ" ფარგლებს ვერ გასცდება. მიწები უნდა დავყოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს მეურნეობის რაციონალური წარმოება და კლასობრივი ხაზი. ჩვენი სოფლისათვის აუცილებელია ისეთი ორგანოს მოწყობა, რომელიც დაეხმარება მთავრობას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ღონისძიების გატარებაში. ამისთვის საადგილ-მამულო საზოგადოებების მოწყობა არ არის საჭირო. უმჯობესია გამოვიყენოთ საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო სექცია. აუცილებელია აგრეთვე უფრო მეტი კონტაქტი აგრონომებს, მიწადმზომლებს, ვეტერინარსა და მეტყევეს შორის. ამ მუშაკებიდან უნდა შეიქმნას უჯრედი, რომელიც უხელმძღვანელებს სოფლის მეურნეობას.

ამხ. ადიკაშვილი

უმიწოწყლო გლეხების დასაკმაყოფილებლად თავისუფალი სახელმწიფო საფონდო მიწა არ მოგვეპოვება. აუცილებელია მოხდეს მიწის გაყოფა-გათანასწორება. ჩვენ მოვახდინეთ ასეთი გადაყოფა თიანეთის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ გლეხებს მიწები ნიკოლოზის დროს ქონდათ შეძენილი, ისინი დათანხმდნენ ასეთ გადაყოფაზე. თვითეულ კომლს შეხვდა 4-დან 8 ნახევარ დესეტინამდე. ასეთი ნორმა საშუალო ოჯახისთვის სრულიად საკმარისია. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მიწის გადაყოფის ასეთი წესი და მიწის ჯგუფური მოწყობა 50 პროცენტით აადვილებს და აჩქარებს მიწადმოწყობას.

ამხ. ფალავანდიშვილი

ამხ. ქურდაძემ წამოაყენა მიწის ნორმების შემცირების საკითხი. არ ვიცი, რამდენად მოსაწონებელი იქნება ეს სხვა რაიონებისათვის, მაგრამ კახეთის მაზრაში გამოიწვევს დიდ უკმაყოფილებას. იქ ჩვენ ყოველ გლეხს მოუზომეთ და მოუწყვეთ საშუალოდ ოთხ დესეტინა. ამ საქმეზე დავხარჯეთ 80.000 მანეთი და ოთხ წელიწადს ვამუშავეთ ორი მიწის მზომელი. ისევე, რომ მოვახდინოთ შემცირებული ნორმების მიხედვით მიწების მოწყობა, მაინც და მაინც დიდ სარგებლობას არ მოგვიტანს, ხარჯებს კი გაადიდებს.

ამხ. აბაშიძე

როცა საკითხი სდგას მიწის გათანაბრების შესახებ, [illegible] გავარკვიოთ, ის შეეხება მარტო მიწის გათანაბრებას სოფლის შიგნით, თუ სოფლების მიწის გათანაბრებას ერთმანეთს შორის. შემდეგ, საჭიროა გამოირკვეს აგრეთვე, როგორ უნდა მოხდეს გათანაბრება სოფლის შიგნით—კომლობრივ თუ სულობრივ, საერთოდ გენძეხაძის თვალსაზრისი მიუღებელია. თბილისის მაზრაში ჩვენ ვერ გავატარებთ მიწადმოწყობას, თუ გადაყოფას არ მივმართეთ იმ რაიონებში, სადაც მარცვლეულ

დანარჩენ ორატორთა სიტყვების ანგარიშს მოგაწვდით ხვალინდელ ნომერში.

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

დაიწყო თბილისის საბჭოს არჩევნები—არჩევნებზე მუშა-მოსამსახურეთა 80—95 პროცენტი ესწრება.— კრებები ყველგან უდიდესი აქტივობით მიმდინარეობს.—არჩევნებთან დაკავშირებით გაიმართა რკინისგზელ მუშათა და მელითონეების გრანდიოზული დემონსტრაციები.— ჩატარდა საბჭოთა არჩევნები ქუთაისის მაზრის 4 თემში.—საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვი 86 პროცენტამდე აღწევს—არც ერთი ამომრჩეველი არ უნდა დააკლდეს საარჩევნო კრებებს.

არჩევნები თბილისში

26 კომუნარების რაიონში

26 კომუნარის რაიონში საბჭოთა არჩევნები უკვე დაიწყო. არჩევნების დაწყების წინ მოხდა მუშათა მასიური დემონსტრაციები.

საარჩევნო კრებები ჩატარდა შემდეგ ადგილებზე: მეორე ზეთსახდელ ქარხანაში. ამ კრებას დაესწრო 54 ამომრჩეველი ე. ი. ამომრჩეველთა 92 პროც. კრებამ საბჭოს წევრად აირჩია ამხ. ლ. მესროპოვი, ხოლო კანდიდატად ამხ. აველისოვი.

საქ. საზ. ვაჭრობაში კრებას დაესწრო 178 ამომრჩეველი (97 პროც.) კრებამ საბჭოს დეპუტატად აირჩია ამხ. ვ. არეშიძე.

ა. კ. საზ. ვაჭრობისა და ა კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში არჩევნებს დაესწრო 297 კაცი. ე. ი. ამომრჩეველთა 96 პროცენტი. კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატად აირჩია ამხ. ალ. ოგანეზოვი და ფ. ლიზერი.

ყველა საარჩევნო კრებები დიდის წარმატებით და აღფრთოვანებით ჩატარდა. მუშები აძლევდნენ ახლად არჩეულ დეპუტატებს მკაცრად და ურყევად შეასრულონ მუშა-ამომრჩევლების მიერ დავალებული საკითხები.

საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა საერთო რიცხვი უნდა ჩაითვალოს ამომრჩეველთა მთელ ას პროცენტად ვინაიდან ის უმნიშვნელო ნაწილი ამომრჩევლებისა, რომლებიც ვერ დაესწრნენ საარჩევნო კრებებს მივლინებებში იყვნენ სამსახურის გამო.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირში

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) დეპუტატებისათვის განაწესის მიცემა. და 2) თბ. საბჭოს დეპუტატის არჩევნები.

კრებაზე განაწესი წაიკითხა ამხ. თურქიამ. ზოგიერთ შესწორებათა შემდეგ. კრებამ მიიღო სპეციალური კომისიის მიერ გამომუშავებული განაწესი, რომელიც შეიცავს 20 მუხლს.

ნაკაზში გათვალისწინებულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები უმუშევართა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

თბილისის საბჭოში დეპუტატებად აირჩიეს—ამხ. ანთიძე, კაზლოვსკი; კომახიძე; განზია; კაზაროვი; და ხახიაშვილი

მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა კრება

გუშინ, 12 საათზე, მელითონეთა კლუბში, ამხ. ჯიჯაძის თავმჯდომარეობით შესდგა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა კრება, რომელსაც უმუშევართა 50 პროცენტამდე დაესწრო. კრების დღის წესრიგში დასმული იყო განაწესის შემუშავება თბილისის საბჭოსათვის და დეპუტატების არჩევა.

სხდომამ თბილისის საბჭოს საერთო განაწესს დაუმატა შემდეგი მუხლები: კონტროლის გაძლიერება შრომის ბირჟის საქმიანობაზე და სათანადო ღონისძიებების გამონახვა პროსტიტუციის, ლოთობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასასრულ კრებამ თბილ. საბჭოში აირჩია 4 დეპუტატი და 1 კანდიდატი. საბჭოში არჩეულია შემდეგი ამხანაგები: ფანცხავა (თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე), მელიქ-ნუბაროვი. ჩარკვიანი (ქალი) და ბეჟანოვი. კანდიდატათ ამხ. მაღნარაძე.

შეუკავშირებელ მუშათა შორის

26 კომუნარის რაიონში შემავალ შეუკავშირებელ მუშათა და მათი ოჯახის წევრთა საარჩევნო კრებები ჩატარდა შემდეგ ადგილებზე: ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში: პირველ № გამსახლის, საბავშო ბაღის გამსახლის საავადმყოფოს მებაღეების, მეზოლეების, ქიმიკოსების; მაკარონის ქარხნის და № 2 „მკერავი“-ს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა გაერთიანებული საარჩევნო კრება.

„მკერავთა კლუბში. № 1. „მკერავი“-ს და რეზინის სათოვე ქარხნის და წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრების კრება.

ხელოსანთა კლუბში: ქარხანა „ლუის მანი“-ს გალეტის ფაბრიკის, საკანდიტრო ფაბრიკის, ხეზე მომუშავეთა და მათი ოჯახის წევრთა კრება. მელითონეთა კავშირის № 1-ლ და მე-2 გაერთიანებულ ადგილკომებში შემავალ კერძო ხელოსნების მათთან მომუშავეების და ოჯახის წევრების და ხე-ტყის სახერხ ქარხნებში მომუშავეთა საარჩევნო კრებები.

საარჩევნო კრებებს ესწრებოდა ამომრჩეველთა 95—100 პროც. ამომრჩევლები დიდი აღტაცებით ხვდებოდნენ თბილისის საბჭოში ახლად დასახელებულ დეპუტატებს და მქუხარე ტაშით აცილებდნენ მათ. ამომრჩევლები მოითხოვდნენ საბჭოს დეპუტატებისაგან. რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კერძო სახელოსნოებში მომუშავეთა და საერთოდ შეუკავშირებელ მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს.

სად შესდგება საარჩევნო კრებები

ლენინის რაიონში

თბილისის საბჭოს საარჩევნო კრებები ლენინის რაიონში დაიწყება 4 თებერვლიდან. ამჟამად ყველა წარმოება-დაწესებულებებში გაცხოველებული მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს არჩევნების მწყობრად და წარმატებით ჩასატარებლად. ქარხნების ყველა საამქროებში გამოკრულია პლაკატები საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

26 კომუნარის რაიონში

დღეს, გალეტის ფაბრიკაში მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება ამავე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

„საქართველოს აბრეშუმი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება შესდგება დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ „საქართველოს აბრეშუმი“-ს შენობაში.

დღესვე სამთამადნო ტრესტის შენობაში დანიშნულია ამავე ტრესტის სამმართველოს თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

გემოკვების კავშირის № 14 ქარხანაში დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ დანიშნულია ამავე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

„გრუზტრანსპორტი“-ს ადგილკომში შესდგება აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომელთა საარჩევნო კრება.

ქალაქის რაიონში

საბჭოთა საარჩევნო კრებები ქალაქის რაიონში დაიწყება 2 თებერვლიდან. დღეს საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით მოეწყობა სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა მასიური დემონსტრაციები.

თბ. პროლეტარიატის დემონსტრაცია

რკინისგზელთა დემონსტრაცია

28 იანვარს დღის სამ საათზე გაიმართა თბილისის კვანძის რკინის გზელთა დემონსტრაცია საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით. სამი ათასამდე რკინის გზის მუშა მოსამსახურე დროშებით დაიძრა მწყობრად პლეხანოვის პროსპექტისაკენ, სადაც მათ ემატებოდნენ რკინის გზის სხვადასხვა უწყებათა თანამშრომლები. დემონსტრაციებს მიჰქონდათ პლაკატები წარწერით. „გაუმარჯოს საბჭოებს—პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს“, „არც ერთი ნეპმანი და კულაკი საბჭოებში“ და სხვ. დემონსტრაცია ვერის აღმართით გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ. სადაც საღამოს 5 საათზე გაიმართა დიდი მიტინგი.

დემონსტრანტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. აზრუმელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა რკინის გზის პროლეტარიატის ერთსულოვნება საბჭოთა არჩევნების კამპანიაში. „თბილისის კვანძის რკინის გზელების მთელი ყურადღება—განაცხადა ამხ. აზრუმელაშვილმა საბჭოთა არჩევნებისაკენ არის მიპყრობილი, რადგან საბჭოების დანიშნულებას შეადგენს ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობის განვითარება“.

ორატორის სიტყვას ფარავს ერთსულოვანი „ვაშა“ და „ინტერნაციონალი“.

შემდეგ მოძრაობის დარგის რკინის გზელთა სახელით სიტყვას აძლევს ამხ. მაისურაძე, მის შემდეგ კი საპასუხო სიტყვა ქალაქის საბჭოს სახელით წარმოსთქვა ამხ. ვანო ბოლქვაძემ, „საბჭოები—სთქვა ამხ. ბოლქვაძემ—მუშურ-გლეხური ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ძალაა. ამიტომ მათ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა და ღარიბ გლეხთა ფართო მასებმა.

მხურვალე „ვაშა“-მ დაფარა ამხ. ვანო ბოლქვაძის უკანასკნელი სიტყვები. ერთსულოვანი ძახილით—„გაუმარჯოს საბჭოებს“ „გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას“, დემონსტრაცია მწყობრად გაემართა უკან პუშკინის ქუჩით. საღამოს 6 საათზე დემონსტრაცია დაიშალა.

მელითონეების დემონსტრაცია

საბჭოების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით, გუშინ ნაშუადღევს 3 ნახევარ საათზე თბილისში გაიმართა მელითონე მუშების დემონსტრაცია.

მწყობრი რიგებით წითელ დროშებით და პლაკატებით გამოვიდნენ ქუჩაში 26 კომუნარის და ამხ. კალინინის სახელობის ქარხნების მუშები და ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის მოწაფეთა რაზმები, რომლებიც გაემართნენ თავისუფლების მოედნისაკენ.

ქალაქის საბჭოს შენობასთან დემონსტრაციებს მიეგებნენ: თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ბოლქვაძე, საქ. ცაკის მდივანი ამხ. ი. ვარძიელი, საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. მაჩაიძე, შეფტელი მარკმანი და სხვები

გაიმართა მიტინგი.

დემონსტრანტებს სიტყვებით მიმართეს ამხ. ი. ბოლქვაძემ და ი. ვარძიელმა.

ილაპარაკეს მუშების წარმომადგენლებმაც, რომელთაც თავის სიტყვებში აღუთქვეს ხელისუფლებას, რომ საბჭოში თავის რიგებიდან წამოაყენებენ აქტიურ და ენერგიულ მუშაკებს.

სტუდენტთა საარჩევნო დემონსტრაცია

დღეს, 30 იანვარს, მოეწყობა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა დემონსტრაცია საბჭოთა არჩევნების დაწყების გამო. შესაკრებ პუნქტად დანიშნულია პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა.

საანგარიშო კრება ტრამვაის მუშათა კლუბში

გუშინ, საღამოს 6 საათზე ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. 788 მუშა-მოსამსახურიდან კრებას დაესწრო 527 კაცი. თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. მარიამიძემ და კონოვალოვმა.

მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები რის შემდეგაც გაიმართა კამათი.

ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ გარე-უბნებში მოუწესრიგებელია წყლის მიწოდება, განათება და ქუჩების კეთილმოწყობა. ახალ სანაპირო გზის გასწვრივ ჯებირი გაკეთებულია მიზანშეუწონლად; აღმასკომის ზოგიერთ განყოფილებებში მაგრად აქვს გადგმული ფესვი ბიუროკრატიზმს და ვოლოკიტას ტრამვაის მოძრაობა მოუწესრიგებელია და უკანასკნელ ხანებში გამოცემულ დადგენილების შემდეგ ტრამვაის ვაგონები მეტად იტვირთებიან მგზავრებით, რაც ვაგონებს აუცილებლად დააზიანებს.

მუშები აღშფოთებას გამოსთქვამდნენ ტრამვაის მუშათა სახლების უგეგმოთ აგების გამო აღნიშნავდნენ, აგრეთვე რომ დაზღვეულთათვის ამბულატორიული დახმარების მიღება შეზღუდულია მისი საცხოვრებელი უბნით. რაც დიდ უხერხულობას იწვევს და სხ.

მუშკოოპის მეპაეთა დავალება თბ. საბჭოს წევრებს

თბილისის მუშკოოპის გამგეობამ გამოაქვეყნა განაწესის პროექტი, რომლის მიხედვით მუშკოოპის მეპაეებმა უნდა დაავალონ თბილისის საბჭოს წევრებს შემდეგი:

1) თბილისის საბჭომ მუშკოოპთან ერთად უნდა დაამუშავოს თბილისის სავაჭრო ქსელის გეგმა დახურული სავაჭროების, მაღაზიების, ფარდულების და სხვათა ადგილმდებარეობის შესარჩევად.

2) ახალი დახურული სავაჭროების მოწყობის მიზნით გადაკეთებულ უნდა იქნას „სალდათის ბაზარი“, ლენინის ქუჩაზე მდებარე ბაზარი და „დეზერტირკა“, აშენდეს ახალი ბაზარი საბჭოთა ქუჩაზე და დიდუბეში.

3) საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს თბილისის მუშკოოპს ფინანსიურ საშუალებათა გამოძებნაში

4) პურის ცხობის გაუმჯობესების და პურზე ფასის დაკლების მიზნით. პურის ქარხნების და გაფართოებული მექანიკური თონეების აშენებაში.

5) სახალხო კვების ქსელის გაფართოებლად სასადილოების და სამზარეულოების გახსნასა და მოწყობაში. ვაჭრობის ტექნიკის გაუმჯობესების მიზნით, ახალი, სავსებით მოწყობილი დიდი სავაჭრო შენობების აშენებაში.

6) ბაზარზე ცუდი ხარისხის სურსათ-სანოვაგის გამოტანის შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, უნდა გაძლიერდეს და დაყენებულ იქნეს შესაფერ დონეზე ბაზრის სანიტარული ზედამხედველობა.

7) უნდა მიენდოს თბილისის საბჭოს ახალ შემადგენლობას, მიიღოს უახლოესი მონაწილეობა საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის მუშაობაში, იქონიოს მჭიდრო კავშირი ქალაქ თბილისის მომხმარებელთა მასის განაწესის შესასრულებლად და სხვ.

პროფკავშირები და საარჩევნო კამპანია

საბჭოების გადარჩევის კამპანიისათვის მხატვრული სამსახურის გაწევის მიზნით. საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა პრაქტიკული წინადადებანი, რომლის მიხედვით უნდა მოეწყოს მუშათა სასახლის, კლუბების და სახელმწიფო თეატრების შენობის ილუმინაცია.

დაიბეჭდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა, მედსანშრომის, გემო-კვების, მელითონეთა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა. მბეჭდავთა და რკინისგზელთა კავშირებს გამოუშვებ აფიშა-პლაკატები საარჩევნო კამპანიის შესახებ.

ამასთანავე გადაწყვეტილია მოეწყოს მუშა-მოსამსახურეთა ფართო დემონსტრაცია: გეგმის მიხედვით დემონსტრაციები გაიმართება: 30 იანვარს—საბჭ. და სავაჭ. მუშაკების კავშირი, 31-ს—კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირი და აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, 1-ლ თებერვალს—გემო-კვების მუშაკთა კავშირი 2 თებერვალს—მკერავთა. მბეჭდავთა და ხელოვნების მუშაკთა კავშირები, 3 თებერვალს—ფიზკულტუროსანთა და საკლუბო წრეების დემონსტრაცია. 4-ს—მედსანშრომის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირები და [illegible]. 5-ს—მეტყავეთა, ქიმიკოსთა და ფეიქართა კავშირები, 7-ს —ხეზე მომუშავეთა, სახალხო კვების მიწა-ტყის და აღმშენებელთა კავშირები. 10-ს—ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირი და 12 თებერვალს—განათლების მუშაკთა კავშირი.

არჩევნები ქუთაისის მაზრაში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 29 იანვარი, საანგარიშო კამპანია ქუთაისის მაზრაში დამთავრდა. ამჟამად გაცხოველებული სამზადისი მიმდინარეობს არჩევნებისათვის. ზოგიერთ თემებში არჩევნები უკვე დაიწყო, არჩევნები დიდი აქტიობით ჩატარდა კუხის, პატრიკეთის და ვანის თემებში.

კუხის თემის გოჩა-ჯიხაიშის უბანში საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 92 პროც., გორდაძეების უბანში—95, დიდ-კუხში—88, პატარა კუხში—85.

პატრიკეთის თემის გეგუთის უბანში საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 82 პროცენტი.

ვანის თემის სამ უბანში ამომრჩეველ მამაკაცების დასწრება საარჩევნო კრებებზე უდრიდა—86 პროცენტს, ქალთა დასწრება—82 პროცენტს.

საარჩევნო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენენ ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები.

ქუთაისი 29 იანვარი. გუბის თემში დამთავრდა საბჭოს არჩევნები. ხსენებულ თემში ამომრჩეველ მამაკაცების რიცხვი უდრის 427, ქალების—460. საარჩევნო კრებებს დაესწრო 386 მამაკაცი, რაც უდრის 91 პროცენტს და 383 ქალი (84 პროცენტი), საბჭოში არჩეულია 20 დეპუტატი მათ შორის 11 ღარიბი გლეხი. 1 მოჯამაგირე და 8 საშუალო გლეხი. არჩეულთა შორის 6 კომუნისტია. 8 კომკავშირელი და 11 უპარტიო.

საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. ანასტასია იამანიძისა.

ს. მესხი.

საანგარიშო კამპანია ადგილებზე

(საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მასალებიდან)

საქართველოს ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ მიიღო მოხსენებები სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. საარჩევნო კომისიისა და ფოთის საარჩევნო კომისიისაგან. მოხსენებებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იქნა ჩატარებული აღნიშნულ ადგილებზე საანგარიშო კამპანია.

სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთში წინასწარი საარჩევნო სამზადისი ყველა დაბლობ ადგილებში დაიწყო დეკემბრიდან. მთიან ადგილებში კი საარჩევნო სამზადისი და არჩევნებში ჩატარებულ იქნა გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში. თემებში საარჩევნო კომისიებს პრაქტიკული მუშაობა არ დაუწყიათ, მანამ იქ არ ჩავიდნენ სპეციალური რწმუნებულები. თითო თემზე მიმაგრებული იყო 2—3 რწმუნებული. რწმუნებულთა შორის 5 ქალი იყო. ადგილებზე დავზავნის წინ ცხინვალში მოწვეული იყო რწმუნებულთა თათბირი, რომელზედაც მათ მიეცათ შესაფერი ინსტრუქციები და განმარტებები.

იმ მიზნით, რომ საარჩევნო კამპანია წარმატებით ყოფილიყო ჩატარებული, გამრავლებულ იქნა საარჩევნო უბნების რიცხვი 130-მდე. ამჟამად თვითეული სოფელი დაშორებულია მახლობელ საარჩევნო პუნქტს მხოლოდ 2—3 კილომეტრით. ეს გარემოება აადვილებდა ამომრჩეველთა დასწრებას საანგარიშო კრებებზე და მართლაც გამოირკვა, რომ თუ წინა საარჩევნო კამპანიის დროს საანგარიშო კრებებს ესწრებოდა დაახლოებით 40—45 პროცენტი ამომრჩევლებისა, ამჟამად დასწრების პროცენტი უდრის 55.

საანგარიშო კრებების ჩატარება ზოგიერთ თემებში გრძელდება. 5 თებერვლიდან დაიწყება არჩევნები.

ფოთში

ქ. ფოთში და მის რაიონში საანგარიშო კამპანიის ჩატარება დაიწყო 18 იანვრიდან, და ამჟამად უკვე მოთავებულია.

საანგარიშო კრებებს საშუალოდ ესწრებოდა ამომრჩეველთა 67,5 პროცენტი, 1926—27 წლის საარჩევნო კამპანიის დროს კი ესწრებოდა 48,4 პროცენტ. საანგარიშო კრებებზე დიდ აქტიობას იჩენდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები.

საანგარიშო კამპანია დამთავრდა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

შიათურა, 29 იანვარი. შიათურის სამრეწველო რაიონში საბჭოთა საანგარიშო კამპანია დამთავრდა. საანგარიშო კრებები ყველგან დიდი აქტივობით ჩატარდა. ქარხანა და მაღაროების მუშების დასწრება კრებებზე აღწევდა 90 პროცენტს. რკინის გზების და ვაგონების მტვირთველი მუშები კრებებზე გამოცხადდნენ უკლებლივ. სუსტი იყო მოსამსახურეების კრებებზე დასწრება და მათი აქტივობა. ანტისაბჭოთა ელემენტების და კულაკების გამოსვლას ადგილი არ ჰქონია.

მუშები საღი კრიტიკით უდგებოდნენ საბჭოს ანგარიშის განხილვას და იძლეოდნენ საქმიან შეკითხვებს. მუშები აღნიშნავდნენ კოოპერაციის სუსტ მუშაობას ქალაქად და ქარხანა მაღაროებში და მოითხოვდნენ კოოპერატიულ დუქნების მომარაგებას საჭირო საქონლით. აღნიშნული იყო საექიმო დახმარების საქმის სისუსტე და ის გარემოება. რომ მუშების გზავნას კურორტებზე არ ექცევა სათანადო ყურადღება. კრებები საბჭოს ყურადღებას მიაქცევდნენ ქალაქის კეთილ მოწყობაზე, მაღაროების უზრუნველყოფაზე წყლით და ელექტრო-ენერგიით.

აღსანიშნავია კომკავშირის ენერგიული მონაწილეობა არჩევნებში. საბჭოს არჩევნები დაიწყება სამ თებერვალს.

მ. ხუციშვილი.

მღვდლების თვალთმაქცობამ არ გასჭრა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 29 იანვარი, ცხუნკურის თემში მღვდლებმა კეთილაძემ და ხაჭაპურიძემ მიწის რეფორმის ჩატარების დროს, 1923 წელში გაიხადეს ანაფორა და ამ გზით შეინარჩუნეს მიწები. შემდეგ კი ისევ დაიწყეს მღვდელთმსახურება, რითაც გლეხობა შეცდომაში შეიყვანეს.

ამჟამადაც ხსენებულ მღვდლებმა ცოტათი შეიკრიბეს თმები და ითხოვენ მათთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება, მაგრამ მშრომელ გლეხობამ აღარ დაუჯერა მათ ოინებს და უარყო მათი წინადადება.

ს. მესხი

ენერგიული მზადება არჩევნებისათვის

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ნოქალაქევი 29 იანვარი. ნოქალაქევის თემში (ქუთაისის მაზრა) არჩევნებისათვის მზადება გაცხოველებით სწარმოებს. მზადდება უწყებები, რაც 5 დღით ადრე დაურიგდება ამომრჩევლებს პარტორგანიზაციის საშუალებით. ღარიბთა თათბირებზე წინასწარ იქნა შერჩეული სადეპუტატო კანდიდატები. არჩევნები დაიწყება 7 თებერვლიდან.

ანდრო კირცხალია.

თბილისის მაზრაში

მანგლისის თემი

მანგლისის თემში საანგარიშო კამპანია დიდი აქტივობით ჩატარდა. საანგარიშო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 75 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ კულაკები წინასწარ მომზადებულნი შესწვდნენ საანგარიშო კამპანიას მათ მიიმხრეს საშუალო გლეხობის მცირე ნაწილი და მათი სახით გამოდიოდნენ საანგარიშო კრებებზე. მაგ. სოფ. ინტერნაციონალში და პატარა და დიდ თონეთში, სადაც მოწვეული იყო ღარიბებს კრება მოჯამაგირეებთან ერთად საარჩევნო ხმის უფლების აღკვეთილთა სიის განსახილველად შემოვიდა რამოდენიმე კულაკი და შექმნეს განგაში, მაგრამ ღარიბებისა გლეხობის საშუალებით ისინი კრებიდან გააძევეს. ერთი მოჯამაგირის მიერ გამოაშკარავდა, რომ მანგლისის თემსაბჭოს სარევიზიო კომისიის წევრი ყოფილა კულაკი.

სოფ. ბუდენოვკაში და დიდ თონეთში გამოვიდა ორი საშუალო გლეხი, რომლებმაც შეძლებული გლეხების შეპარალების გამო განაცხადეს, რომ კულაკებს და შეძლებულ გლეხობისათვის ჩამოეკლოთ გადასახადები, რაზედაც ღარიბებმა გლეხებმა სათანადო პასუხი გასცეს.

სოფ. შეხვეტილაში—გამოვიდა საშუალო გლეხი და განაცხადა, რომ თქვენ ღარიბის გლეხობას ყველაფერს პირდებით და მას არაფრით არ ეხმარებითო.

გარდა ამისა, საანგარიშო კრებებზე გამოსულნი მოჯამაგირეები და ღარიბები აღნიშნავდნენ, რომ კულაკები მათ პირდებოდნენ ფულს. პატიჟობდნენ სახლებში მოსყიდვის მიზნით რათა ისინი გამოსულიყვნენ საანგარიშო კრებებზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ალი.

ჩოპორტის თემი

ჩოპორტის თემი დაყოფილი იყო 9 საარჩევნო უბნად. თემში ამომრჩეველთა რაოდენობა უდრის 1595 კაცს. საანგარიშო კრებებს დაესწრო 865 ამომრჩეველი, ე. ი. 54 პროცენტი ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარეს თემისა და სოფლის საბჭოს წევრებმა. საანგარიშო მოხსენებების ირგვლივ შემოსული იყო 74 შეკითხვა. კამათში მონაწილეობა მიიღო 50 ამომრჩეველმა. კამათში გამოსული გლეხები უმთავრესად ეხებოდნენ ტყის დაცვის და მისი სარგებლობის საკითხს, მიწათმოწყობას, წყაროს გაყვანას, გზების შეკეთებას, სკოლის შენობის აგებას, მილიციის მუშაობას, კოოპერაციის მუშაობის სუსტ მხარეებს, ხიდის გაკეთებას და სხვ. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ სოფ. ლოჯიკეთის მცხოვრებნი შევიწროებულნი არიან მეწყერიანობის გამო, რასაც საბჭოს წევრებმა ვერ მიაქციეს სათანადო ყურადღება. საანგარიშო კრებებზე დაცული იყო საღი და საქმიანი კრიტიკა. ამომრჩევლებმა მოითხოვეს, რომ საბჭოს ახალმა შემადგენლობამ გამოასწოროს ყველა ის ნაკლოვანებები. რომელიც აღნიშნული იქნა საანგარიშო კრებებზე.

გლეხკორი.

საანგარიშო კამპანიის შედეგები და მორიგი ამოცანები

საბჭოების მიმდინარე საანგარიშო კამპანიას, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ახასიათებდა მშრომელი მასების აქტივობა. საანგარიშო კრებებს წინა არჩევნებთან შედარებით ყველგან ამომრჩევლების დიდი უმრავლესობა ესწრებოდა. ზოგიერთ რაიონებში დასწრების რაოდენობა ასი პროცენტითაც კი გაიზარდა. მასების აქტივობა თავის გამოხატულებას პოულობდა საბჭოების მუშაობის შეფასებაში. ამომრჩევლები განსაკუთრებული ინტერესით ისმენდნენ საანგარიშო მოხსენებებს, აძლევდნენ მრავალ შეკითხვებს, დაუფარავად ამხელდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს.

საანგარიშო კამპანიას ახასიათებდა აგრეთვე კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ამოძრავებაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, საბჭოთა გადარჩევების დროს კლასობრივ ბრძოლას, არასოდეს არ მიუღია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც საბჭოთა გადარჩევების მიმდინარე კამპანიაში.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით კულაკების და ანტისაბჭოთა ელემენტების აშკარა თუ ფარული გამოსვლების მთელი რიგი ფაქტები გამომჟღავნდა როგორც საანგარ. კრებებზე, ისე პრესაშიაც. კულაკები თავიანთ პოზიციების გასამაგრებლად მიმართავდნენ ათას გვარ საშუალებებს. ისინი ცდილობდნენ მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის მიმხრობას მოსყიდვის საშუალებით და როცა ამ გზით ვერ აღწევდნენ მიზანს, მუქარით და ცემით უმასპინძლდებოდნენ ამ უკანასკნელთ.

კულაკებს არც სამღვდელოება და მათი ამყოლები ჩამორჩნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებში. მათ ბრძოლის იარაღს წარმოადგენდა ჭორები, რასაც ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით წალკის რაიონში. თელავში კი სამღვდელოება უფრო აქტიურ შეტევაზე გადავიდა და საანგარიშო კრებების დროს ეკლესიებში მოიწვია მორწმუნეთა კრებები. ზოგან სამღვდელოების დამქაშები საანგარიშო კრებების დროს სტეხდნენ ზარების რეკას და მით სურდათ კრებების ჩაშლა.

ყოველგვარ ასეთ ანტისაბჭოთა გამოსვლას მშრომელი გლეხობა მედგრად დარაზმული ხვდებოდა და კულაკების ოინები ვერ აღწევდა დასახულ მიზანს.

თუ საანგარიშო კრებებზე ადგილი ჰქონდა კულაკების და ანტისაბჭოთა ელემენტების მძლავრ შემოტევას, უნდა მოველოდეთ, რომ საარჩევნო კრებებზე მათი შემოტევა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. კულაკები აუცილებლად შეეცდებიან საარჩევნო კრებებზე დარაზმულ გამოსვლას, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების დაშინებისა და მოსყიდვის პოლიტიკის კიდევ უფრო გაფართოებას, რომ ამ გზით თვითონ თუ ვერ მოხვდებიან საბჭოში, თავიანთი ინტერესების დამცველი, საბჭოთა ხელისუფლების ფარული მტრები მაინც გაიყვანონ იქ.

ამისი მაგალითები გასული არჩევნების დროს ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვებოდა. საბჭოებში მოხვდნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც შემდეგ კულაკების დამცველის როლში გამოდიოდნენ. ამასთან ერთად საბჭოებში შედიოდნენ ისეთები, რომლებიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ საბჭოს მუშაობაში და მხოლოდ „მკვდარ სულებად“ ითვლებოდნენ. ესეც ნათლად გამოაშკარავდა გასულ წელს ჩატარებულ სექციების მუშაობის შემოწმებაზე.

აქედან ცხადია, თუ როგორი სიფრთხილე გვმართებს მიმდინარე საბჭოთა არჩევნების დროს კანდიდატების შერჩევის საქმეში.

ინსტრუქციის თანახმად ასარჩევ კანდიდატების შეფასება წინასწარ უნდა მოხდეს როგორც უჯრედის და კომკავშირის ორგანიზაციის კრებებზე, ისე ღარიბთა კრებებზედაც. ასარჩევი კანდიდატი ყოველმხრივ უნდა იქნას შეფასებული როგორც მუშაობის უნარიანობით, ისე მისი წარსული საქმიანობით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი საარჩევნო კრებაზე დასახელება დეპუტატად ასარჩევისათვის. მხოლოდ ასეთი ყოველმხრივი შეფასება მოგვცემს შესაძლებლობას განახლებულ საბჭოებში ავირჩიოთ საბჭოთა ხელისუფლების ენერგიულად დამცველი, პარტიის ხაზის გამტარებელი და მუშაობის უნარის მქონე დეპუტატები.

ასეთივე სიფრთხილით და განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ განაწესის შემუშავებასაც. ყველა თემებში შემუშავებულ უნდა იქნას ისეთი განაწესი, რომლის განხორციელებას დაუბრკოლებლად შეძლებენ საბჭოები. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც თემის ეკონომიური და ფინანსიური შესაძლებლობა, ისე ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის გადაუდებელი საჭიროებანი. ისეთი განაწესის შემუშავება, რომლის განხორციელებას ვერ შესძლებს თემსაბჭო და აღმასკომი, სახელს გაუტეხს მშრომელი მოსახლეობის თვალში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და ამას უსათუოდ უნდა ვერიდოთ.

ხ. ბ.

სრ. საქართველოს აგიტპროპთათბირი

კამათი ამხ. დ. ორაგველიძის მოხსენების გარშემო

ამხ. ანასტასიადი

მე ვფიქრობ, რომ როგორც აჭარისტანში, ისე სხვა მაზრებშიაც, ქვედა საფეხურის ორგანიზაციები და ამ ორგანიზაციების პარტმუშაკები ნაკლებად აფასებენ პარტ-განათლების საქმეს. აჭარისტანში ორი წელია რაც სწარმოებს ბრძოლა პარტ-განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი შედეგი გვაქვს. ეს იმიტომ, რომ უჯრედები სრულიად უყურადღებოთ ეპყრობიან პარტ-განათლებას. თუ გადავთვალიერებთ უჯრედთა ოქმებს, დავინახავთ, რომ წლის დასაწყისში იწერება დადგენილებანი პარტგანათლების საკითხზე, შემდეგ კი არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილი

ამხ. მამულია მოხსენების დასაწყისში შეგვპირდა, რომ მოგვცემდა საერთო დებულებებს, საერთო ხაზს კულტურულ მშენებლობის საქმეში, მომხსენებლები კი შეჩერდებოდნენ მუშაობის კონკრეტულ ფორმებზე და შინაარსზე, მე გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ ამხ. ციხელაშვილის და ორაგველიძის მოხსენებებში მთლიანად არ იყო მოცემული ის კონკრეტული მითითებანი, რომელიც საჭიროა ჩვენი მუშაობისათვის, რომ ამხ. ციხელაშვილის თეზისებში აღნიშნულია ის, რაც საერთოდ საჭიროა, მაგრამ არ არის შეტანილი ის, რაც ეხლაა საჭირო. მომხსენებლებმა თათბირის წინაშე მწვავედ არ დასვა ის ამოცანები, რომელიც გამომდინარეობს სოფლის დიფერენციაციისა და იმ სიძნელეებიდან, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს სოფლად, სოფლის პარტ-უჯრედებში.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას პარტიაში მოჯამაგირეებისა და ღარიბთა მეტი რაოდენობით ჩაბმის ამოცანა. პარტიის დირექტივაა, რომ ორგანიზაციაში ჩაბმულ იქნეს მოჯამაგირეების 30 პროც. ამ დირექტივის შესასრულებლად საჭიროა აქედანვე შეუდგეთ მოჯამაგირე და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობას. თვითეულ პროპაგანდისტმა თავის ამოცანად უნდა დაისახოს მოჯამაგირეებისა და ღარიბების მომზადება პარტიის რიგებისათვის.

ჩვენ კანდიდატთა მომზადება ცუდათა გვაქვს დაყენებული. ჩვენ უნდა შევსცვალოთ კანდიდატების ჩაბმა პოლიტ-სკოლებში, უმისოდ პარტიის დირექტივებს ვერ განვახორციელებთ.

ამხ. მელაძე

(აფხაზეთი)

ამხ. ორაგველიძემ თავის მოხსენებაში გაატარა ის აზრი, რომ ვითომც პარტიის წევრებისათვის არ იყოს სავალდებულო პოლიტსკოლებში მეცადინეობა. მაგრამ ადგილებზე ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი: პარტიის კანდიდატი უფრო მომზადებულია ვინემ პარტიის წევრები; შეიძლება ქალაქად არ იყოს სავალდებულო პარტიის წევრებისათვის პოლიტსკოლებში მეცადინეობა, მაგრამ სოფლად კი ეს უსათუოდ სავალდებულო უნდა იყოს

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ჭელიძემ, სადარეიშვილმა, კოგანმა, ბრეგვაძემ და სხვ.

თათბირის დახურვა

25 იანვარს დილით სწარმოებდა სექციების მუშაობა.

საღამოს სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა ცალკე სექციების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები. ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. მამულიას, ციხელაშვილის და ორაგველიძის მოხსენებების გამო.

თათბირმა მიიღო სპეციალური დადგენილება ადგილებზე აგიტპროპ მუშაკთა თათბირების მოწვევის შესახებ.

თათბირმა დაადგინა, რომ ქართულ ენაზე გამოიცეს პერიოდული სპეციალური ჟურნალი, რომელშიაც გაშუქებული უნდა იქნეს პარტგანათლების და საერთოდ კულტურულ მშენებლობის პრაქტიკული ხასიათის საკითხები, ადგილობრივი ცხოვრება და სხვა.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე მოწვეულ იქნეს ულმერთოთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობა.

თათბირის დახურვის წინ ამხ. ს. მამულიამ მოკლე სიტყვაში ხაზი გაუსვა თათბირის მუშაობის მნიშვნელობას და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულად გაატარონ ცხოვრებაში მიღებული დადგენილებები.

პროფკავშირთა მე-8 ყრილობის დადგენილებანი მასებში

საქ. პროფსაბჭოს პლენუმის რეზოლიუცია

საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი კავშირების ცენტრ. გამგეობისა და საფაბრიკო - საქარხნო ადგილკომების მონაწილეობით მთლიანად იწონებს პროფკავშირების მე-8 საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს: საბჭოთა კავშირის პროფკავშირების წინაშე დასმულ საკითხებს ყრილობა სწორი ლენინური თვალსაზრისით მიუდგა და მათი ამოცანების გადაჭრისათვის კონკრეტული ხაზი დახაზა.

პლენუმი სცნობს, რომ პარტიის მიერ აღიარებული საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის გარდაქმნის ტემპი ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე, აგრეთვე კულტურული რევოლიუციის ლოზუნგი მთლიანად შეეფერება როგორც ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს ეხლანდელ ისტორიულ და ეკონომიურ პირობებს, ისე მუშათა კლასის უფართოესი მასების უშუალო საჭიროებასა და მოთხოვნილებებს.

ყრილობამ სწორად აღნიშნა ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს მუშათა უფართოესი მასების ჩაბმას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ამ გზაზე გადაულახავ დაბრკოლებათა დაძლევას. ამის მიღწევა კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ განვავითარებთ თვითკრიტიკას, სავსებით უზრუნველვყოფთ არჩევნების პრინციპს, საკავშირო დემოკრატიას და თვალსაჩინოდ გავაუმჯობესებთ პროფკავშირების მუშაობას მუშების დასაწინაურებლად საბჭოთა და სამეურნეო აპარატში.

მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებანი ქალაქისა და სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტებთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ პროფკავშირებისათვის წარმოადგენენ მთავარ დირექტივას, რომელიც მათ დაუცხრომლად და სისტემატიურად უნდა განახორციელონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. ხოლო ამ ბრძოლისათვის საჭიროა კავშირების მუშაობის თვალსაჩინოდ გაუმჯობესება, პირველ ყოვლისა, სოფლად მომუშავე, მეტადრე, მიწა-ტყის კავშირის მუშაობის გაუმჯობესება, საჭიროა ყოველნაირად ხელი შეეწყოს მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის ორგანიზაციას, განმტკიცდეს საშუალო გლეხობასთან კავშირი გადამწყვეტი შეტევის საწარმოებლად კულაკის წინააღმდეგ, გაძლიერდეს პროფკავშირების ყურადღება სამეურნეო საკითხებისადმი, დაირაზმოს პარტიისა და პროფკავშირების გარშემო პროლეტარული რიგები საბჭოთა ქვეყნის წინ გადაულახავ სიძნელეთა დასაძლევად.

პროფესიონალური კავშირებისათვის და მთელი მუშათა კლასისათვის საარსებო საკითხებს წარმოადგენენ ყრილობაზე დასმული და გადაწყვეტილი საკითხები პროფკავშირების მუშაობის თვისების მაქსიმალურად გაუმჯობესების შესახებ; ეს გაუმჯობესება უნდა გამოიხატოს შემდეგში: მეტი ყურადღების გამოჩენა კავშირებში გაერთიანებული მასების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, ამ მასების ინტერესებისათვის მუშაობის გაუმჯობესება, მაჩანჩალობასთან ბრძოლა, თვითკრიტიკის ფართოდ განვითარება, გადამწყვეტი ბრძოლა ზოგიერთ პროფორგანიზაციებში არსებულ ბიუროკრატიზმთან, პროფკავშირების მაქსიმალური მონაწილეობა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დეფექტების გამოაშკარავებაში, ბიუროკრატიზმთან და პროტექციონიზმთან ბრძოლა, ამ ორგანიზაციების გაწმენდა სოციალურად უცხო ელემენტებისაგან, კავშირების მასიური ეკონომიური მუშაობის დეფექტების მოსპობა, მუშათა მასების ნამდვილად ჩაბმა წარმოების რაციონალიზაციისათვის საჭირო პრაქტიკულ მუშაობაში, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი გაძლიერება, გადამწყვეტი ბრძოლა შრომის დისციპლინისათვის, მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და სხვ.

ამავე დროს კავშირებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა მუშა და მუშა-ქალების შრომისა, უფლებრივი და მატერიალური ინტერესების დასაცავად, გადაჭრით უნდა ებრძოლონ ბიუროკრატულ დამოკიდებულებას მუშების საჭიროებისადმი და მოხერხებით უნდა შეუგუონ ერთმანეთს მუშების ცალკე ჯგუფების ინტერესები და ზოგად - კლასობრივი ინტერესები. ამიტომ ამ გადაწყვეტილებათა სრული და უყოყმანო განხორციელება საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს პროფკავშირების მთელ უახლოეს საქმიანობას.

სოციალისტური მშენებლობის ზრდა ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელშიაც სჭარბობს წვრილ მესაკუთრეთა საქონლის მეურნეობა და რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, დაკავშირებულია უდიდეს სიძნელეებთან და იწვევს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში. ყველა ეს სიძნელე ჰქმნის მერყეობას მუშათა კლასის ზოგიერთ ჩამორჩენილ ფენებში.

ამიტომ პლენუმი საჭიროდ სთვლის გადამჭრელი ბრძოლის წარმოებას ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, პირველ რიგში კი მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლური დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში — სწორი ლენინური პრინციპებისათვის ბრძოლაში — პარტიას ყოველთვის დაუჭერს მხარს საქართველოს მუშათა კლასი.

პლენუმი საჭიროდ სთვლის გადამჭრელი ბრძოლის წარმოებას ყოველგვარი სახის ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან, და წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა პროფორგანიზაციას — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს.

ყოველგვარ ცდას—დაუპირისპირონ პროფკავშირები პარტიას, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს ცდები, პლენუმი სთვლის ანტილენინურ მოქმედებად, და მოუწოდებს საქართ. მთელ მუშათა კლასს—გადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს ამგვარ ტენდენციებთან. მხოლოდ საკავშირო კომპარტიასთან ერთად და პარტიის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება და სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა.

პლენუმი წინადადებას აძლევს საქართველოს პროფორგანიზაციებს მთელ თავიანთ მოქმედებას საფუძვლად დაუდონ პროფკავშირთა მე-8 საკავშირო ყრილობის დირექტივები და დადგენილებანი და მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ამ დადგენილებებს ფართოდ გაეცნოს საქართველოს პროფკავშირების ყველა წევრი.

თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირის საზ-.გის კონფერენციისათვის

თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების თავის სალიკვიდაციო კონფერენცია.

შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოება თბილისში ჩამოყალიბდა 1922 წელს. მანამდე შინამრეწველ-ხელოსნები გაბნეული იყვნენ თბილისში და თბილისის მიდამოებში, მათ არ ჰქონდათ არავითარი შემაკავშირებელი ორგანიზაცია.

ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ შეკავშირა სულ 3.800 ხელოსანი და დიდი შრომა დახარჯა შინამრეწველ ხელოსანთა კულტურული დონის და საზოგადოებრიობის ამაღლებლად. საზოგადოება მთელი ხნის განმავლობაში თავის წევრებს უწევდა სხვადასხვა გვარ დახმარებას (ავადმყოფობის და მშობიარობის დროს; სამარხი და სხ.). უკანასკნელი წლის განმავლობაში საზოგადოების წევრებს მიეცათ ფულადი დახმარება 9.027 მანეთის რაოდენობით; იურიდიული დახმარება გაეწია—3.184 ხელოსანს, საექიმო დახმარება—2113 კაცს და სხ.

საზოგადოებას მოწყობილი ჰქონდა საკუთარი კლუბი, სადაც გაჩაღებული იყო კულტურული მუშაობა. კლუბში მუშაობდა სულ 4 დრამწრე. უკანასკნელი წლის განმავლობაში კლუბში გაიმართა 80 წარმოდგენა, 18 საღამო-კონცერტი, 73 კინო-სეანსი, 13 საბავშო წარმოდგენა და 30 ლექცია-მოხსენება. უკანასკნელ წლის განმავლობაში კლუბის გასართობ-სანახაობებით ისარგებლა 30.000 კაცმა.—კლუბის წიგნთსაცავ-სამკითხველოთი —39.700 კაცმა. ამ წიგნთსაცავ სამკითხველოს ამჟამად აქვს საკუთარი 2.000 ცალი სხვადასხვა წიგნი და 20-მდე ჟურნალ-გაზეთი. კლუბში სწარმოებდა სხვადასხვა მასიური მუშაობა, რომელშიაც ჩაბმული იყო 500-მდე აქტიური წევრი.

კლუბთან არსებული პიონერთა კოლექტივი აერთიანებს—120 პიონერს და 140 ოქტომბრელს (ხელოსნების და მუშების შვილებს). სათანადო სიმაღლეზე იდგა მუშაობა ქალთა შორისაც: სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმული იყო 200-მდე ქალი.

თბილისის შინამრეწველ ხელოსნები ეხმარებოდნენ საზოგადოების მიერ ჩატარებულ კამპანიებს: მიუხედავად იმისა რომ თბილისის ხელოსნების მეტი წილი განიცდიდა მატერიალურ ხელმოკლეობას, ქუთაისის ხანძრისგან დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოდ მათ შორის საზოგადოების მიერ შეგროვილი იქნა 1.000 მანეთი; ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი ხელოსნებმა გაასაღეს 16.000 მან. რაოდენობით (გეგმით ნავარაუდევი იყო 15.000 მანეთი), ხოლო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი—48.675 მანეთის რაოდენობით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოებისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა თბილისის აღმასკომი. იყო მომენტები, როდესაც უსახსრობის გამო, საზოგადოების წინაშე მწვავედ იდგა ლიკვიდაციის საკითხი. ყოველ ასეთ შემთხვევაში თბილისის აღმასკომი ხელოსანთა საზოგადოებას აწევდია დახმარებას სესხის სახით. ბოლოს თბილისის აღმასკომმა საზოგადოების დავალიანებიდან ჩამოსწერა 8.521 მანეთი.

უკანასკნელი 15 თვის განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი უდრიდა 102.047 მანეთს,—გასავალი—93.526 მანეთს. ვთქვით საზოგადოება თავისი არსებობის პირველ ხანებიდან შეუდგა კოოპერაციის იდეის პოპულარიზაციას თავის წევრებს შორის შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების არსებობა მიზანშეწონილი იყო მანამდე, სანამ ჩამოყალიბდებოდა შინამრეწველ-ხელოსანთა რაიმე კოოპერატიული ორგანიზაცია. საზოგადოება მთელი ძალღონით ამზადებდა საამისო ნიადაგს და შინამრეწველ-სარეწაო კოოპერაციული კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ საზოგადოების მეოთხე კონფერენციაზე. 1927 წელს დეკემბერში, დადგენილი იქნა შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების ლიკვიდაციის მოხდენა.

ვინაიდან ხელოსნების საგრძნობი ნაწილი კიდევ არ იყო შეკავშირებული კოოპერაციაში, საჭიროდ იქნა ცნობილი რომ საზოგადოების ლიკვიდაციამდე შექმნილიყო ხელოსანთა ურთიერთ დამხმარე სალარო რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს კოოპერაციის გარეშე მყოფ ხელოსნების კოოპერაციაში შეკავშირებისათვის. ამ მიზნით მოწვეული იქნა სალაროს საორგანიზაციო კომისია (სარეწკოოპკავშირის და ხელოსანთა საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით). აღნიშნულმა კომისიამ შეიმუშავა დებულება სალაროს შესახებ რომლის მიხედვითაც სალაროში მიღებული იქნებიან წევრებად მხოლოდ მარტოხელა ხელოსნები და ისეთები, რომლებსაც ჰყავთ არა უმეტეს ორი მოწაფისა. ამასთანავე სალაროს წევრ ხელოსანთა რაოდენობა განსაზღვრული იქნა კოოპერაციაში შეკავშირებულ ხელოსანთა რაოდენობის 50 პროცენტით.

საანგარიშო წლის განმავლობაში საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობაში შეკავშირებულ იქნა 800 ხელოსანი, სხვადასხვა არტელებსა და ამხანაგობებში.—850 და სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროში—300 ხელოსანი, ამრიგად. ამჟამად კოოპერატიულად შეკავშირებულია სულ 2.550 ხელოსანი. ხოლო შეუკავშირებელი რჩება 1.023 კაცი.

შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ, სალიკვიდაციო კომისიის დადგენილების თანახმად. საზოგადოების მთელი ქონება გადაეცემა სარეწაო კოოპერაციას; საზოგადოების კუთვნილი სახლი გადაეცემა სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროს ქვრივ ობოლთა და უმუშევრების ფონდის გასაძლიერებლად, ხოლო ნაღდი ფული გადაეცემა სარეწაო კოოპ. კავშირის საკრედიტო ამხანაგობას და გამოყენებული უნდა იქნეს ღარიბ ხელოსანთა კოოპერაციაში შესაკავშირებლად.

დ. ნასარიძე.

გაზაფხულის თესვისათვის

რესპუბლიკანური კომისიის სხდომა

გუშინ, საქართველოს სახ. კომისართა საბჭოში ამხ. ვ. ივანოვ-კავკასიელის თავმჯდომარეობით შესდგა გაზაფხულის თესვისთვის ხელის შემწყობ რესპუბლიკანურ კომისიის პირველი სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა და თესვასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები. კომისიამ საჭიროთ სცნო თესვის კამპანიის გეგმის დაჩქარებით გადამუშავება ხელ-ახლა. ამასთანავე კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიისთვის გამოყოფილი კრედიტებას მიღება ძალიან იგვიანებს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს თესვის შეფერხება. ამიტომ კომისიამ დაადგინა მიღებული იქნეს გადამჭრელი ზომები ამ კრედიტების დროზე მისაღებათ. გარდა ამისა თვითეულ ცალკე კულტურათათვის დაწესებული კრედიტები მიჩნეული იქნა არასაკმარისად და საჭიროთ იქნა ცნობილი აღიძრას შუამდგომლობა (ცენტრალურ ორგანოების წინაშე) კრედიტების გადიდების შესახებ. ერთი კვირის განმავლობაში დამუშავებული უნდა იქნეს სათესლე მასალის დამზადება-განაწილების საქონლის საკვების მომარაგების, მუშა-საქონლის შეძენის, სოფლისთვის იარაღ-მანქანების მიწოდების კრედიტების გაცემის, აგრიკულტურულ ღონისძიებების და სხვა [illegible] ლოთ ჩამოყალიბებული უნდა იქნეს სხვა კულტურათა კონტრაქტაციის გეგმა და სხვადასხვა [illegible] გაზაფხულის თესვის კამპანიაში.

მუშა-საქონელი საკვებით უზრუნველყოფილია

ცეკავშირში, რომელიც აწარმოებს ფურაჟის დამზადებას, გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში მუშა-საქონლისათვის საკვების მიწოდების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

დაკვეთა, თუ როგორი რაოდენობის ფურაჟი იქნება საჭირო საქონლისათვის გაზაფხულის თესვის პერიოდში ცეკავშირს ჯერ არ მიუღია.

მიუხედავათ ამისა, ცეკავშირს უკვე აქვს დამზადებული 100.000 ფუთი თივა და საჭირო რაოდენობის ბზე.

მოთხოვნილებისამებრ ცეკავშირი თივისა და ბზის ამ რაოდენობას დაუყოვნებლივ გადაზავნის ადგილებზე გლეხობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საერთოდ თივისა, ჩალისა და ბზის მხრივ პერსპექტივები საიმედოა და ამ მხრივ ნაკლებობას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება კოპტონს (ჟმიხა), რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, იგი ცეკავშირს არ მოეპოვება, რადგან მისი დამზადების ოპერაციას იგი არ აწარმოებს.

საქ. ექიმთა მე-5 კონგრესი ბათომში

27 იანვრის დილის სხდომა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საქართველოს მოსახლეობის მოძრაობა

თავმჯდომარეობს საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე. პრეზიდიუმში არიან ამხ. კიკალეიშვილი, ნაზარეტიანი, ბოლქვაძე, ფანცხავა. მოხსენებას საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკის შესახებ აკეთებს ექ. ივ. ლორთქიფანიძე.

ექ. ლორთქიფანიძის მოხსენება

მომხსენებელი აკეთებს საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის ისტორიულ მიმოხილვას და აღნიშნავს, რომ ისტორიული უტყუარი ცნობები საქ. მოსახლეობის მოძრაობის შესახებ არ მოიპოვება. მაგრამ ცნობილია, რომ ყველაზე მეტი მოსახლეობა საქართველოში იყო მე-12 საუკუნეში. შემდეგ იგი თანდათან შემცირდა ომიანობის, ფეოდალების თარეშის, ეკონომიური დაქვეითების და სხვა მრავალი ფაქტორების ზეგავლენით. თვითმპყრობელობის დროს მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. მოსახლეობის თანდათანობითი ზრდა იწყება მე-20 საუკუნიდან.

მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკის ძირითად მეთოდს შეადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელიც ტარდება ერთი და იმავე დროს მთელ მხარეში. მოსახლეობის ასეთი აღწერა ფრიად რთული, საპასუხისმგებლო, ძვირი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოპერაციაა. ყოფილ მეფის რუსეთში აღწერა ჩატარებული იქნა პირველად 1897 წელს.

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა 1926 წელში. თუ შევადარებთ მოსახლეობის რაოდენობას იმ ციფრებთან, რომელიც იყო 1870 წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ ამ 56 წლის განმავლობაში მოსახლეობა გამრავლდა 110,5 პროც., წლიურად კი მატულობს 1,96 პროც.

ქალაქის და სოფლის მოსახლეობა არ იზრდება ერთნაირად. აღნიშნულ დროის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობამ მოიმატა 147,8 პროც., ხოლო სოფლის—79 8 პროც.

რესპუბლიკის მოსახლეობის შემადგენლობაში ემჩნევა მამაკაცების რაოდენობის სიჭარბე დედაკაცებზე.

სიკვდილობის კოეფიციენტმა უკანასკნელ ხანებში თვალსაჩინოთ დაიწია,—რასაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, საერთო კულტურულმა ზრდამ, სამკურნალო - სანიტარიო დაწესებულებათა ქსელის განვითარებამ და სხვა.

მაზრებს შორის სიკვდილის უმეტესი კოეფიციენტი აქვს (1926 წ.). ფოთს თავის რაიონით. უმცირესი სამხრეთ-ოსეთს საშუალოდ კი მთელ რესპუბლიკაში ეს კოეფიციენტი უდრის 8.1 ყოველ ათას კაცზე.

საბჭოთა ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის მატება აიხსნება მთელი რიგი ღონისძიებებით, როგორიც არის შრომის პირობების გაუმჯობესება (სამუშაო დღის შემცირება და სხვ.), დედობისა და ბავშვობის დაცვა. სანიტარული, პროფილაქტიური ორგანიზაციების ფართოდ დაყენება და სხვ.

პრ.-დოც. ცეცხლაძის მოხსენება

თავის მოხსენებაში „ქართველი ბავშვების ფიზიკური განვითარების თავისებურებანი“ პრ.-დოც. ცეცხლაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის ფიზიკური განვითარების მაჩვენებლად სხვათა შორის: სიმაღლე, წონა, გულმკერდის გარეშემოწერილობა, თავის მოცულობა. ქართველ ბავშვებზე შეკრებილი მასალის მიხედვით მომხსენებელს გამოჰყავს შემდეგი დასკვნები. 6—10 წლამდი ვაჟები უფრო მაღალი არიან, 11 წლიდან და შემდეგ ქალები უფრო ვითარდებიან. ასეთივე სურათია წონის მატებაში. გულმკერდის გარეშემოწერილობა 6—10 წლამდე ქართველი ვაჟისა მეტია ქალის გულმკერდის გარეშემოწერილობაზე, ხოლო 11 წლის შემდეგ ქალი ვაჟს ეწევა და კიდეც უსწრებს წინ. თავის გარეშემოწერილობა 6—13 წლამდე ვაჟებში მეტია ქალისაზე, შემდეგ ქალი თანდათან უახლოვდება ვაჟს, მაგრამ 13 წლამდის მას ვერ ეწევა. ქართველი ბავშვების შედარება სხვა ერების ბავშვებთან გვიჩვენებს, რომ ქართველი ბავშვები მეტი არიან სიმაღლით ბელგიელებზე, შემდეგ რუსებზე და ნაკლები ფრანგების და გერმანელების ბავშვებზე.

ექ. ვლ. თოხაძის მოხსენება

(„ბავშვთა დაბადება და სიკვდილობა 1900—1905 წლ.“).

მომხსენებლის მიერ შეკრებილი და შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ ყოველ 100 ქალზე საშუალოდ 108 ვაჟი მოდის. დაბადების მაქსიმუმი საქართველოში იანვარსა და აპრილს ხვდება. ბავშვთა ასაკის ზრდის მიხედვით სიკვდილის პროცენტი თანდათან კლებულობს. პირველი წლის ასაკში სიკვდილიანობა ქალაქებში მეტია, ვიდრე სოფლებში, ამავე დროს ვაჟები სიკვდილობას მეტ პროცენტს იძლევიან, ვიდრე ქალები.

ექ. ყანჩელის მოხსენება

ექ. ყანჩელი აკეთებს მოხსენებას ოჯახური და სოციალური ყოფა-ცხოვრების ფაქტორების ზეგავლენაზე ბავშვთა დაბადებაზე და სიკვდილიანობაზე. ა.-კ. რკ. გზ. პედოლოგიური ლაბორატორიის მასალის მიხედვით გამოირკვა რომ რამდენადაც ცუდია მატერიალური და ბინის პირობები, იმდენად მეტია პროც. დაბადებულ ბავშვთა. მეორეს მხრივ ცუდი მატერიალური და საბინაო პირობები ხელს უწყობენ ბავშვთა სიკვდილის პროცენტის ზრდას. ბინის და მატერიალური პირობების ერთგვარობის დროს შვილოსნობა მუშათა ოჯახებში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მოსამსახურეთა ოჯახებში. ბავშვების ნაადრევი სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს: პირველ რიგში სასუნთქი გზების დაავადებანი, მეორეში კუჭ-ნაწლავის აშლილობანი და მესამეში—გადამდები ავადმყოფობანი.

შემჩნეულია აგრეთვე. რომ ბუნებრივი მუცლის მოწყვეტის პროცენტი გაცილებით მეტია მუშათა ოჯახებში ვიდრე მოსამსახურეთა ოჯახებში მაშინ. როდესაც ხელოვნურად მუცლის მოწყვეტის პროცენტი მოსამსახურეთა ოჯახებში უფრო მეტია.

შემდეგ მოხსენებები მესამე საპროგრამო საკითხზე წაიკითხეს. ექ. ზედგინიძემ, ექ. ჟორჟოლიანმა და ექ. ახლანიშვილმა—(მოსახლეობის მოძრაობა აფხაზეთის სვანეთში).

ექ. კ. ვეფხვაძე.

27 იანვრის საღამოს სხდომა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი დილის სხდომაზე მოსმენილი მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გრ. კუჭაიძემ, პროფ. თოკაძემ, პროფ. ლოლუაძემ, ექ. ნათაძემ, ექ. ჯაფარიძემ, მალალაშვილმა, ხვოროსტოვმა, ჩარაზიამ, ლოსაბერიძემ და სხვ. ამხ. კუჭაიძე აღნიშნავს, [illegible] საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის საკითხის შესწავლა მხოლოდ ეხლა დაიწყო. მოსახლეობის მოძრაობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურული წინსვლისათვის. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სააღრიცხვო მუშაობას.

ჩიყვი აჭარაში

აღნიშნულ საპროგრამო საკითხზე მოსმენილი იქნა სპეციალური ექსპედიციის წევრების ექ. ახლანიშვილის, ექ. რუხაძის ექ. თ. მდივნის, ექ. ბერეჟიანის და გ. გოგოლაძის მოხსენებანი: ექსპედიციის გამოკვლევით აჭარისტანის 82 სოფელი 21.583 მცხოვრებით. გასინჯული იყო სულ 7.984 სული (4.022 მამაკაცი და 3.962 ქალი) რომელთა შორის ჩიყვიანი აღმოჩნდა 2.372 კაცი (29,7 პროც.). მამაკაცი 913 და ქალი—1.459 გარდა ჩიყვიანებისა, კრეტინების რიცხვი უდრის 64 (0.8 პროც.), ჩიყვის ნიადაგზე წარმოშობილ სხვადასხვა დაავადებანი: ბაზედის ავადმყოფობა. მიქსედემა, ვლიამინოიდის სახსართა ფორმა აღნიშნულია 97 შემთხვევაში (1,2 პროც.), გამოკვლეულ 5 თემიდან პირველი ადგილი უჭირავს მერისის თემს (38,3 პროც.) სხალთის თემს უკავია მესამე ადგილი (30,3 პროც.). ამგვარად, გამოკვლევების მიხედვით ჩიყვიანობამ აჭარაში მეორე ადგილი უკავია სვანეთის შემდეგ. აჭარაშიაც ემჩნევა ჩიყვის გავრცელებას ერთგვარი დამოკიდებულება გარკვეული ხასიათის სასმელ წყლებთან. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ჩიყვი უფრო ავთვისებიანია ვიდრე საქართველოს სხვა ადგილებში. ეს ავთვისებიანობა გამოიხატება ნერვული სისტემის აშლილობით და სხვა.

მოხსენებები არასაპროგრამო საკითხებზე

მუშაობა სექციებში

28 იანვარს, დილას და საღამოს მუშაობა სწარმოებდა სექციებში. სექციების სხდომებზე მოსმენილი იქნა მოხსენებები შინაგანი მედიცინის და ბალნეოლოგიისა, ქირურგიისა, გინეკოლოგიისა და ჰიგიენის დარგიდან, რიცხვით სულ 80-მდე.

ექ. ა. ვეფხვაძე.

ბათომი, 28 იანვარი.

ბათომი. 29 იანვარი. საქართველოს ექიმთა მეხუთე კონგრესის მუშაობა დამთავრდა. დღეს შესდგა კონგრესის პლენარული სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა ძირითად მოხსენებების გამო. ამის შემდეგ კონგრესი დაიხურა (ადს).

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

ბორჯომის წყლის რეალიზაციის შესახებ

მ.-გ. ინსპექციის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს კურორტთა სამმართველოსა და სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის შორის დადებული ხელშეკრულება მოსკოვის ბაზარზე ბორჯომის წყლის რეალიზაციის საქმის გადაცემის შესახებ კურორტთა მთავარ სამმართველოსათვის.

მოსკოვის ბაზარზე ბორჯომის წყლის რეალიზაცია უნდა მოეწყოს საკურორტო სამმართველოს საკუთარ საბაზისო საწყობის საშუალებით, სხვა ქალაქებში არსებულ საწყობების საშუალებით.

კურორტთა მთავარ სამმართველოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები მინერალურ წყლებზე ფასების დასაკლებად.

აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევა

ეკონომიურმა საბჭომ მოისმინა სპეციალურ კომისიის დასკვნა აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ხსენებულ სადგურის მშენებლობის სირთულე და სიდიდე და სადგურის მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო სახსრების გაღება და აგრეთვე „[illegible]“-ს მოსაზრება აჭარის რაიონულ ცენტრალ. სადგურის კატეგორიაში გადაყვანის შესახებ, შეუძლებლად სცნო სადგურის მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდება ადგილობრივ ელექტროფიკაციის ხაზით.

მწერალ ქალის განდეგილის გარდაცვალება

გუშინ, 29 იანვარს, ნაშუადღევის 5½ საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა მწერალი ქალი განდეგილი (დომინიკა ზურაბის ასული ერისთავ-მდივნისა).

განსვენებული სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა ამ 35 წლის წინად. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში. მას შემდეგ მისი ლექსები, პოემები და მოთხრობები იბეჭდება შემდგომი დროის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. განდეგილის ლექსების პირველი კრებული გამოიცა 1898 წელს, ხოლო მოთხრობების კრებული—1910 წელს.

სხვათა შორის, განსვენებულის კალამს ეკუთვნის რუსი კლასიკოსის გრიბოედოვის გამოჩენილი კომედიის „ვაი ჭკუისაგან“-ის ქართული თარგმანი. ცალკე წიგნად „ვაი ჭკუისაგან“ გამოვიდა ამ 25 წლის წინად და ამჟამად მას ხელ-ახლა სცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

ი.

ქრონიკა

ქარი აფერხებს მატარებლების მოძრაობას

ამიერ-კავკ. გზების სამმართველოში მიღებული ცნობით, გზის დასავლეთ უბანზე ქრის ძლიერი ქარი, რომელიც აფერხებს მატარებლების მოძრაობას.

რადიო-მუშაკების ახალი კადრი

ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გზელთა კლუბთან არსებულ რადიო-წრემ გამოუშვა 15 ახალი რადიო-მუშაკი. მათგან 9 კაცს მიენიჭა რადიო-ინსტრუქტორების, დანარჩენებს რადიო-წრეების ხელმძღვანელთა სახელწოდება.

კლუბთან გახსნილია სამ თვიანი რადიო-კურსები, რომელზედაც ირიცხება 40 მსმენელი. მსმენელების 50 პროცენტი მუშები არიან.

თბ. აღმასკომში

◆ **სიძველეთა დასაცავად.** თბილისის აღმასკომმა დაავალა კეთილმოწყობის განყოფილებას განათლების კომისარიატის სიძველეთა დაცვის განყოფილებასთან შეთანხმებით მიიღოს ზომები არმაზის ძველი მონასტრის დასაცავად.

◆ **ელექტრო-მანქანა სოფლისათვის.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა სოფ. ტირძნისის (გორის მაზრა) ელექტრო სადგურისათვის უფასოდ გადასცეს გორის აღმასკომს 20 ცხ. ძალიანი დინამო-მანქანა.

◆ **მირზა ახუნდოვის ხსოვნის აღსანიშნავად.** განსვენებული თურქი საზოგადო მოღვაწის და მწერლის მირზა ფატალი ახუნდოვის ხსოვნის აღსანიშნავად თბილისის აღმასკომმა გადაწყვიტა ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოს უწოდოს მისი სახელი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **კურორტი ლებარდე.** ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო დადგენილება კურორტ ლებარდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის კურორტად გამოცხადების შესახებ.

◆ **მედტექნიკუმის პროგრამების გაფართოება.** ჯანსახკომის დადგენილებით მედტექნიკუმის პროგრამაში ცალკე საგნად იქნა შეტანილი დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე.

სხვადასხვა

◆ **შრომა-გასწორების ორგანოების გამოკვლევა.** საქართველოს ცაკმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა ჩაატაროს შრომა-გასწორებისა და იძულებითი სამუშაოების განმახორციელებელი ორგანოების (გამასწორებლების) მდგომარეობის გამოკვლევა.

◆ **დისპუტი სახალხო განათლების საკითხზე.** ხუთშაბათს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება დისპუტის გაგრძელება ამხ. მარიამ ორახელაშვილის მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე „სახალხო განათლების სისტემა სოციალური აღზრდის დარგში".

◆ **ლიტერატურული დისპუტი.** 30 იანვარს, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება დიდი ლიტერატურული დისპუტი შემდეგ თემაზე: „ქართული მხატვრული პროზა, პოეზია და კრიტიკა 1928 წელში".

„საბჭოთა აღმშენებლობა", გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა" № 3 შემდეგი შინაარსით: მეთაური—„ლენინის დროშის ქვეშ", ი. ვარძიელი—ბურჟუაზიული დემოკრატია და საბჭოთა არჩევნების საფუძვლები", გ. ბოლქვაძე—რა უნდა იცოდეს საბჭოს ამომრჩეველმა, დ. ქუჩულორია—საბჭოთა არჩევნები, კ. ხიმერიკი—გლეხკომები და საბჭოების გადარჩევის კამპანია, ი. ტალახაძე—კლასთა ბრძოლა სოფლად და სასამართლოს ამოცანები, შ. მარგალიტაძე—თემსაბჭოს სარევიზიო კომისიები, ვ. ბიტყოვი—საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, შ. გომართელი—თბილისის აღმასკომის მუშაობა, დ. თოფურია—5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენისათვის სოც.-კულტურულ დარგში, იოსებ ვარძიელი—საწარმოო ძალთა შესწავლისათვის თბილისის მაზრაში და სხვა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** ქუთაისიდან—ბერიძეს, სევასტოპოლიდან — „გოსელტრესტს", მოსკოვიდან — ენ-ტან-ეუნს, აბასთუმნიდან — ძნელაძეს, ნაგომრიდან — ჩიჩუას, ქარელიდან — მალჩაკოვისას, ბაშკიჩეთიდან — ბუკაძეს, ბათომიდან—გრიგორიევს, ქარელიდან—ფუთურიძეს და ტარუაშვილს, ოზურგეთიდან — კალანდაძეს და კარადაშიდან—მინასიანს.

ხელოვნება

სომხეთის კონსერვატორიის სტუდენტთა საჩვენებელი კონცერტი

26 იანვარს თბილისის სახალხო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა საინტერესო მუსიკალური საღამო სომხეთის კონსერვატორიის სტუდენტობის მონაწილეობით და იმავე კონსერვატორიის რექტორის, კომპოზიტორ გევორქიანის მეთაურობით. ერევანის კონსერვატორიას ამ შემთხვევაში ამოძრავებდა ორი მიზანშეწონილი მისწრაფება: 1) მჭიდრო კავშირის განმტკიცება საბჭოთა სომხეთის და საქართველოს ხელოვან-მუსიკოსთა და 2) ერევანის ახალგაზრდა კონსერვატორიის (არსებობს მხოლოდ ხუთი წელიწადი) მუშაობის და მიღწევების დემონსტრაცია.

კონცერტის პროგრამა შეიცავდა იმგვარ ნიმუშებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იყო ნათელ წარმოდგენის მიღება ერევანის კონსერვატორიაში არსებულ მუსიკალურ საგნებზე და პედაგოგიურ მიმართულებაზე. უპირველესად იპყრობს ყურადღებას ორიენტალური კლასი, სადაც სტუდენტები მეცადინეობენ აღმოსავლეთის დასაკრავ ინსტრუმენტებზე (ქემანჩა, თარი და სხვ.) და უკვირდებიან აღმოსავლეთის ძველი სიმღერების მოხაზულობას და ხასიათს. ორიენტალურ კლასის მიღწევები საკმარისად დამტკიცდა კონცერტზე სტუდენტების სურხტიანის (ქემანჩა) და მერანგულიანის (თარი) გამოსვლებით. პროგრამის და მის შემსრულებელთა მომზადების მიხედვით ჩანს, რომ ერევანის კონსერვატორიაში, ორიენტალურ კლასის გარდა, არსებობენ და სერიოზულ მეცადინეობას ეწევიან კლასები ფორტეპიანოსი, ვიოლინოსი, ვიოლონჩელისა, სიმღერისა, საკრავ ორკესტრისა, ინსტრუმენტალური ანსამბლისა (ცალკე აღმასრულებელთა გაერთიანებული შემოქმედება) და სიმებიანი კვარტეტის (ორი ვიოლინის, ვიოლას და ვიოლონჩელის გაერთიანებულ შემოქმედება)

პროგრამა შეიცავდა სერიოზულ და ტექნიკურად ძნელად დასაძლევ ნიმუშებს, მაგრამ შესრულებულ იქნა სტუდენტების მიერ სრული შეგნებით და ტექნიკურად თითქმის უნაკლოდ. შემსრულებელთა შორის ვნახეთ არა ერთი ნიჭიერი სტუდენტი. განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ვიოლინოზე მომეცადინე მცირეწლოვან სტუდენტის ბოღდანიანის და ვიოლონჩელზე მომეცადინე სტუდენტის აღამირიანის ბუნებრივი ნიჭი და მომავალში მოსალოდნელი დიდი ნაყოფიერება.

მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს სიმებიანი ორკესტრის კლასის მიღწევები. სამწუხაროდ, კონცერტის პროგრამა არ შეიცავდა ერევანის კონსერვატორიის თეორეტიულ კლასის (კომპოზიციის) შემოქმედების არც ერთ ნიმუშს, რომელსაც სწორედ ეს შემოქმედება უნდა წარმოადგენდეს ამ კონსერვატორიისათვის უმთავრეს მიზანს და მას განსაკუთრებულ არსებობის ერთ-ერთ საფუძველს. პროგრამის მეორე ნაკლად ჩაითვლება მასში მოთავსებულ საბჭოთა სომხეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებების მცირე რიცხვი (შესრულებული იყო მხოლოდ ერთი ნაწარმოები სპენდიაროვის და კიდევ ერთი გევორქიანისა).

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **ლიტერატურული დისპუტი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების დიდ დარბაზში გაიმართება დიდი ლიტერატურული დისპუტი შემდეგ თემაზე: „ქართული მხატვრული პროზა, პოეზია და კრიტიკა 1928 წელში: მოხსენებას აღნიშნულ თემაზე გააკეთებს ამხ. პლ. ქიქოძე. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: ა. აბაშელი; ნ. ზომლეთელი; ფ. ნაროუშვილი; ა. ყაყუჩაშვილი; ბ. ჟღენტი; გრ. რობაქიძე; ტ. ტაბიძე; მ. ჯავახიშვილი; ს. ჩიქოვანი და სხ.

ფართალი ჩადრახდილ ქალებს

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მიღებულ ფართლიდან ჩადრახდილ მუსლიმან ქალებისთვის გამოჰყო 8.000 მანეთის შალის ქსოვილები, რომლის განაწილება დავალებული აქვს მუშკოოპს. ეს ფართალი რაიონებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: ქ. ბათომს მიეცა—1.800 მან., ჩაქვის რაიონს—700 მან., ქობულეთის რაიონს—800 მანეთის, ქედის რაიონს—600 მანეთის, ხულოს რაიონს—900 მანეთის, აჭარის წყალის რაიონს—700 მანეთის, დიდ აჭარის-წყალის რაიონს—700 მანეთის, ახალციხის რაიონს—1.200 მან., და ახალქალაქის რაიონს —1000 მანეთის შალეული.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო ახლო მომავალში ამავე მიზნით გამოყოფს 1 ვაგონ ბამბის ქსოვილებს.

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება

საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმების კამპანია, რომელსაც ატარებს საქართველოს პროფსაბჭო, ფართოდ გაიშალა, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში. კავშირების მიერ გამოყოფილია შემოწმების რწმუნებულები, რომლებიც შემოწმებას ჩაატარებენ თავიანთი კავშირების ხაზით.

გარდა ამ მასალებისა, რომლებიც თავის დროზე იყო დაგზავნილი ადგილებზე, ამ დღეებში პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებაში შესდგა რწმუნებულების თათბირი, რომელზედაც გაკეთებული იქნა საინფორმაციო მოხსენება შემოწმების პრაქტიკულად ჩატარების შესახებ.

წარმოებებში გამოყოფილია შემოწმების ხელის შემწყობი კომისიები, რომლებშიაც ჩაბმულნი არიან პროფესიონალური უჯრედები, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები, პარტიული უჯრედები, „მსუბუქი კავალერია" და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები.

საწარმოო თათბირების შემოწმება დაკავშირებულია ამ თათბირების მუშაობის გამოკვლევასთან, რომელსაც ატარებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია პროფსაბჭოსთან ერთად. მუშგლეხინის ჯგუფში პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილია 6 ამხანაგი. გამოკვლევა განზრახულია ჩატარებულ იქნეს როგორც თბილისის, ისე პროვინციის წარმოებებში. გამოკვლევის ჩამტარებელ ჯგუფს თავის მუშაობაში მჭიდრო კავშირი აქვს საწარმოო თათბირების შემოწმების ხელის შემწყობ კომისიებთან.

გამოკვლევა უკვე დამთავრდა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ"-ში, ტყავის ქარხანაში, მაუდის ფაბრიკის საამშენებლო სამუშაოებზე, აგურის ქარხნებში და სხვ. საწარმოო თათბირების გამოკვლევა გაგრძელდება თებერვლის პირველ რიცხვებამდე.

ქაღალდის ქარხნის ასაგებად

პროექტი მზად იქნება თებერვლის ბოლოს

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილემ ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— უმაღლესმა საკავშირო ორგანოებმა საბოლოოდ აღიარეს ენგურის ქაღალდის ქარხნის აგების საკითხი დაჩქარებით იქნეს მოგვარებული. საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა ახლო მომავალში წარადგინოს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოში ქარხნის საამშენებლო საბოლოო პროექტი, რომ შესაძლებელი გახდეს საამშენებლო სამუშაოების დაწყება 1929-30 საბიუჯეტო წლიდან.

ქარხნის ასაგებათ სულ გადაწყვეტილია გაიღოს 11.000.000 მანეთი. ცალკე წლების მიხედვით ეს თანხა განაწილებული იქნება შემდეგნაირად: 1929-30 წელს საამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად გაცემული იქნება 4.500.000 მანეთი, 1930-31 წელს—5.700.000 მანეთი და 1931-32 წელს—800.000 მანეთი.

ქარხნის ე. წ. სიტყვიერი პროექტი წარდგენილი იყო უმაღლეს საკავშირო ორგანოებში 1927-28 წელს, პროექტი მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა, როგორც ტექნოლოგიური, ისე საამშენებლო თვალსაზრისით. მაგრამ ფინანსიური მოსაზრებებით სამუშაოების დაწყება 1928-29 საბიუჯეტო წლიდან ვეღარ მოხერხდა.

გასულ ზაფხულზე ს. მ. უ. საბჭომ გერმანიაში მოავლინა ქარხნის მთავარი ინჟენერი ვ. კოჩინაშვილი რომელსაც დავალებული ჰქონდა დაემუშავებია იქ ქარხნის საბოლოო პროექტი. ინჟ. კოჩინაშვილი იტყობინება, რომ იგი ნაკისრ სამუშაოს დაამთავრებს ახლო ხანში და დაბრუნდება უკანვე. პროექტის შედგენაზე მუშაობს ცნობილი გერმანული ფირმა ზიუდენჰაუზისა. აღნიშნულ ფირმის გარდა პროექტის დამუშავების საქმეში მონაწილეობას ღებულობენ ფოიტის, ბლიუხერტის და სიმენსის ფირმები.

მიღებული ცნობებით, საბოლოო პროექტი მზად იქნება თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის.

ქაღალდის მაკულატურის ჩაბარება

„ზაკგოსტორგ"-ის ნედლეულის გამოყენების („უტილსირიო") განყოფილების გამგემ ამხ. პევზნერმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა ქაღალდის მაკულატურის შეგროვების შესახებ ამიერ-კავკ. ფედერაციაში:

— დადებულია გენერალური ხელშეკრულებები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტროარქივებთან, აგრეთვე გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების ორგანოებთან ქაღალდის მაკულატურის ჩაბარების შესახებ.

საერთო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მიმდინარე საოპერაციო წელს ამიერ-კავკ. ფედერაციაში დამზადებულ უნდა იქნას — 3.780 ტონა ქაღალდი. ამა წ. იანვარში უკვე გაიგზავნა 30 ვაგონი ქაღალდის მაკულატურა. თებერვალში განზრახულია გაიგზავნოს 70 ვაგონი.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატის ცირკულართან დაკავშირებით ცენტრ-არქივმა გაამარტივა ადგილობრივი არქივების მიერ მაკულატურის ჩაბარების პროცედურა, რაც საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ თებერვალში გაიგზავნება 70 ვაგონი, იანვარში გაგზავნილ 30 ვაგონის ნაცვლად. მაკულატურის დამზადება საქართველოში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში, სადაც ადგილი აქვს ერთგვარ არანორმალურ მოვლენებს. მაგალითად, აზერბეიჯანის ცაკმა მაკულატურის შეგროვებისა და გადაგზავნის მონოპოლიური უფლება გადასცა ქალაქისა და სოფლის დაკავშირების საზოგადოებას, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციას არ წარმოადგენს და რომელსაც მრეწველობისათვის ქაღალდის მაკულატურის მიწოდება არ ევალება. ამის შედეგად „ზაკგოსტორგ"-მა მთელი ერთი თვის განმავლობაში ვერ შესძლო გაეგზავნა 15 ვაგონი მაკულატურა, რაც აზერბეიჯანში იყო შეგროვილი (ადს).

ქაღალდის მაკულატურის შეგროვების თვე

კომკავშირის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტმა დაადგინა 1 თებერვლიდან 1 მარტამდე ჩაატაროს ქაღალდის მაკულატურის შეგროვების თვე. ნავარაუდევია, რომ თბილისში შეგროვილი იქნება 35.000 კილო ქაღალდი. (ადს).

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები

საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების გადიდება. ყველა იმ უწყებას და დაწესებულებას, რომელსაც სახსრები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით ეძლევა, ეკრძალება კრედიტების გატანა ხარჯთ-აღრიცხვის იმ ნაწილიდან, რომელიც საოპერაციო ხარჯებს ითვალისწინებს, იმ ნაწილში, რომელშიაც ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯებია გათვალისწინებული. აკრძალულია აგრეთვე თანხების აღება სპეციალური და ბიუჯეტს გარეშე წყაროებიდან ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების დასაფარავად.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებებს და დაწესებულებებს, აგრეთვე ადგილობრივ აღმასკომებს და საბჭოებს ეკრძალებათ აღძრან შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დამატებით თანხები მიეცეთ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯებისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ფინსახკომს დაევალათ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების დროს სისტემატიურად ადევნონ თვალყური იმას, რომ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯებმა საერთო თანხა არ აღემატებოდეს ბიუჯეტით დამტკიცებულ რაოდენობას. იმავე ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ეს დადგენილება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს ყველა ავტონომიურ ერთეულზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

პროფკავშირთა წევრებს შორის

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა კავშირების ცენტრ. გამგეობათა კულტგანყოფილებების გამგეთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა თბილისის პოლიტგანის წარმომადგენლის მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ პროფკავშირთა წევრებს შორის.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმე დაგვიანებით დაიწყო, რადგან კავშირებმა დროზე ვერ მიაწოდეს პოლიტგანს ცნობები წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა რიცხვის შესახებ.

გეგმა, რომელიც მუშაობის დასაწყისში იქნა შედგენილი, შემდეგში გადაჭარბებულ იქნა, ასე, მაგალითად; განზრახული იყო გახსნილი ყოფილიყო უცოდინართა სკოლები 40, ხოლო მცირე მცოდნეთათვის—38. ფაქტიურად კი გაიხსნა უცოდინართათვის 66 სკოლა, ხოლო მცირე მცოდნეთათვის 55 სკოლა.

დასახული გეგმის განსახორციელებლად შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა 31.000 მანეთის რაოდენობით. აქედან აღმასკომის სახსრებიდან გადადებული იქნება 19.000 მანეთი, ხოლო პროფკავშირები გაიღებენ 9.000 მანეთს; დანაკლისი 3.000 მანეთი განზრახულია გამოთხოვილ იქნეს აღმასკომის სახსრებიდან.

გარდა სალიკვიდაციო სკოლებისა, გახსნილია აგრეთვე მაღალი ტიპის სკოლები მოზრდილთათვის. სულ გახსნილია 3 ასეთი სკოლა—11 ჯგუფით, რომლებშიაც ირიცხება 450 კაცი. სკოლების რიცხვი არაა საკმარისი, ისინი მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ მხოლოდ 25 პროცენტით.

მცირე მცოდნეთა სკოლებში სულ ირიცხება 1651 კაცი. აქედან 836 კავშირის წევრია, დანარჩენი 205 მათი ოჯახის წევრები.

უცოდინართა სკოლებში ითვლება 2.097 კაცი, მათ შორის კავშირის წევრია 1758 კაცი. გაკვეთილებზე დასწრება არაა დამაკმაყოფილებელი. სკოლებში ჩარიცხულებიდან მეცადინეობას ესწრება დაახლოვებით 50 პროცენტი.

მეცადინეობას აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ მასწავლებლებს არ აქვთ საჭირო ცოდნა. თავის დროზე არ იყო მომარაგებული სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები. საქმეს აფერხებს, უბინაობა სკოლებს უმრავლეს შემთხვევებში შესაფერი ბინები არ აქვთ.

არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად თათბირმა საჭიროდ სცნო მიმაგრებული იქნეს სკოლებზე ფაბქარხადგილკომების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ სკოლების მუშაობის ხელმძღვანელობაში.

საქართველოს სახელგამში

● **იაფი წიგნის მაღაზია.** სახელგამმა გადაწყვიტა რუსთაველის პროსპექტზე № 11 მოთავსებული თავისი მაღაზია № 6 მოკლე ხანში გადააკეთოს, იაფ წიგნის მაღაზიად, რომელსაც „საბჭოთა ბუკინისტი" დაერქმევა. აქ გაიყიდება წიგნები დაახლოებით 20—50 პროცენტის ფასდაკლებით, შედგენილი იქნება სხვადასხვა ბიბლიოთეკები და სხვა. აქედანვე შესაძლებელი იქნება გამოწერა ფასდადებით საზღვრო იაფი ლიტერატურისა.

● **1929 წ. საგამომცემლო გეგმა.** სარედაქციო კოლეგიის მიერ უკვე დამტკიცებულია 1929 წ. საგამომცემლო გეგმა. სულ გათვალისწინებულია გამოიცეს ელემენტარულების მიხედვით დაახლოებით 620 ათასი მანეთის ლიტერატურა. ფორმების მიხედვით ეს ლიტერატურა შემდეგნაირად ნაწილდება: სახელმძღვანელოები 800 ფორმა ანუ 34 პროც.; მეთოდიური ლიტერატურა—50 ფორმა—2,2 პროც.; პოლიტ-ეკონომ. ლიტერატურა—200 ფ. ანუ 8,5 პროც.; მასობრ-პოპულიარული ლიტერატურა—200 ფ. ანუ 8.5 პროც.; მხატვრული ლიტერატურა—200 ფ.—8,5 პროც.; საბავშვო ლიტერატურა 200 ფ.—8,5 პროც.; აფხაზეთისა და ოსეთისთვის ორმოც-ორმოცი ფორმა, სომხებისა და თურქებისათვის—ოც-ოცი. სულ ნაციონალურ უმცირესობათათვის—120 ფ. ანუ 5,2 პროც.; საბავშვო ჟურნალები—108 ფ. საზოგადოებრივი ჟურნალები—255 ფორმა და სხვა.

გეგმა საბოლოო დასტურისათვის გადაეცა საქართველოს სახგეგმო კომისიას.

● **ოსური წიგნები.** სახელგამმა უკვე დაბეჭდა ქ. ცხინვალში ოსეთის განსახკომის არჩევით სამი წიგნი: „გუთანდარი"—სახელმძღვანელო ა. თიბილოვისა, „მოთხრობები" კულაევისა და „ახალი სოფელი"—სახელმძღვანელო სახაკოევისა.

● **ვ. ლენინის თხზულებანი ქართულად.** ამჟამად იბეჭდება ვ. ლენინის თხზულებათა პირველი და მეორე ტომი. სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებების გამო პირველი ტომის გამოსვლა ცოტა დაგვიანდება. ტომს დართული ექნება წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის და სხვა.

დახმარება ამიერ-კავკასიის უმუშევრებს

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევად 1928-29 წლის განმავლობაში დაიხარჯოს არა ნაკლებ 30 პროცენტისა უმუშევართა დამხმარე ფონდის სახსრებიდან.

პროფესიების არჩევა გადამზადებისათვის და გადასამზადებელ უმუშევართა რაოდენობა შეთანხმებულ უნდა იქნას დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოებთან. უმუშევართა გადამზადება უნდა სწარმოებდეს სამეურნეო ორგანოებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძვლებზე. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას სამეურნეო ორგანოების მატერიალური მონაწილეობა უმუშევართა მომზადების და მათთვის კურსების მოწყობის საქმეში, საჭიროების დროს წამოწყებებმა ამ მიზნისათვის უნდა დასთმონ ბინები, აგრეთვე მიაწოდონ კურსებს მასალები და ინსტრუქტორები.

თუ დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოს არ შეუძლია მიიღოს მატერიალური მონაწილეობა უმუშევართა გადასამზადებელ კურსების მოწყობაში, ხელშეკრულებაში აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას მომზადებულ უმუშევართა ჩაბმა განსაზღვრულ სამეურნეო ორგანოს საწარმოში.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ყოველი ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ კურსებზე ჩაბმულ იქნან ქალები და ახალგაზრდები მათი ხვედრითი წონის მიხედვით უმუშევართა საერთო რიცხვში. (ადს).

ამინდი საქართველოში

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით 29 იანვარს საქართველოში ასეთი ამინდი იყო:

სოხუმი. სუსტი ქარი, მოღრუბლული. 1 გრად. სითბო.

ფოთი. ძლიერი ქარი. მოწმენდილი, 1 გრად. სითბო.

ბათომი. მოღრუბლული, 4 გრად. სითბო.

სამტრედია. ძლიერი ქარი, მოწმენდილი, ყინვა 0 გრად.

ჭიათურა. სუსტი ქარი მოწმენდილი, ყინვა 4 გრად., 28 იანვარს ძლიერი ქარი, თოვლის სისქე 10 სანტიმ.

ბორჯომი. მოწმენდილი, ყინვა 14 გრადუსი.

ლიხანი. მოწმენდილი. ყინვა 16 გრად., თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

აბასთუმანი. მცირე ღრუბლიანობა, ყინვა 10 გრად. თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

გორი. ზომიერი ქარი. მცირე ღრუბლიანობა, ყინვა 7 გრადუსი. თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი. 28 იანვარს ძლიერი ქარი.

გუდაური. სუსტი ქარი. მოწმენდილი, ყინვა 12 გრად., თოვლის სისქე 60 სანტიმეტ.

თბილისი. დილით სუსტი ქარი მოღრუბლული ყინვა 4 გრად.. თოვლის სისქე 12 სანტიმეტრი. 28 იანვარს ღამით თოვდა. 29 იანვარს დღის 1 საათზე სუსტად თოვდა და ყინვა ერთი გრადუსით შესუსტდა.

საგარეჯო. მოღრუბლული, ყინვა 4 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი.

ლიუქსემბურგი. სუსტი ქარი. მოღრუბლული, ყინვა 7 გრადუსი.

—:—

ლენინგრადში და მოსკოვში

ლენინგრადში ყინვა გაძლიერდა 19 გრადუსამდე, ხოლო მოსკოვში—25 გრადუსამდე.

ბრძოლა ლოთობასთან და ხულიგნობასთან

„სიფხიზლის საზოგადოების" დაარსება

თბილისის აღმასკომთან გამოყოფილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მავნე სასმელების ვაჭრობისა და ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომების დამუშავება. კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. შ. კილურაძე, თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა უხელმძღვანელოს და დაარსოს თბილისში ლოთობასთან მებრძოლი „სიფხიზლის საზოგადოება". საზოგადოების მუშაობაში ჩაბმული იქნებიან პროფესიონალურ პარტიულ, საბჭოთა კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საზოგადოებასთან ერთად ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოოს აღმასკომთან არსებულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ექნება ხელი შეუწყოს სიფხიზლის საზოგადოების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. ახალმა საზოგადოებამ თავისი საქმიანობა უნდა მიმართოს იმ მხრივ, რომ ლოთობასთან ბრძოლას მიეცეს კულტურულ-აღმზრდელობითი ხასიათი.

კომისიამ მიიღო აგრეთვე დადგენილება იმის შესახებ, რომ ლოთობასთან და ხულიგნობასთან საბრძოლველად ზოგიერთ შემთხვევებში მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომების გამოყენება.

წარმოებებთან ჩარჩ-ვაჭრების მიერ გახსნილი პატარა დუქნები, სადაც მაგარ სასმელებს ჰყიდიან კომისიის დადგენილებით დაკეტილ უნდა იქნეს პირველ რიგში.

კომისიის ყველა დადგენილება დამტკიცებულია თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ.

სასამართლო

ვინ აძლევდა ფართალს კერძო ვაჭრებს

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს დიდი დარბაზი სავსეა ხალხით.

საბრალდებულო სკამზე ზის 13 ბრალდებული. ვინ არიან ისინი?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოქ. ტიგრან მილოვი და ბაგრატ ნათენაძე, რომელთა ხელში იყო მუშკოოპის № 90 მაღაზიის ბედიღბალი და რომლებიც იმის მაგიერ, რომ დახმარება გაეწიათ მუშა-მომხმარებელთათვის, ხელს უწყობდნენ კერძო ვაჭრებს და ფართლის ნაკლებობის დროს საუკეთესო ნაჭრებს მათთვის ინახავდნენ.

პირველი, ე. ი. ტიგრან მილოვი იყო მაღაზიის გამგე, ხოლო ბაგრატ ნათენაძე წარმოადგენდა მის ხელქვეით ნოქარს და ამავე დროს მარჯვენა ხელს ფართლის კერძო ბაზარზე გასაღების საქმეში.

აღსანიშნავებელი ის არის, რომ ეს „კოოპერატორები" კერძო ვაჭრებს უგზავნიდნენ პირველი მოთხოვნილების ფართლეულს განუსაზღვრელი რაოდენობით იმ დროს როცა მუშკოოპის მაღაზიებს მუშა-მოსამსახურების დაკმაყოფილების საშუალება არ ჰქონდათ ასეთი საქონლის ნაკლებობის გამო.

აღნიშნულ პირებს ჰყავდათ გადამყიდველების მთელი შტატი. ეს გადამყიდველები კერძო ვაჭრებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ, აწვდიდნენ მათ მუშკოოპიდან გატანილ ფართალს და მიღებულ ფულს უნაწილებდნენ „კოოპერატორებს".

გადამყიდველები გახლდნენ: ანტონ მგალობლიშვილი, ჰაიკ ტერ-კაზაროვი, ოგანეზ ფანოვი, სიმონ მონაშეროვი, სოლომონ გალუსტოვი, გრიგოლ კალთოშოვი და მიხეილ თედიაშვილი რომელთაც პროფესიად ჰქონდათ დაწესებულებებიდან საქონლის გატანა ზოგჯერ ორდერით და ზოგჯერ დაწესებულებების მეთაურებთან შეთანხმებით.

ეს ვაჟბატონები გვერდს უმშვენებდნენ „კოოპერატორებს".

აქვე სხედან კერძო ვაჭრები: სერგო ალიხანოვი, თადეოზ მიჩიტოვი, არამ ლოტოევი და სერგო სადაგოვი. რომლებიც ხელსაყრელ ფასებში იძენდნენ ფართალს და სპეკულიაციას ეწეოდნენ კერძო ბაზარზე.

გუშინდელი სხდომა მოუნდა ბრალდებულთა დაკითხვას.

მაღაზიის ყოფილი გამგე ტიგრან მილოვი სასამართლოში აცხადებს, რომ მართალია მან იცოდა, რომ მგალობლიშვილი, მონაშეროვი და სხვები გადაყიდვათ იძენდნენ საქონელს მაგრამ ისინი მუშკოოპის წევრებად ითვლებოდნენ და უფლება არ მქონდა საქონლის მიცემაზე უარი მეთქვაო.

ბრალდებული ნათენაძეც ასეთი საბუთით ცდილობს თავის მართლებას და ლაპარაკობს, რომ „კანონიერ ფარგლებში" აწვდიდა საქონელს კერძო გადამყიდველებს.

კერძო გადამყიდველები სცნობენ თავს დამნაშავედ, ცდილობენ თავიანთი საქციელი გაამართლონ ეკონომიური ხელმოკლეობით.

კერძო ვაჭრები ცდილობენ მარტივად ახსნან ყველაფერი. კერძო გადამყიდველები გვეხვეწებოდნენ გაგვიყიდეთ საქონელი. სიბრალულით ვიხოცებოდით და ჩვენც შევდიოდით (!) მათ მდგომარეობაში და ვყიდულობდით,—ლაპარაკობენ ვაჭრები.

სასამართლოს მორიგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. კუკრაშვილი, ბრალს სდებს პროკურორი ამხ. ტატიშვილი.

—:—

მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების ქირის ექსპროპრიაცია

როგორც მოგეხსენებათ თბილისში ბინების უკეთ მოვლის, მიზანშეწონილად განაწილების და ბინის კრიზისის მოსპობის მიზნით, ბევრ სახლს ეყო მუნიციპალიზაცია.

მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები გადაეცა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე სახლს.

სახლების კომენდანტის მოვალეობის განმარტება ვგონებ, აღარ არის საჭირო.

საბინაო ამხანაგობაში გაერთიანებულ სახლებს უნდა ჰყავდეს ერთი კომენდანტი, რომელსაც საბინაო ამხანაგობა გამოჰყოფს.

ერთი ასეთი „ჭირისუფალი" მოევლინა პლეხანოვის პრ. მდებარე სახლებს №№ 87, 93, 106, 108, და 114. იგი გახლდათ თომა ალექსისძე თოფურია.

თოფურიამ ამ თანამდებობაზე იმუშავა გასული წლის თებერვლიდან ნოემბრამდე. უნდა ითქვას, რომ იშვიათ ენერგიას იჩენდა ბინის ქირის აკრეფის საქმეში.

მაგრამ აკრეფა ერთია და ჩაბარება—მეორე. აი აქ, ჩაბარების საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენდა თოფურია და ამის მიზეზს გამოარკვევს რომ შეუდგნენ, აღმოჩნდა, რომ კომენდანტი დასნეულებული ყოფილა ფულის სიყვარულით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ვერც ერთი კაპიკი ვერ გაიმეტა საბინაო ამხანაგობის სალაროსათვის.

კომენდანტი თოფურია ამ ხნის განმავლობაში მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების ქირას უშვებოდა „ექსპროპრიაციას" თავის სასარგებლოდ.

სულ თოფურიას მიერ ექსპროპრიაცია ქმნილია 543 მანეთი. ამას უნდა მივმატოთ ისიც, რომ კომენდანტი თოფურია სიყალბესაც არ ერიდებოდა. ყალბ ქვითრებს აძლევდა დამქირავებს ბინის ქირის მიღების შესახებ.

ამჟამად თოფურია გამომძიებლის „მდგმურია".

მის საქმეს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო გაარჩევს.

გერ.

ნარევი

იშვიათი ოპერაცია

ქ. ვლადიმირის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში წარმატებით დაასრულეს თავისი სიძნელით იშვიათი ოპერაცია. 11 წლის გოგონას გაუკეთეს ხელოვნური საჭმლის გამტარი მილი, რისთვისაც გულზე ამოსჭრეს კანის დიდი ნაჭერი. ახალი საყლაპავი მილი შეუერთეს ზევით ძველი მილის ნაჭერს და ქვევით—კუჭს.

ბავშვმა სამი წლის წინად შემთხვევით გადაჰყლაპა რაღაც ნივთიერება, რის გამო მას საყლაპავი მილი დაუვიწროვდა. ავადმყოფს შეეძლო ეჭამა მხოლოდ წვენი და ისიც მცირე დოზებით და ძლიერ გახდა. ბავშვის მკურნალობამ მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში მხოლოდ დროებით გააუმჯობესა მისი მდგომარეობა, ოპერაციის შემდეგ ბავშვი კარგად გრძნობს თავს, თავისუფლად სჭამს ყოველგვარ საჭმელს და სულ მოკლე ხანში ათი კილო მოიმატა წონაში.

ამგვარი ოპერაცია მხოლოდ რვა არის გაკეთებული მსოფლიოში.

სტრადივარიუსის საიდუმლო

1728 წ. გარდაიცვალა ცნობილი სტრადივარიუსი, შესანიშნავი სკრიპკების დამზადებელი, რომელმაც არავის არ გაანდო წესი, რომლითაც თავის სკრიპკებს ამზადებდა. ახლო ქ. ბერგამოში (იტალია) იპოვეს ყუთი ორმაგი ფსკერით, სადაც აღმოჩნდა სტრადივარიუსის ცნობები სკრიპკის დამზადების წესის შესახებ.

სიმშილით მკვდარი მწერალი

პარიზში თავის ბინაზე გაყინული ნახეს ოდესღაც საკმაოდ ცნობილი მწერალი მარტელი (70 წლის). სიმშილისა და სისუსტის გამო მას ადგომა არ შეეძლო.

ნაპოლეონის მოთხრობა

პოლონეთში იპოვეს მოთხრობა, დაწერილი ნაპოლეონ 1-ლის მიერ. ეს მოთხრობა არ დაბეჭდილა. მასში ნაპოლეონი აწერს თავის პირველ სიყვარულს.

2.000.000 უბედური შემთხვევა

წარსული წლის განმავლობაში გერმანიაში ადგილი ჰქონდა 2.000.000 უბედურ შემთხვევას. აქედან მილიონი უბედური შემთხვევა მოხდა სამრეწველო და სას.-სამ. წარმოებებში, დაიღუპა 24.000 კაცი.

შუშა, რომელიც არ ტყდება

ინგლისში გამოსცადეს შუშა, რომელიც არ ტყდება. ამ შუშას ვერ ხვრეტს ტყვია ახლო მანძილიდანაც.

ფიზკულტურა და სპორტი

პირველობის გათამაშება პინგ-პონგში

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალურ ბიურომ დაადგინა მიმდინარე წლის 23 თებერვალს ჩაატაროს პირველი საკავშირთაშორისო შეჯიბრება პინგ-პონგში.

თვითეულ კავშირიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ნაკრები გუნდი, რომელშიაც შევლენ კავშირის უძლიერესი მოთამაშეები. გუნდი შესდგება 7 კაცისაგან (6 მამაკაცი და 1 ქალი).

გუნდების რეგისტრაცია დაიწყება 1-ლ თებერვალს და გაგრძელდება 20 თებერვლამდე. გათამაშება ჩატარებული იქნება ქულობრივი სისტემით, რუსეთის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მიერ შემუშავებულ წესების მიხედვით.

თვითეული კავშირი ვალდებულია გამოჰყოს ორ-ორი წარმომადგენელი მსაჯთა კოლეგიის დასახმარებლად. შეჯიბრების ჩატარება დავალებული აქვს კომისიას, რომელშიაც შედიან: გომელი, წერეთელი, მაევსკი, დორფმანი და ივანოვი.

20 თებერვლისათვის ს.კ.პ.ს. ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროში მოწვეულია შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების საერთო კრება, რომელზედაც გამოცხადებული იქნება შეჯიბრების სწორი ადგილი და დრო.

კავშირი, რომელიც გამოიყვანს საუკეთესო გუნდს, მიიღებს გარდამავალ ჯილდოს. პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდები ღებულობენ დიპლომებს.

შემთხვევები

თვითმკვლელობის განზრახვა

29 იანვარს თვითმკვლელობის მიზნით იოდით თავი მოიწამლა ნატალია ფეემის ასულმა გრიგოროვამ. გრიგოროვას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

მოწამვლა

გუშინ, ქალაქის პირველ საავადმყოფოში უგრძნობ მდგომარეობაში მიიყვანეს მარიამ ანდრიას ასული პეტიაკოვა (მახ. რიტკოვის ქ № 17). როგორც გამოირკვა პეტიაკოვა მოიწამლა თევზით.

ჯიბგირობა

26 იანვარს თბილისის სახ. კონსერვატორიაში მიხეილ ლეონტის ძე მაღლაკელიძეს, იოსებ აბრამის ძე გოფმანს და არმენ მიხეილის ძე ბალჩიევს ვიღაც უცნობმა პირებმა ჯიბიდან ამოაცალეს 479 მანეთი და სხვადასხვა საბუთები.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა—შალვა ლეონტის ძე ზაქარიაშვილი, ავეტიკ ალექსანდრეს ძე აკოფჯანოვი და ედუარდ ფერდინანდის ძე მირბადი, რომელთაც ბრალდება ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

28 იანვარს ღამით, გაქურდეს ა. მესროპიანცის ბინა. წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

იურიდიული დახმარება

პარმენ ჩახავას

კითხვა:

მყავდა ერთი [illegible] ხარი და ორი ძროხა, რომელიც დაიბეგრა 1927 წლის 1928 წ. მაისში მომიკვდა ცალი ხარი, რომლისაც მეჯ-[illegible] მართე სახ. დაზღვევის [illegible] ბისათვის მათ [illegible] და და მაგიერი გყავსო".

მეკუთვნის თუ არა სახ. დაზღვევიდან დახმარება?

პასუხი:

თუ თქვენი მომკვდარი ხარი დაზღვეული იყო, თანახმად იმ წესებისა, რაც ამისათვის დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახ. კომისრის მიერ 1928 წ. 9 აგვისტოს, და აგრეთვე თქვენ მიერ შესრულებული იყო ყველა ამ წესებით თქვენზე, როგორც დაზღვეულზე, დაკისრებული მოვალეობანი, თქვენ უფლება გაქვთ მოსთხოვოთ სახელმწიფო დაზღვევის დაწესებულებას დასაზღვევი პრემია: აგენტების უკანონო მოქმედებაზე შეიძლება მიმართოთ სახელმწიფო დაზღვევის კანტორას, ხოლო ამ უკანასკნელის მოქმედებაზე—სახელმწიფო დაზღვევის გამგეობას. ასეთი საჩივრების შეტანა არ გართმევთ უფლებას დაიცვათ თქვენი ინტერესები სასამართლოს წესით.

გორა აკოფოვს

კითხვა:

ჰქონდა თუ არა გომის თემაღმასკომს უფლება ჩამოერთვა ჩემთვის მიწა, მდებარე გომის თემში, ს. ვაყაში, მაშინ, როდესაც მე ვარ 75 წლის მოხუცებული, ვზრდი ორ ობოლ შვილიშვილს და არავითარი შემოსავალი არა მაქვს და არც ვაჟიშვილები მეხმარებიან თუმცა ისინი მე მყავს. მაქვს მხოლოდ სოფელში ორი ოთახიდან შემდგარი ხის შენობა და ჩემი საცხოვრებელი წყარო იყო აღნიშნული მიწა.

პასუხი:

თუ თქვენ არ გამოგიყენებიათ 3 წლის განმავლობაში ზედიზედ ეს მიწა მეურნეობის საჭიროებისათვის პირადი შრომით ან იჯარის საშუალებით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეს მიწა შეიძლოთ ჩამოერთვათ თქვენთვის. ყოველ შემთხვევაში, თუ თქვენ მიგაჩნიათ თქვენი მიწით სარგებლობის უფლება დარღვეულად, შეგიძლიათ აღძრათ დავა მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 30 იანვარი

დღეს, 30 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მუშათა რადიო-გაზეთი; მესამე ლექცია საბუნების მეტყველო სამეცნიერო ციკლიდან—„სიცოცხლის წარმოშობა"; პოპულიარული კონცერტი გლეხებისათვის; ოპერა „ტურანდოტ"-ის ტრანსლიაცია; უკანასკნელი ცნობები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

მშენებელ მუშათა სექციიდან: არშაკ მირზოიანი, მიხეილ ხაჩატუროვი, ლევან არუთინოვი, გრიგოლ პავლოვი, სერგო ჩიჩილაშვილი, ივანე გოლოდცოვი, გიგო ლეჩხიაშვილი, არუთინ ოგანოვი, დავით ბაკანიძე, ისაკ მახარაშვილი და სტეფანე მარტიროსოვი.

უმუშევართა ფსიქო-ტექნიკური შემოწმება

ახლო მომავალში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საექსპერტო ბიუროში დაიწყება, გადასამზადებლად გასაგზავნ უმუშევრების ფსიქო-ტექნიკური შემოწმება.

მიმდინარე წელს ასეთივე ბიურო მოეწყობა შრომის ბირჟასთან, სადაც შემოწმებულ იქნებიან სამუშაოზე გასაგზავნი ყველა უმუშევრები.

პარტიული კალენდარი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული კომკავშირის უჯრედ-ს ბიურო აცხადებს, რომ დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე შესდგება ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე.

ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—.—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს რომ დღეს, 30 იანვარს, დილის 10 საათზე შესდგება ბიურო-კოლექტივის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

დამწუხრებული დედ-მამა სიმონ და პელაგია, ძმა მიხაკო მეუღლით ანიკო და შვილებით სულიკო და ვახტანგით აცნობებენ საზოგადოებას

ზაქრო სიმონის-ძე კვაჭაძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება სოფ. ბახვში (ოზურ. მაზრა გურია) 31 იანვარს.

ნ. 2195

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 31 იანვარს.

ვ. კირშონის
„ლიანდაგი გუგუნებს"
დრამა 9 სურათად.
თარგმ. ალ. ბოკერიას
დადგმა შ. ახსაბაძის
მხატვარი ირ. გამრეკელი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი
დასაწყისი 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—1 ნ. 2196

ცირკი
კოლოსი
ტელეფ. № 8—64

3—2 ნ. 2187

დღეს
განახლებული სანახაობა
ფართო პროგრამა 3 განყოფილებად
პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის
ორნალდოს გამოსვლა
(მასიური ჰიპნოზი)
30 იანვარს ეროსის უკანასკნელი გასტროლი
მონაწილეობს მთელი დასი და ყველა გასტროლიორი
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

სახკინმრეწვის კინოები

კანთიადი	მხატვრული სურათი მეორე ქორწინება
მინიონი	დადგმის მეორე კვირა უძლეველნი
კოლოსი სოლეი	მსოფლიო ფილმი „სოვკინო"-ს ნაწარმოები კატორღა რეჟისორი—ი. რაიზმანი ოპერატორი—ლ. კოსმატოვი
არფასტო	დადგმის მეორე კვირა გილიანის ასული ელზინის რომანის მიხედვით
აპოლო	დადგმის მეორე კვირა ნამდვილი ჯენტლმენი
დარბაზი	ჯანყი მე-2 სერია
პროლეტარი ავლაბარი	კარმენ ბონი მხატვრულ სურათში ნამდვილი მამაკაცი

0—22

გაზეთ „კომუნისტი"-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

თებერვლის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ.

იანვრის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლ თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება.

0—7 „კომუნისტი"-ს კანტორა

იჩქარეთ ნახოთ!
პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!
საშინელ ცხოველთა სამყარო
ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში
ჩამოყვანილია იშვიათი ეგზემპლიარები
მფრინავი ძაღლები
ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეგზემპლიარები.
სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?
ნ. 2082 ს—10

კინო-არფასტო
ნინა ლი და ხოხლოვი
ახალ სურათში
ქარიშხალის კანონები

მალე

კინო-აპოლო
სანაძლეო ქორწინება
კარმენ ბონის
მონაწილეობით.

ნ. 2197

ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. შემელის აფთიაქთან, ტელ. 14-23. 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 8 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—12

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი [illegible]. 109 25 | 1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა) მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ. ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი 200 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, ხიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. მეტეხის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ტელეფონი № 5 90.

დავკარგე, საქართ. სურსათ-გემოვნების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1941 კოსმა კირილეს-ძე უნგიაძის სახელზე, ჩ. გ. 278

დავკარგე, მეტრიკული ამონაწერი გიორგი თეთრაძეს სახელზე, ჩ. გ. 272

დავკარგე, კავშირის წიგნაკი № 22275 პლატონ გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 273

დავკარგე, სამხედრო სააღრიცხვო ბარათი რუბენ გიორგის-ძე ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 274

დავკარგე, განათლების კავშირის წიგნაკი № 26228 ნიკოლოზ გიორგის-ძე თოიძეს სახელზე, ჩ. გ. 275

დავკარგე, მანდატი № 44481 გაცემული ს.ა.ლ.კ.კ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მიერ მიხეილ კირილეს-ძე ჯულაყიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2194

დავკარგე, პარტიული ბილეთი № 0867828 არტემ ეფრემის-ძე კაპანაძეს სახელზე, ჩ. გ. 277

დავკარგე, კომპარტიის კანდიდატო ბარათი № 2940, სალარო წიგნაკი № 7642 და კოოპერატივი საწევრო წიგნაკი № 250 ბაბილინ სევასტი კაკაურიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. ნ. 219

დავკარგე, სოც. დაზღვევის წიგნაკი № 3096/287 ვალოდი გოგუაძის სახელზე, ჩ. გ. 27

დავკარგე განათლ. კავშ. საწევრო წიგნაკი № 30720 ელეონორა მდინარაძის სახელზე ჩ. გ. 276

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქუჩა № 98.

მთავლიტი № 904.